N 1 2026

მასწავლებელი

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„ციფრული ტრანსფორმაცია განათლებაში“



N1(110), 2026
მასწავლებელი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ეკატერინე ხუციშვილი,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
ნინო ბეგლარაშვილი,
მაია ფირჩხაძე,
ნატო ინგოროყვა,
მანანა ბოჭორიშვილი,
მაია გამეზარდაშვილი,
ქეთევან ოსიაშვილი,
თინათინ ზარდიაშვილი,
მარიამ გოდუაძე,
მაკა სახურია,
თამარ მურუსიძე,
გიტა თვალაბეიშვილი,
ნათია ნაფეტვარიძე,
შორენა ტყეშელაშვილი,
ნათია უჩავა,
სოფიო ლორთქიფანიძე,
ლელა კოტორაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.
ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალ „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.
ISSN 1987-6149 UDC 371.1 ə-374

www.tpdc.ge

რედაქტორისგან

ნატო ინგოროყვა

ჟურნალ „მასწავლებლის“ ახალი ნომერი კიდევ ერთხელ შეახსენებს ჩვენს მკითხველებს მასწავლებლის პროფესიის მნიშვნელობას და იმ სირთულეებს, რომელსაც ისინი ყოველდღიურ საქმიანობაში აწყდებიან. შეახსენებს მათ, რომ მასწავლებლის პროფესიის მრავალმხრივობა და პასუხისმგებლობა, რომელიც აკისრიათ, მუდმივ პროფესიულ განვითარებას მოითხოვს. შეახსენებს მკითხველებს, რომ მასწავლებლის პროფესია მხოლოდ ვალდებულებები არ არის, მათ შრომას აღიარება და დაფასება სჭირდება.

ამ ნომერზე მუშაობის პროცესში, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რამდენად რთულ, მრავალფეროვან და ხშირად დაუფასებელ შრომას ეწევა თანამედროვე მასწავლებელი. თითოეული სტატიის უკან დგას რეალური საკლასო გამოცდილება, ცოცხალი მაგალითები და პროფესიული გულწრფელობა.

თანამედროვე სამყაროში მასწავლებელი თავადაც მუდმივი მოსწავლეა. ტექნოლოგიების, AI-ს (ხელოვნური ინტელექტის) და ახალი მეთოდოლოგიების ეპოქაში ფორმულებზე და თარიღებზე მნიშვნელოვანი ხანდახან ის გარემოა, რომელსაც მასწავლებელი კლასში ქმნის ნდობის, უსაფრთხოების და შთაგონების სივრცეს.

ციფრული ტრანსფორმაცია ჩვენთვის არ ნიშნავს მხოლოდ ტექნოლოგიების დანერგვას. ეს არის ღირებულებითი ცვლილება, რომელიც მოითხოვს სიფრთხილეს, ეთიკურ პასუხისმგებლობას და მუდმივ რეფლექსიას. რას ვაძლიერებთ ტექნოლოგიით და რა შეიძლება დავაკლოთ ადამიანურ ურთიერთობებს.

ჟურნალ „მასწავლებლის“ 2026 წლის პირველი ნომერი, ერთგვარი გზამკვლევია იმ ახალ რეალობაში, რომელშიც დღეს განათლების სისტემა იმყოფება. ამ გამოცემის ძირითადი თემა „ციფრული ტრანსფორმაციაა განათლებაში“ – საკითხი, რომელიც უკვე აღარ არის მომავლის პერსპექტივა, არამედ ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია.

ხელოვნური ინტელექტის (AI) ეპოქაში მასწავლებლობა გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ ცოდნის გადაცემა. დღეს ჩვენი მისიაა ფიქრის კულტურის დაცვა. ტექნოლოგიას შეუძლია სწრაფად მოგვცეს პასუხები, მაგრამ კითხვების დასმას, ეჭვის შეტანას და პასუხისმგებლობით მიდგომას კვლავ ადამიანი ასწავლის ადამიანს.

ამ ნომერში წაიკითხავთ, თუ რატომ არის მასწავლებელი შეუცვლელი „ალგორითმებს მიღმა“ და როგორ უნდა ვიპოვოთ ის საზღვარი, სადაც იწყება ნამდვილი ურთიერთობა, როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს AI-ის სწორად გამოყენება ისე, რომ მან არ ჩაანაცვლოს მათი აზროვნება და პატივი სცენ სხვის შრომას.

ნახავთ კონკრეტულ მაგალითებს, როგორ შეიძლება AI-ს გამოყენება, საზოგადოებრივი მეცნიერებების გაკვეთილზე, ცოდნის ტრანსფერისა და რეალურ კონტექსტში მისადაგებისთვის.

ჟურნალის ამ ნომერში ვსაუბრობთ იმაზეც, რომ განათლება მხოლოდ ციფრული ტრანსფორმაცია არ არის. ჩვენ ვსწავლობთ, როგორ ვაქციოთ სამზარეულო მოლეკულურ ლაბორატორიად, როგორ ვიპოვოთ გზა მოსწავლის გულამდე და როგორ არ დავრჩეთ მარტო იმ პროფესიული სირთულეების წინაშე, რომლებსაც ყოველდღიურობა გვიმზადებს. შევეხებით ადრეულ ასაკში ინკლუზიის მნიშვნელობას, რადგან „ჩვენ ყველა ‘ჩვენ’ ვართ“ – ეს არის ჰუმანური საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძველი. მიმოვიხილავთ მასწავლებლის კარიერული წინსვლის ახალ სქემას და იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც მასწავლებელი დგას.

და მიუხედავად სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესისა, ამ პროგრესის ცენტრში მთავარი მაინც ადამიანია – თავისი ემოციებით, ეთიკური პასუხისმგებლობითა და შემოქმედებითი ენერგიით.

3 | მინისტრის სიტყვა

გივი მიქანაძე
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა
და ახალგაზრდობის მინისტრი

მტკიცედ მჯერა, რომ მასწავლებლის გაძლიერებით, სკოლის ავტონომიის მხარდაჭერითა და პროფესიული განვითარების სისტემური მიდგომით შევძლებთ ზოგადი განათლების ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც იქნება ხარისხიანი, სამართლიანი და მდგრადი.

ინტერვიუ

4 | თანამედროვე მასწავლებლის გზა მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე გადის

ჟურნალი „მასწავლებლი“ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს, ქალბატონ ეკატერინე ხუციშვილს, ცენტრის საქმიანობასა და სამომავლო გეგმების შესახებ ესაუბრა.

თანამედროვე ტექნოლოგიები და მასწავლებელი

ნატო ინგოროყვა

17 | მედიაწიგნიერება ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში და მასწავლებლის როლი

ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში მასწავლებლობა არა მხოლოდ ცოდნის გადაცემას, არამედ ფიქრის კულტურის დაცვასაც ნიშნავს. ტექნოლოგია შესაძლოა სწრაფად გვაძლევდეს პასუხს, მაგრამ კითხვების დასმას მაინც ადამიანი ასწავლის. მოსწავლე, რომელიც სწავლობს გადამოწმებას, ეჭვის შეტანას და პასუხისმგებლობით უდგება საკითხს, უკეთ არის მომზადებული არა მხოლოდ გამოცდებისთვის, არამედ რეალური ცხოვრებისათვისაც.

მანანა ბოჭორიშვილი

21 | პედაგოგიკა ალგორითმებს მიღმა – რატომ არის მასწავლებელი აუცილებელი

პედაგოგიკა ალგორითმებს მიღმა არ ნიშნავს ტექნოლოგიის უარყოფას; ის გულისხმობს იმ საზღვრების გააზრებას, სადაც იწყება ადამიანის პასუხისმგებლობა, ურთიერთობა და აზრის დაბადება – სივრცე, სადაც მართლაც ასწავლიან და სწავლობენ.

თანამედროვე ტექნოლოგიები გაკვეთილზე

მაია ფირჩხაძე

13 | ბუნებრივი ლანდშაფტები და ცოდნის ტრანსფერი საზოგადოებრივი მეცნიერებების გაკვეთილზე AI-ს გამოყენებით

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცე მოითხოვს სწავლების ისეთ მოდელებს, რომლებიც ფაქტობრივი ცოდნის გადაცემით კი არ შემოიფარგლება, არამედ უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ მიღებული ცოდნის გამოყენებას რეალურ კონტექსტში.

ინკლუზიური განათლება

მაია გამეზარდაშვილი

24 | ადრეული ინკლუზიური განათლებისთვის

ინკლუზია ყველას ეხება. ჩვენ ყველა „ჩვენ“ ვართ. ესაა ღირებულება და ხედვა, რომელიც ჩვენი განვითარებულ და ჰუმანურ საზოგადოებად ჩამოყალიბების ნიშანია და მნიშვნელოვანია, გავაცნობიეროთ, რომ ეს პროცესი ადრეული ასაკიდანვე იწყება.

პროფესია – მასწავლებელი

ნინო ბეგლარაშვილი

10 | მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი სქემა – მასწავლებლის როლის გაძლიერებისკენ გადადგმული სისტემური ნაბიჯი

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი სქემა წარმოადგენს ხარისხზე ორიენტირებული განათლების სისტემის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

მაკა სახურია

42 | „ვეფხისტყაოსნის“ სწავლებისთვის

„ვეფხისტყაოსნის“ სწავლება მასწავლებლისთვის არცერთ საფეხურზე არ არის იოლი ამოცანა. მოსწავლეთა ერთი ნაწილი ინტერესდება ტექსტით, სვამს კითხვებს, ითხოვს მოკლე ეპიზოდიდან მიღებული ცოდნის შევსებას პოემის სრული სიუჟეტით.



მოსაზრება

მარიამ გოდუაძე

39 ენის განვითარების დარღვევები და დამნაშავეობრივი ქცევა მოზარდობისას თუ მის შემდგომ

კვლევები ცხადყოფს, რომ სკოლამდელ ასაკში პოზიტიური ჩარევის შედეგად ეს თავისებურებები მნიშვნელოვნად მცირდება, თუმცა არანაკლები მნიშვნელობა აქვს სასკოლო საზოგადოების მზაობას ენის დარღვევის მქონე ბავშვების მხარდასაჭერად. წინააღმდეგ შემთხვევაში მარცხი გარდაუვალია.

27 სოფიო ლორთქიფანიძე
თამაში სწავლებისთვის

28 ლელა კოტორაშვილი
პესონაჟის გული

29 ნათია უჩავა
მომავლის პროფესია

30 შორენა ტყეშელაშვილი
ლიტერატურა მოსწავლის ცხოვრებაში და ახალი წიგნები

განათლების ფსიქოლოგია

ქეთევან ოსიაშვილი

31 კონფლიქტი თანატოლებთან და მისი მოგვარების გზები

როგორ მივუდგეთ უფროსები კონფლიქტურ სიტუაციებს ბავშვის ცხოვრებაში – ვიჩქაროთ დასახმარებლად, დავიცვათ მოზარდი, თუ გვერდიდან დავაკვირდეთ და არ ჩავერიოთ. უპირველეს ყოვლისა, სასურველია, რომ კონფლიქტთან მიმართებაში გავითვალისწინოთ ძირითადი პრინციპები.

საგაკვეთილო რესურსი

თამარ მურუსიძე

47 ერთი შემოქმედებითი დავალების „შეფასების დღიური“

როდესაც სწავლება ასეთ კომპლექსურ სახეს იღებს, ჩვენ აღარ ვასწავლით მხოლოდ „საგნებს“ – ჩვენ ვეხმარებით მოსწავლეს, ჩამოყალიბდეს მოაზროვნე პიროვნებად, რომელსაც შეუძლია მონაცემების ანალიზი, გუნდური მუშაობა და საკუთარ თავზე მუდმივი დაკვირვება.

არაფორმალური განათლება

გიტა თვალაბეიშვილი

51 როგორ დავგეგმოთ გასვლით-შემეცნებითი გაკვეთილი მუზეუმში

სასკოლო სასწავლო შემეცნებითი ვიზიტი მნიშვნელოვანია კლასგარეშე განათლებისთვის. მოსწავლე სწავლობს როგორც ფორმალურ , ასევე არაფორმალურ გარემოში. ასეთ შეხვედრებზე მათ სოციალური და საკუთარი თავის მართვის უნარ-ჩვევებიც უვითარდებათ.

თანამედროვე ტექნოლოგიები და ეთიკა

ნათია ნაფეტვარიძე

55 საავტორო უფლებები, ხელოვნური ინტელექტი და ეთიკა – რა უნდა ვიცოდეთ თანამედროვე ციფრულ გარემოში

რაც უნდა საინტერესო გახდეს ტექნოლოგიური პროგრესი, ადამიანური განცდები და პასუხისმგებ-ლობა ვერასდროს შეიცვლება. საავტორო უფლებე-ბის ცოდნა, AI-ის სწორად გამოყენება და ეთიკური გრძნობა არ არის მხოლოდ წესების ნაკრები – ეს არის კულტურა, რომლის გარეშე თანამედროვე სამყაროს ვერ ავუწყობთ ფეხს.

საგანმანათლებლო რესურსი

თინათინ ზარდიაშვილი

35 საგნობრივი ბარიერების დაძლევისთვის

მასწავლებლებისთვის, ფილმი „ჯული და ჯულია“ უნიკალური რესურსია, რადგან ის გვაძლევს საშუალე-ბას, დავანგრიოთ საგნობრივი ბარიერები. ეს არ არის უბრალოდ ხელოვნების გაკვეთილი. ის არის გამოყე-ნებითი ქიმიის, ბიოლოგიის, პროექტების მართვისა და მედიაწიგნიერების პრაქტიკული სახელმძღვანელო.

ძვირფასო მასწავლებლებო,

გულითადად მოგესალმებით და მადლობას გიხდით იმ პასუხისმგებლობისა და პროფესიული ერთგულებისთვის, რომელიც თქვენი ყოველდღიური საქმიანობის არსს წარმოადგენს. განათლების სისტემის განვითარება პირდაპირ არის დაკავშირებული მასწავლებლის ძლიერ პროფესიულ თვითშეგნებასა და მზადყოფნასთან, იყოს ცვლილებების აქტიური თანამონაწილე.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა განვითარების ახალ ეტაპზე გადადის. ახლად დამტკიცებული ზოგადი განათლების სისტემის რეფორმის ეროვნული კონცეფცია ეფუძნება კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლების მოდელს, რომლის მიზანია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გათვალისწინებით, მოსწავლეთა აკადემიური ცოდნის პარალელურად ისეთი უნარების განვითარება, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, თანამშრომლობა, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და თვითრეგულირებული სწავლა.

კონცეფცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს, სადაც სწავლების პროცესი ითვალისწინებს ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესებსა და განვითარების ტემპს. ამ პროცესში მასწავლებლის როლი იცვლება – იგი ხდება არა მხოლოდ ცოდნის გადამცემი, არამედ სწავლის პროცესის დიზაინერი, ფასილიტატორი და პროფესიული რეფლექსიის მატარებელი.

ახალი ხედვა ასევე გულისხმობს შეფასების თანამედროვე მიდგომებს, მათ შორის განმავითარებელი შეფასების გაძლიერებას, რომელიც ემსახურება სწავლების გაუმჯობესებას, მოსწავლის პროგრესის გააზრებასა და მოტივაციის ზრდას. ასეთ სისტემაში მასწავლებლის პროფესიული გადაწყვეტილებები და შეფასების ავტონომია განსაკუთრებულად ფასდება.

კონცეფციის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი სქემა, რომელიც მიზნად ისახავს მასწავლებლის პროფესიის გაძლიერებას და განვითარების შედეგებზე დაფუძნებულ სამართლიან სისტემას. სქემა ქმნის მკაფიო კავშირს პროფესიულ განვითარებას, საკლასო პრაქტიკის ხარისხსა და კარიერულ წინსვლას შორის და უზრუნველყოფს მასწავლებლის პროგნოზირებად, ეტაპობრივ და მოტივაციის ხელშემწყობ პროფესიულ გზას. კარიერული წინსვლა ეფუძნება არა ფორმალურ კრიტერიუმებს, არამედ მასწავლებლის რეალურ პროფესიულ წვლილს, გააზრებულ პრაქტიკასა და კოლეგებთან თანამშრომლობას.

სამინისტროს სტრატეგიული ხედვაა, მასწავლებლის უწყვეტი პროფესიული განვითარება იქცეს განათლების სისტემის განუყოფელ ნაწილად. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხარისხიან პროფესიულ რესურსებზე წვდომას, კვლევებზე დაფუძნებულ ცოდნასა და გამოცდილების გაზიარების პლატფორმებს, რომლებიც ხელს უწყობს მასწავლებლის კომპეტენ-

ციების მიზნობრივ გაძლიერებას და პროფესიული ავტონომიის რეალიზებას.

ამ კონტექსტში ჟურნალი „მასწავლებელი“ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც პროფესიული ცოდნის, მეთოდური რესურსებისა და სკოლებში არსებული წარმატებული პრაქტიკის გაზიარების სივრცე. ჩემი სურვილია, ჟურნალი კიდევ უფრო მეტად იქცეს იმ პლატფორმად, სადაც ახალი საგანმანათლებლო კონცეფცია რეალურ საკლასო პრაქტიკად გარდაიქმნება.

მტკიცედ მჯერა, რომ მასწავლებლის გაძლიერებით, სკოლის ავტონომიის მხარდაჭერითა და პროფესიული განვითარების სისტემური მიდგომით შევძლებთ ზოგადი განათლების ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც იქნება ხარისხიანი, სამართლიანი და მდგრადი.

გმადლობთ თქვენი შრომის, პროფესიული სიმტკიცისა და ცვლილებებისადმი მზაობისთვის. გისურვებთ წარმატებას იმ მნიშვნელოვან გზაზე, რომელსაც ერთად ვადგავართ საქართველოს განათლების მომავლის შესაქმნელად.

პატივისცემით,

გივი მიქანაძე

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი

თანამედროვე მასწავლებლის გზა მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე გადის

ჟურნალი „მასწავლებლი“ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს, ქალბატონ ეკატერინე ხუციშვილს, ცენტრის საქმიანობასა და სამომავლო გეგმების შესახებ ესაუბრა.

როდესაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი შეიქმნა, მისი ძირითადი მისია მასწავლებლის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა იყო, რაც გულისხმობდა მასწავლებლის უზრუნველყოფას შესაბამისი რესურსებითა და სერვისებით. დღეს რა არის ცენტრის მთავარი მისია და როგორ ხედავთ მის როლს საქართველოში, განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების კონტექსტში?

მინდა მივესალმო ჟურნალ „მასწავლებლის“ მრავალრიცხოვან მკითხველს და ვუსურვო წარმატება. დღეს, ცენტრის მისია ხარისხზე ორიენტირებული, კვლევებზე დაფუძნებული და სისტემურად გამართული პროფესიული განვითარების მოდელის უზრუნველყოფაა. ჩვენი ამოცანაა მასწავლებელს და სასკოლო საზოგადოებას, მათი პროფესიული განვითარებისთვის საჭირო, სისტემაში მიმდინარე რეფორმებთან სრულ თანხვედრაში მყოფი

ჩვენი ამოცანაა მასწავლებელს და სასკოლო საზოგადოებას, მათი პროფესიული განვითარებისთვის საჭირო, სისტემაში მიმდინარე რეფორმებთან სრულ თანხვედრაში მყოფი რესურსები და შესაბამისი სერვისები შევთავაზოთ.

რესურსები და შესაბამისი სერვისები შევთავაზოთ.

განათლების რეფორმა მხარს უჭერს კომპეტენტურ, თანამედროვე პედაგოგიკურ მიდგომებზე ორიენტირებულ, უწყვეტ პროფესიულ განვითარებაში ჩართულ მასწავლებელს. ცენტრის როლი ამ პროცესში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში შემუშავებული სტანდარტების განმტკიცება, მასწავლებელთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობა და მასწავლებლის მხარდაჭერის მდგრადი სისტემის ჩამოყალიბებაა.

> საინტერესო იქნება ცენტრის პროგრამებისა და ძირითადი მიმართულებების მიმოხილვა, რათა მკითხველმა უკეთ დაინახოს მიმდინარე პროცესები და ის საქმიანობა, რომელსაც ამ ეტაპზე ცენტრი ახორციელებს.

ცენტრის საქმიანობის მთავარი ღერძი მასწავლებლის პროფესიული განვითარებაა – ჩვენი ამოცანაა, პროფესიული მხარდაჭერა იყოს სისტემური, სტანდარტზე დაფუძნებული და რეალურ საჭიროებებზე მორგებული. თითოეული ინიციატივა უნდა შეესაბამებოდეს როგორც ეროვნულ პრიორიტეტებს, ისე კონკრეტული სკოლისა და მასწავლებლის მოთხოვნებს.

უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და ტრენინგების სამსახური კოორდინაციას უწევს პროგრამებს და უზრუნველყოფს ტრენინგების ერთიან პროცედურებსა და ხარისხის სტანდარტებს, რათა ორგანიზებულად, ადამიანური და მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზით განხორციელდეს ცენტრის სხვადასხვა პროგრამის ბენეფიციართათვის დაგეგმილი პროფესიული განვითარების ღონისძიებები.

სტანდარტებისა და რესურსების პროგრამა ეფუძნება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს და მიზნად ისახავს პროფესიული კომპეტენციების გაძლიერებას. პროგრამა ორიენტირებულია ხარისხიანი სასწავლო გარემოს შექმნაზე, ტექნოლოგიების გააზრებულ ინტეგრაციაზე, საგნობრივი და ზოგადი უნარების განვითარებაზე, ასევე STEAM განათლების მხარდაჭერაზე. მისი მთავარი ვექტორია პრინციპი — თანამედროვე მასწავლებელი ნიშნავს ძლიერ სკოლას, რადგან სწორედ მასწავლებლის პროფესიული ზრდა განსაზღვრავს სკოლის განვითარებასა და მოსწავლეთა შედეგებს.

პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობას საქართველოს მაღალმთიან და ბარის შორეული სოფლის სკოლებში. კონკურსით შერჩეული კონსულტანტ-მასწავლებლები ერთი აკადემიური წლით საქმიანობენ შესაბამის საჯარო სკოლებში, ავსებენ კადრების დეფიციტს და თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით, ადგილობრივ პედაგოგებთან თანამშრომლობით, ზრდიან სწავლების ხარისხს. პროგრამა უზრუნველყოფს მათ უწყვეტ მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას. უცხოენოვანი მოხალისეების ჩართულობა კი დამატებით აძლიერებს ენობრივ გარემოს, მოსწავლეთა კომუნიკაციურ უნარებს და პროფესიულ კულტურას, რაც ქმნის სკოლის გრძელვადიანი განვითარების საფუძველს.

არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის პროგრამა ხორციელდება ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში და ემსახურება სახელმწიფო ენის პოპულარიზაციას, ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობასა და სამოქალაქო ინტეგრაციის გაძლიერებას. პროგრამის კონსულტანტ-მასწავლებლები არამხოლოდ ავსებენ კადრების დეფიციტს, არამედ ნერგავენ თანამედროვე სწავლების მიდგომებს, ახორციელებენ არაფორმალურ პროექტებს და საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ ადგილობრივ კოლეგებს, რაც დადებითად აისახება როგორც აკადემიურ შედეგებზე, ისე – სასკოლო კულტურაზე.

არაფორმალური განათლების პროგრამა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო სერვისებს სხვადასხვა სოციალურ, კულტურულ და ენობრივ კონტექსტში. მისი ბენეფიციარები არიან ოკუპირებულ ტერიტორიებზე

არსებული სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები, საზღვარგარეთ მცხოვრები არასრულწლოვნები და საკვირაო სკოლების პედაგოგები. ცენტრის ადმინისტრირებადი ელექტრონული პლატფორმა უზრუნველყოფს მიზნობრივი და ადაპტირებული სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას ბენეფიციარებისთვის. პროგრამა ახორციელებს მასწავლებელთა სუპერვიზიასა და პროფესიულ მხარდაჭერას.

დემოკრატიული კულტურის, ადამიანის უფლებებისა და eTwinning-ის პროგრამა 2013 წლიდან, ევროკომისიასთან თანამშრომლობით, აძლიერებს საერთაშორისო სასკოლო თანამშრომლობას. პროგრამა ხელს უწყობს ინოვაციური პრაქტიკების დანერგვას, ციფრული ინსტრუმენტების ეფექტიან გამოყენებას, პროფესიული გამოცდილების გაზიარებას და მასწავლებელთა კომპეტენციების გაძლიერებას ტრენინგების, სემინარებისა და კონფერენციების საშუალებით.

მასწავლებლის პროფესიის რეგულირებისა და სკოლების მხარდაჭერის პროგრამა უზრუნველყოფს პროფესიის მარეგულირებელი ჩარჩოს ეფექტიან დანერგვას. პროგრამა მართავს სტატუსების მინიჭების, კარიერული წინსვლისა და პროფესიულ სისტემაში შესვლის პროცესებს, ადმინისტრირებას უწევს მასწავლებელთა ვაკანსიების ელექტრონულ პლატფორმას და ხელს უწყობს პროფესიის პოპულარიზაციას, მათ შორის, მასწავლებლის ეროვნული პრემიის მხარდაჭერით.

ციფრული პლატფორმების მხარდამჭერი პროგრამა აგებულია „ერთი სივრცის" პრინციპზე და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებისათვის ცენტრისა და მისი პარტნიორების მიერ შექმნილი სანდო, აკადემიური რესურსებისა და სერვისების ერთიან ციფრულ გარემოში ხელმისაწვდომობას. აღნიშნული პროგრამის პროდუქტებია ჟურნალი „მასწავლებელი" და ინტერნეტგაზეთი „mastsavlebeli.ge", რომლებიც პროფესიული ცოდნის გაზიარებისა და საუკეთესო პრაქტიკის გავრცელებას ემსახურებიან. ამ ციფრული ეკოსისტემის ნაწილია ახალი საგანმანათლებლო პორტალი educationhouse.ge, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის ეფექტიან დანერგვას უწყობს ხელს და ბენეფიციარებს სთავაზობს მრავალფეროვან მეთოდურ, საგანმანათლებლო და პროფესიულ რესურსებს.

ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამა მიზნად ისახავს თანაბარი შესაძლებლობების შექმნას სკოლამდელ, ზოგად და პროფესიულ განათლებაში. პროგრამა გულისხმობს სპეციალური კონსულტანტ-მასწავლებლების გაგზავნას საქართველოს მაღალმთიან და შორეულ რეგიონებში, მოიცავს პროფესიული განვითარების პროგრამებს ინკლუზიური განათლების მიმართულებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების მხარდაჭერას, ადაპტირებული რესურსების შექმნას და სოციალური მუშაობის სერტიფიცირების კურსის განხორციელებას.

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამა ორიენტირებულია აღმზრდელ-პედაგოგთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და ადრეული განათლების სახელმწიფო სტანდარტების დანერგვაზე. პროგრამა მოიცავს ტრენინგმოდულების შექმნასა და პილოტირებას, კვალიფიციური ტრენერების მომზადებას, რესურსების განვითარებას და კურიკულუმის პრაქტიკაში დანერგვის მხარდაჭერას.

რის საფუძველზე სთავაზობს ცენტრი მასწავლებლებს მათთვის საჭირო და შესაბამის სერვისებსა და რესურსებს, მათ შორის ტრენინგებს? არსებობს თუ არა მასწავლებელთა საჭიროებების კვლევა ან სხვა მექანიზმები, რომლებიც პროგრამების დაგეგმვისას გათვალისწინებულია?

პროგრამების დაგეგმვა ეფუძნება სხვადასხვა წყაროს მონაცემებს. ცენტრი იყენებს:

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, პროგრამები არ იყოს ფორმალური და ეფუძნებოდეს რეალურ პროფესიულ საჭიროებებს.

განათლების შედეგი მრავალი ფაქტორით არის განპირობებული, თუმცა, თანამედროვე მასწავლებელი ამ სისტემის ცენტრალური რგოლია.

- მასწავლებელთა საჭიროებების კვლევებს;
- უკუკავშირის სისტემებს (ტრენინგების შემდგომი შეფასებები);
- შეფასების პროცესში მიღებულ მონაცემებს;
- სკოლებთან და რესურსცენტრებთან კონსულტაციებს;
- საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზს.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, პროგრამები არ იყოს ფორმალური და ეფუძნებოდეს რეალურ პროფესიულ საჭიროებებს. ამ მიზნით, ცენტრის პროგრამული მონიტორინგის, ანალიზისა და სტრატეგიული თანამშრომლობის სამსახურის მკვლევრების მიერ მიმდინარეობს პროგრამების ეფექტიანობის კვლევა. კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები მომავალში, ცენტრის მიერ მიღებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების საფუძველი გახდება.

როგორ აფასებთ ცენტრის პროგრამების ეფექტიანობას და რა კონკრეტული ინდიკატორებით ხდება ეს შეფასება?

ცენტრის პროგრამების ეფექტიანობის შეფასება ხდება როგორც რაოდენობრივი, ისე – ხარისხობრივი ინდიკატორებით. მათ შორის:

- მასწავლებელთა მონაწილეობისა და ტრენინგების წარმატებით დასრულების მაჩვენებლები;
- მასწავლებელთა კმაყოფილების ინდექსი;
- პროფესიული წინსვლის დინამიკა;
- სასწავლო პროცესში დანერგილი პრაქტიკული ცვლილებები;
- გრძელვადიან პერსპექტივაში განიხილება მოსწავლეთა შედეგებთან კავშირი.

ჩვენ ვმუშაობთ მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების გაძლიერებაზე, რათა თითოეული პროგრამა შეფასდეს როგორც პროცესის მიმდინარეობის, ისე – შედეგის მიხედვით.

როგორ ხდება პროგრამების ადაპტირება სხვადასხვა გამოცდილების მქონე მასწავლებლებისთვის?

ცენტრი ითვალისწინებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გზის განსხვავებულ ეტაპებს. მიღებული გვაქვს დამწყები/მაძიებელი მასწავლებლების მხარდამჭერი სპეციალური მოდულების შექმნის გადაწყვეტილება. რა თქმა უნდა, გაგრძელდება კარიერული წინსვლის საფეხურების შესაბამისი ტრენინგ-პროგრამები და გაღრმავებული საგნობრივი ტრენინგები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის ინკლუზიური განათლების მიმართულებით ტრენინგების ორგანიზებას.

პროფესიული განვითარება უნდა იყოს დიფერენცირებული და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული.

თქვენი აზრით, ბოლო წლებში, რა ძირითადი გამოწვევების წინაშე დგას მასწავლებელთა პროფესიული განვითარება საქართველოში?

ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა პროფესიული განვითარების კულტურის ისე ჩამოყალიბება, რომ ეს პროცესი აღიქმებოდეს არა ვალდებულებად, არამედ პროფესიულ ღირებულებად.

მნიშვნელოვანია, რეგიონებში ხარისხიან რესურსებსა და პროფესიული განვითარების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებზე თანაბარი წვდომის შესაძლებლობა; სწრაფად ცვალებად საგანმანათლებლო რეალობასთან ადაპტაცია; ციფრული კომპეტენციების გაძლიერება; მასწავლებელთა შეფასების სისტემისადმი ნდობის გაღრმავება.

როგორ აისახება ცენტრის საქმიანობა განათლების შედეგებზე სკოლებში და რა მაჩვენებლებზეა დაფუძნებული ეს შეფასება?

ცენტრის საქმიანობა ირიბად, მაგრამ სისტემურად აისახება სასწავლო პროცესის ხარისხზე. შეფასება ეფუძნება მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტების და სასწავლო პროცესში ინოვაციური მიდგომების დანერგვას;

სკოლების შიდა და გარე შეფასების შედეგებს; ეროვნული და საერთაშორისო კვლევების მონაცემებს.

მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ განათლების შედეგი მრავალი ფაქტორით არის განპირობებული, თუმცა, თანამედროვე მასწავლებელი ამ სისტემის ცენტრალური რგოლია.

დღევანდელ საგანმანათლებლო რეალობაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის, რას მიიჩნევთ მნიშვნელოვნად?

დღევანდელ რეალობაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშემწყობი პედაგოგიკა, ციფრული და მედიაწიგნიერება, ინკლუზიური განათლების პრაქტიკა, თანამშრომლობითი პროფესიული კულტურა სკოლებში. მასწავლებლის პროფესიული განვითარება უნდა იყოს მოქნილი და მომავლის საჭიროებებზე ორიენტირებული.

რა რჩევას მისცემდით ახალგაზრდა მასწავლებლებს, რომლებიც საკუთარი პროფესიული განვითარების გზას ახლა იწყებენ?

ახალგაზრდა მასწავლებლებს ვურჩევდი, პროფესია აღიქვან როგორც უწყვეტი სწავლების გზა. მნიშვნელოვანია: საკუთარი პრაქტიკის ანალიზი და თვითრეფლექსია; კოლეგებთან თანამშრომლობა; პროფესიულ საზოგადოებებში აქტიური ჩართულობა; სიახლეებისადმი გახსნილობა. ძლიერი მასწავლებელი ყალიბდება არა ერთჯერადი ტრენინგით, არამედ მუდმივი პროფესიული ზრდით.

ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა პროფესიული განვითარების კულტურის ისე ჩამოყალიბება, რომ ეს პროცესი აღიქმებოდეს არა ვალდებულებად, არამედ პროფესიულ ღირებულებად.

ცენტრს თუ ექნებოდა შესაძლებლობა, ერთი ძირითადი ცვლილება განეხორციელებინა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემაში, რა იქნებოდა ეს ცვლილება და რატომ?

ცვლილების შესაძლებლობის შემთხვევაში, ის ერთი ძირითადი ცვლილება შეეხებოდა სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების გაძლიერებას ისე, რომ პროფესიული ზრდა მაქსიმალურად ინტეგრირებული ყოფილიყო ყოველდღიურ სასწავლო პროცესში. როდესაც პროფესიული განვითარება ხდება უშუალოდ პრაქტიკის სივრცეში, მისი გავლენა უფრო სწრაფი, ღრმა და მდგრადია.



ნინო ბეგლარაშვილი

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი სქემა

მასწავლებლის როლის გაძლიერებისკენ გადადგმული სისტემური ნაბიჯი

განათლების სისტემის რეფორმამ დღის წესრიგში დააყენა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი მოდელის შემუშავების საჭიროება. შესაბამისად, 2025 წლის 31 დეკემბერს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი სქემა, რომელმაც შეცვალა 2019 წლიდან მოქმედი რეგულაცია. აღნიშნული ცვლილება სისტემური პასუხია იმ გამოწვევებზე, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში გამოიკვეთა როგორც სკოლების ავტონომიის ზრდის, ისე ხარისხზე ორიენტირებული მართვის გაძლიერების პროცესში.

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი სქემა წარმოადგენს ხარისხზე ორიენტირებული განათლების სისტემის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

ახალი მოდელის საფუძველი

უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის წინა მოდელებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მასწავლებლის კარიერული წინსვლის სისტემის ინსტიტუციონალიზაციას, თუმცა თვალსაჩინო იყო გარკვეული გამოწვევებიც.

საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარდა კვლევა *(„მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შეფასება“, 2023 წელი)*, რომელმაც გამოკვეთა არსებული მოდელის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. კვლევის მიგნებებზე დაყრდნობით გაიცა შემდეგი მნიშვნელოვანი რეკომენდაციები:

- მასწავლებელთა კარიერული წინსვლა უნდა მოერგოს განათლების სისტემაში არსებულ ამოცანებსა და გამოწვევებს – სკოლას სჭირდება ლიდერთა ძლიერი გუნდი, რომელიც დირექტორთან ერთად, სწავლების პარალელურად იმუშავებს სკოლის განვითარებაზე.
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ამოცანების ფონზე, მნიშვნელოვანია რაიონულ დონეზე სკოლის განვითარების მხარდამჭერი მექანიზმების გაძლიერება. საჭიროა შესაბამისი ექსპერტული ცოდნის მქონე პედაგოგთა რგოლის ფორმირება რესურსცენტრის დონეზე. შესაბამისად, მასწავლებლის კარიერული წინსვლა უნდა ითვალისწინებდეს ამ საჭიროებების საპასუხოდ ადამიანური რესურსის განვითარებას.
- მასწავლებელთა კარიერული წინსვლის მიმართულებები უნდა იყოს მრავალფეროვანი.
- კარიერული წინსვლისთვის მასწავლებლის შეფასება ტესტირების ნაცვლად უნდა ორიენტირდეს პრაქტიკაზე - შეფასება, მასწავლებლის სასკოლო საქმიანობასთან ერთად, უნდა დაეყრდნოს სკოლის განვითარებაში შეტანილ წვლილთან დაკავშირებულ შედეგებს.
- შეფასების ამოცანიდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს რელევანტური შემფასებელი მხარე. პრაქტიკული საქმიანობის კომპონენტი ვერ შეფასდება ცენტრალიზებულად. მას სკოლის დონეზე უნდა აფასებდნენ ადმინისტრაცია და მართვის პროცესებში ჩართული პედაგოგები.

სწორედ აღნიშნულის საპასუხოდ შემუშავდა ახალი მოდელი, რომელიც მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას, აქტიურად იყოს ჩართული

სისტემის განვითარებაში როგორც სკოლის, ასევე რაიონის/მუნიციპალიტეტის დონეზე. ახალი სქემა მიმართულია დეცენტრალიზაციის, საჭიროებაზე დაფუძნებული და შედეგზე ორიენტირებული მიდგომების გაძლიერებისკენ.

ძირითადი სიახლეები ახალ სქემაში

I. კარიერული წინსვლა სკოლისა და რაიონის/მუნიციპალიტეტის დონეზე, სამი მიმართულებით

კარიერული წინსვლის ახალი სქემა გამოყოფს მასწავლებლის საქმიანობის ორ დონეს:

1. სკოლის დონე – გულისხმობს მასწავლებლის საქმიანობას ერთი კონკრეტული სკოლის ფარგლებში და ფოკუსირებულია მის საჭიროებებზე;
2. რაიონის/მუნიციპალიტეტის დონე – მასწავლებლის საქმიანობა ვრცელდება საგანმანათლებლო რესურსცენტრის ფარგლებში რამდენიმე სკოლის საერთო საჭიროებაზე. შესაბამისად, აქვს უფრო ფართო გავლენის არეალი.

გარდა ამისა, მასწავლებლებს შეუძლიათ, კარიერული წინსვლა დაგეგმონ მათთვის სასურველი მიმართულებით:

1. სწავლა-სწავლება – ფოკუსირებულია სკოლაში/სკოლებში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. უზრუნველყოფს მასწავლებლის წინსვლას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგიური მხარდაჭერის მიმართულებით.
2. მართვა/ადმინისტრირება – ფოკუსირებულია სკოლაში/სკოლებში სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე.

აღნიშნული მოდელი სკოლასა და საგანმანათლებლო რესურსცენტრს ანიჭებს მეტ ავტონომიას, ეფუძნება თითოეული სკოლის სპეციფიკურ საჭიროებებს, უზრუნველყოფს არჩევანის შესაძლებლობას კარიერული განვითარების მრავალფეროვანი მიმართულებებით და აფართოებს პროფესიული საქმიანობის გავლენის არეალს.

უზრუნველყოფს მასწავლებლის წინსვლას სასკოლო პროცესების მართვის მიმართულებით.

3. საგანმანათლებლო კვლევა – ფოკუსირებულია სკოლაში/სკოლებში საგანმანათლებლო კვლევების ხელშეწყობასა და განვითარებაზე. უზრუნველყოფს მასწავლებლის წინსვლას საგანმანათლებლო კვლევების მიმართულებით.

ეს ცვლილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მასწავლებელს შეუძლია საკუთარი ინტერესების შესაბამისად, აირჩიოს განვითარებისა და წინსვლის გზა. მიმართულებებისა და დონეების გამოკვეთა ქმნის როგორც ჰორიზონტალური (მიმართულების ცვლილების), ისე ვერტიკალური (დონის ცვლილების) გზით კარიერული ზრდის შესაძლებლობებს.

II. კარიერული წინსვლის კავშირი სკოლების საჭიროებებთან

ახალი სქემის უმთავრესი ღირებულება ისაა, რომ კარიერული წინსვლა ეფუძნება სკოლების საჭიროებებს – სკოლისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის დონეზე ყოველწლიურად განისაზღვრება ის გამოწვევები, რომელთა შესაბამისადაც ჩამოყალიბდება შესასრულებელი ფუნქციების ჩამონათვალი უკვე წამყვანისა და მენტორის სტატუსის მქონე თუ კარიერული წინსვლის მსურველი მასწავლებლებისთვის. ისინი შეძლებენ, წინსვლის მიზნებისთვის ან უკვე მოპოვებული სტატუსის ფუნქციური დანამატის მისაღებად, სასწავლო წლის განმავლობაში სასურველი მიმართულებით შეასრულონ ერთი კონკრეტული ფუნქცია და საჭიროების შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობით წამოაჩინონ საკუთარი კომპეტენციები. შესაბამისად, ახალი რეგულაციის ფარგლებში, წინსვლა არ ნიშნავს უბრალოდ სტატუსის ცვლილებას, ის სკოლისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის დონეზე სისტემის განვითარებაში მასწავლებლის აქტიური მონაწილეობის პროცესია.

III. მასწავლებლის საქმიანობის შეფასების დეცენტრალიზაცია

კარიერული წინსვლის ფარგლებში, მასწავლებლის მიერ სკოლის დონეზე განხორციელებული საქმიანობის შედეგებს, სამინისტროს მიერ დამტკიცებული შეფასების წესის შესაბამისად, აფასებს სკოლაში შექმნილი, ხოლო რაიონის/მუნიციპალიტეტის დონეზე – საგანმანათლებლო რესურსცენტრში შექმნილი წარმომადგენლობითი კომისია. აღნიშნული ცვლილება ეფუძნება სქემის ავტონომიურობის პრინციპს და წარმოადგენს პროცესების დეცენტრალიზაციისკენ გადადგმულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ წამყვან და მენტორ მასწავლებელს, პრაქტიკული საქმიანობის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, ეკისრება პროფესიული განვითარების ვალდებულება და აქვს შესაძლებლობა, პარალელურად განაგრძოს ფუნქციის შესრულებაც იმავე მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ წინსვლის მსურველიც კი, პრაქტიკული საქმიანობის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, არ კარგავს მიღწეულ შედეგებს. კერძოდ, მას უნარჩუნდება სპეციალური კურსის წარმატებით დასრულების შედეგი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ახალი მიდგომა ორიენტირებულია მხარდაჭერასა და განვითარებაზე.

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი სქემა წარმოადგენს ხარისხზე ორიენტირებული განათლების სისტემის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. აღნიშნული მოდელი სკოლასა და საგანმანათლებლო რესურსცენტრს ანიჭებს მეტ ავტონომიას, ეფუძნება თითოეული სკოლის სპეციფიკურ საჭიროებებს, უზრუნველყოფს არჩევანის შესაძლებლობას კარიერული განვითარების მრავალფეროვანი მიმართულებებით და აფართოებს პროფესიული საქმიანობის გავლენის არეალს.

მაია ფირჩხაძე

ბუნებრივი ლანდშაფტები და ცოდნის ტრანსფერი საზოგადოებრივი მეცნიერებების გაკვეთილზე AI-ს გამოყენებით

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცე მოითხოვს სწავლების ისეთ მოდელებს, რომლებიც ფაქტობრივი ცოდნის გადაცემით კი არ შემოიფარგლება, არამედ უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ მიღებული ცოდნის გამოყენებას რეალურ კონტექსტში. ამ პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ცოდნის ტრანსფერი – უნარი, რომლითაც მოსწავლე ახერხებს თეორიული ინფორმაციის გადატანას პრაქტიკულ (სოციალურ და სამოქალაქო) რეალობაში. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ეს უნარი გამოვლინდება ინტეგრირებული სწავლებისას, როდესაც კონკრეტული თემის ფარგლებში მიმდინარეობს მოსწავლეთა ტრანსფერული უნარების განვითარება.

ისეთ საკითხებზე აქცენტირება, როგორიცაა ბუნებრივი ლანდშაფტები (რელიეფი, კლიმატი, ჰიდროგრაფია, ბუნებრივი რესურსები), წარმოადგენს ეფექტურ საგანმანათლებლო რესურსს, რომელიც აერთიანებს ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საგნობრივ შინაარსსა და კომპეტენციებს და მტკიცე საფუძველს უქმნის ინტერდისციპლინურ სწავლებას.

ლანდშაფტზე დაფუძნებული სწავლებისას ცოდნის ტრანსფერი გულისხმობს:

- მიღებული ცოდნის გამოყენებას ახალ სიტუაციაში;
- მიზეზშედეგობრივი კავშირების გააზრებას და პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარებას.

თავად მიდგომა – ლანდშაფტზე დაფუძნებული სწავლება (Landscape-based learning) – ეყრდნობა მოსაზრებას, რომ სივრცე და გარემო შეიძლება განვიხილოთ როგორც „ცოცხალი ტექსტი“, რომლის წაკითხვაც მოსწავლეს ეხმარება ისტორიული პროცესების, ეკონომიკური ურთიერთობებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გააზრებაში.

ამგვარი მიდგომით ბუნებრივი ლანდშაფტები შეიძლება განვიხილოთ როგორც ისტორიული მოვლენების განმაპირობებელი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა დასახლების, მეურნეობისა და პოლიტიკის ფორმებს და, იმავდროულად, პირდაპირ კავშირშია თანამედროვე გლობალურ გამოწვევებთანაც (კლიმატის ცვლილება, კონფლიქტები, რესურსების მართვა).

საზოგადოდ, ისტორიის სწავლებისას ბუნებრივი გარემო ხშირად განიხილება როგორც

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცე მოითხოვს სწავლების ისეთ მოდელებს, რომლებიც ფაქტობრივი ცოდნის გადაცემით კი არ შემოიფარგლება, არამედ უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ მიღებული ცოდნის გამოყენებას რეალურ კონტექსტში.

ისტორიული მოვლენების განმაპირობებელი ფაქტორი, ამ მოვლენათა კონტექსტი, მაგრამ ცოდნის ტრანსფერის თვალსაზრისით მისი გააზრება სწავლების ეფექტიანობას ზრდის.

- განვიხილოთ მაგალითები: ძველი ეგვიპტის შესწავლისას მოსწავლეს ისე მივაწოდოთ საკითხი, რომ დაინახოს:
  - ნილოსის ხეობა არ იყო ეგვიპტის ცივილიზაციის მხოლოდ გეოგრაფიული არეალი – ის შეიძლება განვიხილოთ როგორც წყლის რესურსებზე დაფუძნებული სოციალური ორგანიზაციის მოდელიც;
  - მესოპოტამიის მდინარეთა აუზმა, ბუნებრივი პირობებისა და სახელმწიფო მმართველობის ურთიერთკავშირის შედეგად, ძველი შუამდინარეთის ცივილიზაციას დაუდო სათავე;
  - საბერძნეთის მთიანმა რელიეფმა პოლისურ სისტემას ჩაუყარა საფუძველი
  - და ა.შ.

როგორ მივიყვანოთ მოსწავლე ამ აღმოჩენებამდე?

პრაქტიკული თვალსაზრისით, მოხერხებულია სიმულაციური და როლური თამაშები:

დავალება 1 – საბაზო გაკვეთილზე, ისტორიული ნარატიული მასალის შესწავლისას, მოსწავლეები აანალიზებენ გეოგრაფიულ რუკას და უპასუხებენ მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებს:

- რა გავლენა მოახდინა ბუნებრივმა გარემომ კონკრეტული ისტორიულ მოვლენაზე, მაგალითად, ძველი ეგვიპტის სახელმწიფოს შექმნასა და გაერთიანებაზე? შუმერული ქალაქების ჩამოყალიებება-განვითარებაზე? ბერძნული პოლისების ჩამოყალიბებაზე? – და ა.შ.
- წარმოიდგინე, რომ ქალაქის (ლაგაში, ბაბილონი, ათენი...) ხელმძღვანელობა ჩაგაბარეს; უნდა მიიღო გადაწყვეტილება შენი ქალაქის წყლით და სხვა რესურსებით მომარაგების თაობაზე. შეაფასე ბუნებრივი გარემოს როლი ქალაქის მომავალ განვითარებაში.

სიმულაცია და როლური თამაში იმის გაცნობიერებაში ეხმარება მოსწავლეს, რომ ბუნებრივი ლანდშაფტი რეალურად მოქმედი ფაქტორია, ის არ არის უბრალოდ სივრცე – ადგილია, სადაც ისტორია ვითარდება. იმავდროულად, სიმულაცია და როლური თამაში ხელს უწყობს მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებასაც.

დავალება 2. ისტორიისა და გეოგრაფიის გაკვეთილებზე, გეოგრაფიული აღმოჩენების განხილვის დროს, სასურველია, მოსწავლეებს მივცეთ ისეთი დავალება, რომელიც მოქალაქეობის საგნობრივ კომპეტენციებსაც მოიცავს, მაგალითად:

თემა: „გეოგრაფიული აღმოჩენები და მსოფლიო განვითარების ტრანსფორმაცია“

დავალება: მოამზადეთ ინფოგრაფიკა ან პრეზენტაცია თემაზე: „გეოგრაფიული აღმოჩენები – გლობალური სამყაროს დასაწყისი“. ამისთვის შეისწავლეთ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები (XV-XVI ს.ს.) და იმუშავეთ შემდეგ კითხვებზე:

- როგორ შეცვალა აღმოჩენებმა მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები?
- რა გავლენა მოახდინა კოლონიზაციამ თანამედროვე სახელმწიფოების ჩამოყალიბებაზე?
- როგორ უკავშირდება ეს პროცესები თანამედროვე გლობალიზაციას?

დავალების შესრულების პროცესში მოსწავლეები აქტიურად გამოიყენებენ ტრანსფერულ ცოდნას: ისტორიულ მოვლენებს და გეოგრაფიულ ფაქტორებს დააკავშირებენ თანამედროვე პოლიტიკურ და სამოქალაქო პროცესებთან; ამავე დროს, გეოგრაფიულ ცოდნას გამოიყენებენ სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის.

მსგავს შემთხვევებში თეორიიდან პრაქტიკაში გადასვლა ხდება მაშინ, როდესაც მოსწავლე გარემოს აღიქვამს როგორც აქტიურ საგანმანათლებლო რესურსს და არა მხოლოდ ინფორმაციად მოცემულ ფაქტს.

როდესაც მასწავლებელი ასეთი კონკრეტული მიზნით იყენებს AI-ს, ეს უკანასკნელი კი არ ანაცვლებს აზროვნებას, არამედ აძლიერებს კიდეც ცოდნის ტრანსფერს.

იმისთვის, რომ საგაკვეთილო საქმიანობა კიდევ უფრო სახალისო გახდეს და უკეთ მოერგოს მოსწავლის ინტერესებს, შეიძლება სწავლებაში ციფრული და

AI ინსტრუმენტების ჩართვა მოსწავლეთა უფრო მეტი ინტერესის გამოსაწვევად. ამ მიზნით სასურველია **NotebookLM-ის** მსგავსი AI პლატფორმების გამოყენება, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს:

- იმუშაოს წყაროზე დაფუძნებულ ტექსტებზე;
- დააკავშიროს ისტორიული და თანამედროვე კონტექსტები;
- გამოიტანოს დასკვნები არა მზა პასუხების, არამედ ანალიზის საფუძველზე.

რატომ არის NOTEBOOKLM შესაფერისი დავალებებისთვის?

NotebookLM მუშაობს „წყაროზე დაფუძნებული AI“-ს პრინციპით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლაში, რადგან:

- მოსწავლე არ იღებს „ჰაერიდან მოტანილ“ პასუხს;
- AI მუშაობს მხოლოდ იმ მასალაზე, რასაც მოსწავლე ატვირთავს;
- ძლიერად ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას და ცოდნის ტრანსფერს.

პრაქტიკული ნაბიჯები NOTEBOOKLM-ით მუშაობის დროს

1. მოსწავლე ატვირთავს:
   - სახელმძღვანელოდან ამონარიდს;
   - ტექსტს ძველი ეგვიპტის, მესოპოტამიის, საბერძნეთის და სხვათა შესახებ (ტექსტს იღებს სახელმძღვანელოდან, შეუძლია ფოტომასალის გამოყენებაც);
2. „სთხოვს“ NotebookLM-ს:
   - დააჯგუფოს ინფორმაცია მიზეზშედეგობრივი კავშირების მიხედვით;
   - ტექსტიდან ამოკრიფოს ფაქტები, რომლებიც კლიმატის გავლენაზე მიუთითებს;
   - გაავლოს პარალელები გეოგრაფიულ აღმოჩენებსა და თანამედროვე გლობალიზაციას შორის;
   - დაადგინოს, როგორ აისახება აღნიშნული ცვლილებები მოსახლეობის უფლებებზე
   - და ა.შ.

AI უპასუხებს მოსწავლეს მხოლოდ იმ წყაროებზე დაყრდნობით, რომლებიც მოსწავლემ თავად შესთავაზა. მიღებულ პასუხს მოსწავლე აანალიზებს და გამოაქვს დასკვნები, ანუ რეალურად გადააქვს პრაქტიკაში თეორიული ცოდნა.

ინსტრუქცია NotebookLM-ში მუშაობისათვის:

შედით **NotebookLM-ში** Google-ის ანგარიშით: https://notebooklm.google/

დააჭირეთ ღილაკს **„Create new notebook“.**

წყაროების დამატება: NotebookLM მუშაობს მხოლოდ იმ მასალაზე, რომელსაც მოსწავლე დაამატებს (მაგალითად, სახელმძღვანელოს ტექსტი (PDF / DOC), მასწავლებლის მიერ მიწოდებული ტექსტი, სამეცნიერო კვლევები (კოპირება-ჩასმით) და ა.შ.

NotebookLM-ში მუშაობისას მთავარი პრინციპია: „თუ წყარო

არ არის, პასუხიც არ იქნება – იფიქრე ტექსტზე დაყრდნობით“.

მოსწავლეები კითხვებს წერენ ჩატში, მაგალითად:

- რა იყო ამ ტექსტის მთავარი იდეა?
- რომელი ფაქტორები უკავშირდება ბუნებრივ გარემოს?
- რომელი ინფორმაცია აღწერს ბუნებრივ გარემოს?
- რა გავლენა მოახდინა კლიმატმა ისტორიული პროცესის განვითარებაზე?
- როგორია ლანდშაფტის მნიშვნელობა ისტორიულ პროცესებში?
- და ა.შ.

ფაქტები მიზეზშედეგობრივი კავშირებით:

- რომელი ცვლილებები გამოიწვია გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა?
- იპოვეთ პარალელები წარსულ მოვლენებსა და თანამედროვე გლობალიზაციას შორის;
- როგორ აისახება ეს პროცესები დღევანდელ პოლიტიკაზე?
- და სხვ.

მოსწავლეები აანალიზებენ NotebookLM-ის პასუხებს და აკეთებენ კომენტარებს, გამოაქვთ დასკვნები. ფაქტობრივად, NotebookLM გამოიყენება როგორც ანალიზის, გააზრებისა და ცოდნის ტრანსფერის მხარდამჭერი ინსტრუმენტი.

ლანდშაფტზე დაფუძნებული სწავლებისას, რომელიც ხელს უწყობს ტრანსფერული უნარების აქტივაციას, AI-ს გამოყენება ხალისს სძენს მოსწავლის საქმიანობას, ავითარებს კრიტიკულ და სისტემურ აზროვნებას, ამაღლებს მოტივაციას, განამტკიცებს ინტერდისციპლინურ კავშირებს და ხელს უწყობს ისტორიისა და გეოგრაფიის საგნობრივი ცოდნის ამაღლებას, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გააზრებას. მოსწავლე სწავლობს არა მხოლოდ იმას, „რა მოხდა“, არამედ იმასაც, რატომ მოხდა და როგორ შეიძლება განვითარდეს მსგავსი პროცესები მომავალში.

რამდენად მიზანშეწონილია ტრანსფერზე ორიენტირებისას https://notebooklm.google/-ის გამოყენება?

როდესაც მასწავლებელი ასეთი კონკრეტული მიზნით იყენებს AI-ს, ეს უკანასკნელი კი არ ანაცვლებს აზროვნებას, არამედ აძლიერებს კიდეც ცოდნის ტრანსფერს.

შეფასების სავარაუდო რუბრიკა ბუნებრივ ლანდშაფტებსა და ცოდნის ტრანსფერზე ორიენტირებული გაკვეთილების დროს AI-ის გამოყენებით

8-9-10: ზუსტად და სიღრმისეულად იყენებს ისტორიულ და გეოგრაფიულ ცოდნას; სწორად იყენებს ტერმინებს; იშველიებს არგუმენტებს, ყურადღებას აქცევს მიზეზშედეგობრივ კავშირებს; ამყარებს სამოქალაქო პასუხისმგებლობას; წარმატებით აკავშირებს ისტორიულ-გეოგრაფიულ ცოდნას რეალურ თანამედროვე კონტექსტთან; წარმატებით იყენებს AI ინსტრუმენტებს.

5-6-7: ძირითადად სწორად გადმოსცემს შინაარსს, თუმცა დავალება მეტწილად აღწერითი ხასიათისაა და ანალიზი ზედაპირულია ან ნაწილობრივი; არგუმენტები სუსტია, დასაბუთება - არასაკმარისი და შეიცავს ფაქტობრივ უზუსტობებს; სამოქალაქო ასპექტი წარმოდგენილია, თუმცა სიღრმისეულად არ არის დანახული; ტრანსფერული კავშირებიც სუსტია.

ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის სწავლებისას ბუნებრივი ლანდშაფტების ინტეგრირება AI-ს ჩართულობით ტრანსფერული ცოდნის აქტივაციის ეფექტური გზაა და ხელს უწყობს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას, მოტივაციის ამაღლებას, პიროვნულ ზრდას.

ნატო ინგოროყვა

მედიაწიგნიერება ხელოვნური ინტელექტი და მასწავლებლის როლი

როგორ იცვლება მედიაწიგნიერების კონცეფცია ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში

ხელოვნური ინტელექტის სწრაფი განვითარება გლობალურ საინფორმაციო გარემოს შესამჩნევად ცვლის. ხელოვნური ინტელექტის სისტემებს უკვე შეუძლია შინაარსის შექმნა, მოდიფიცირება და გავრცელება უპრეცედენტო სიჩქარითა და მასშტაბით. ტექნოლოგიები ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ფართო შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ ახალ გამოწვევებსაც უქმნის ციფრულ გარემოში სიზუსტის, სანდოობისა და ნდობის კონცეფციებს. მედიაწიგნიერება, რომელიც, ტრადიციისამებრ, გაგებულია როგორც მედიაშეტყობინებების კრიტიკულად შეფასებისა და ინტერპრეტაციის უნარი, ახლა ხელოვნური ინტელექტით მართული ეპოქის რეალობას უნდა მოერგოს.

სტატია განიხილავს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას სკოლაში, მედიაწიგნიერების კონტექსტში და ხაზს უსვამს მასწავლებლის როლს. ის მონიშნავს ძირითად ეთიკურ გამოწვევებს, აღწერს საერთაშორისო გამოცდილებას და წარმოადგენს პრაქტიკულ მაგალითებს საკლასო ოთახისთვის. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების, პასუხისმგებლობისა და ინფორმაციის კრიტიკულად შეფასების უნარის განვითარებას AI-ს ეფექტური და უსაფრთხო გამოყენების გზით.

მედიაწიგნიერება თავისი არსით ფოკუსირებული იყო კრიტიკული აზროვნების უნარზე, წყაროების შეფასებასა და საზოგადოებრივ აზრზე, მედიის გავლენებზე, მაგრამ დღეს, როდესაც ხელოვნურ ინტელექტს უკვე შეუძლია მაღალრეალისტური სინთეზური შინაარსის შექმნა, – ყალბი ვიდეოებით დაწყებული, შეთხზული საინფორმაციო სტატიებით დამთავრებული, – ინფორმაციის გადამოწმების ტრადიციული და ნაცადი მექანიზმები საკმარისი აღარ არის.

მედიაწიგნიერება მოითხოვს იმის გაგებას, თუ როგორ ქმნიან და არჩევენ ალგორითმები შინაარსს, სინთეზური მედიისა და ალგორითმული მანიპულირების ამოცნობის უნარს.

ხელოვნური ინტელექტი აღარ არის მომავლის ტექნოლოგია – ის უკვე განსაზღვრავს იმას, თუ როგორ კითხულობენ, წერენ, სწავლობენ და აზიარებენ ინფორმაციას მოსწავლეები. ტექსტის გენერაცია, სურათების შექმნა, კითხვებზე სწრაფი პასუხის მიღება დღეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა.

ამ რეალობაში მედიაწიგნიერება ახალ მნიშვნელობას იძენს: აუცილებელია ინფორმაციის გააზრება, შეფასება და ეთიკური გამოყენება. საერთაშორისო გამოცდილებაც ცხადყოფს, რომ ამ პროცესში გადამწყვეტი სწორედ მასწავლებელია.

ბოლო წლებში არაერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ (UNESCO, Council of Europe) გაუსვა ხაზი იმას, რომ AI-ს განვითარება მედიაწიგნიერების გარეშე ზრდის დეზინფორმაციის, მანიპულაციისა და ინფორმაციის არასწორად გააზრების რისკებს.

ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში მასწავლებლობა არა მხოლოდ ცოდნის გადაცემას, არამედ ფიქრის კულტურის დაცვასაც ნიშნავს. ტექნოლოგია შესაძლოა სწრაფად გვაძლევდეს პასუხს, მაგრამ კითხვების დასმას მაინც ადამიანი ასწავლის.

იუნესკოს მიერ ჩატარებული კვლევა (წყარო: https://unesdoc.unesco.org/) ხაზს უსვამს, რომ მედიაწიგნიერება დეზინფორმაციის გავლენის შემცირების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი სტრატეგიაა, რომელიც ითვალისწინებს

- **ინტეგრირებულ სასწავლო გეგმებს** – მედიაწიგნიერების ინტეგრირება სკოლის საგნებში, ისტორიიდან კომპიუტერულ მეცნიერებებამდე;
- **სიმულაციურ სავარჯიშოებს** – როლური თამაშების სცენარები, სადაც მოსწავლეებმა დროის შეზღუდვის გამო უნდა ამოიცნონ მცდარი ინფორმაცია;
- **პროფესიულ განათლებას** – ტრენინგები, ვორკშოფები მასწავლებლებისთვის, რათა მათ მოახერხონ ციფრულ საფრთხეებთან ადაპტირება.

ამ მიდგომებს შეუძლია, საგრძნობლად გააძლიეროს იმ საზოგადოების მდგრადობა, რომლებიც ინფორმაციის ძირითად წყაროდ ციფრულ პლატფორმებს იყენებენ.

ხელოვნური ინტელექტი არა მხოლოდ ახალი დეზინფორმაციის რისკების მამოძრავებელი ძალაა, არამედ მათთან ბრძოლაში პოტენციური მოკავშირეც.

ხელოვნური ინტელექტის სწავლებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება განსხვავებულია. ცხრილში სწორედ ეს განსხვავებებია ასახული.

ქვეყანა	ფოკუსი	პრაქტიკა
ფინეთი	კრიტიკული კითხვების სწავლება	შეადარონ AI-ს პასუხი სახელმძღვანელოსა და სანდო წყაროებს. მონიშნონ შესაძლო შეცდომები. იმსჯელონ, რატომ შეიძლებოდა გაჩენილიყო შეცდომა.
კანადა	ავტორობისა და პასუხისმგებლობის საკითხი	მიუთითონ, სად და როგორ გამოიყენეს AI. განმარტონ, რა დაამატეს თავად. აიღონ პასუხისმგებლობა საბოლოო ტექსტზე.
ესტონეთი	ციფრული ეთიკა ადრეული ასაკიდან	რა ინფორმაცია არ უნდა გაუზიარონ ციფრულ სისტემებს? რატომ არის პირადი მონაცემები ღირებული? როგორ „ჰკითხონ“ ალგორითმს კრიტიკულად?

ხელოვნური ინტელექტის ეფექტიანი გამოყენებისთვის სწავლების მიდგომები მოითხოვს საკლასო ოთახში მათ პრაქტიკულ გამოყენებას. სწორედ ამიტომ გთავაზობთ მაგალითებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც მასწავლებლებს საშუალებას მისცემს, საერთაშორისო გამოცდილება რეალურ სასწავლო სიტუაციებში გამოიყენონ.

პრაქტიკული მაგალითები და რეკომენდაციები საკლასო ოთახისთვის

მიმართულება	აღწერა
„შევამოწმოთ AI“	მოსწავლეები პასუხს იღებენ AI-სგან და სახელმძღვანელოდან/სანდო წყაროებიდან, განიხილავენ განსხვავებებს და აფასებენ სანდოობას.
„ვინ არის ავტორი?“	მოსწავლე ქმნის ტექსტს AI-ს დახმარებით, განსაზღვრავს საკუთარ წვლილს და სწავლობს პასუხისმგებლობას.
მიკერძოებული პასუხის ამოცნობა	მოსწავლეები სწავლობენ სტერეოტიპული და ცალმხრივი ამბების ამოცნობას და ეჩვევიან ალტერნატიულ ხედვას.
სკოლის პოლიტიკის რეკომენდაციები	განისაზღვრება, როდის და რა მიზნით არის დასაშვები AI-ს გამოყენება, რა მიიჩნევა არაეთიკურად და როგორ უნდა აღინიშნოს მისი გამოყენება.
მედიაწიგნიერება, როგორც საერთო პასუხისმგებლობა	მედიაწიგნიერების ინტეგრაცია სხვადასხვა საგანში, მასწავლებელთა მიერ გამოცდილების ურთიერთგაზიარება და საერთო ტერმინოლოგიის გამოყენება.
მოსწავლის პასუხისმგებლობა	ხაზგასმულია, რომ AI არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან . საბოლოო ნამუშევარი ეკუთვნის მოსწავლეს და შეცდომებზე პასუხისმგებელია ადამიანი.
პირადი მონაცემების დაცვა	განიხილება, რომელი ინფორმაცია არ არის უსაფრთხო, პირადი მონაცემების მნიშვნელობა და ციფრული ჰიგიენის პრინციპები.
მასწავლებლის მზარდაჭერა და განვითარება	პროფესიული განვითარების შესაძლებლობები, ეთიკური დილემების განხილვის სივრცე და გამოცდილების გაზიარების სხვადასხვა გზები.

პრაქტიკული აქტივობები და რეკომენდაციები ეფექტიანია მაშინ, როდესაც მასწავლებელს აქვს საკუთარი პრაქტიკის გააზრებისა და თვითშეფასების შესაძლებლობა. ამ მიზნით გთავაზობთ მოკლე ჩეკლისტს, რომელიც მასწავლებელს იმის გაანალიზებაში დაეხმარება, რამდენად პასუხისმგებლობიანად და გააზრებულად იყენებს ხელოვნურ ინტელექტს სასწავლო პროცესში.

პრაქტიკული სავარჯიშოები საკლასო ოთახისთვის

- **შევამოწმოთ AI** – ინფორმაციის გადამოწმებისა და კრიტიკული ანალიზის უნარის განვითარებისთვის მოსწავლეები ერთსა და იმავე კითხვაზე იღებენ პასუხს ხელოვნური ინტელექტისგან, სახელმძღვანელოდან და სანდო ონლაინ წყაროებიდან. ადარებენ მიღებულ ინფორმაციას, აფასებენ სიზუსტეს, ავლენენ განსხვავებებს და მსჯელობენ შესაძლო შეცდომების მიზეზებზე.

- ვინ არის ავტორი? – ავტორობისა და პასუხისმგებლობის გააზრებისთვის. მოსწავლე ქმნის ტექსტს AI-ს დახმარებით. შემდეგ გამოჰყოფს თავის დაწერილსა და ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილს. რა ნაწილი შეიქმნა ხელოვნური ინტელექტის მიერ და რა დაამატა თავად. დისკუსიის დროს განიხილება ავტორობის, პასუხისმგებლობისა და AI-ს ეთიკური გამოყენების საკითხები.
- შეცდომის ანატომია – AI-ს მიერ დაშვებული შეცდომების აღმოჩენა და მათი წარმოშობის გაანალიზება.მოსწავლეები იკვლევენ AI-ს პასუხში დაშვებულ უზუსტობებს, ადგენენ შესაძლო მიზეზებს (არასრული მონაცემები, კონტექსტის გაუთვალისწინებლობა, ალგორითმული მიკერძოება) და მსჯელობენ, როგორ შეიძლება მათი თავიდან აცილება.
- მიკერძოებული პასუხის ამოცნობა – სტერეოტიპული და ცალმხრივი ამბების ამოცნობისთვის. მოსწავლეები აანალიზებენ AI-ს მიერ შექმნილ ტექსტებს, აიდენტიფიცირებენ შესაძლო მიკერძოებას და ქმნიან ალტერნატიულ, უფრო დაბალანსებულ ვერსიებს.
- როგორ ვკითხოთ ალგორითმს? – ზუსტი და კრიტიკული კითხვების დასმის უნარის განვითარებისთვის მოსწავლეები ერთი და იმავე თემისთვის ქმნიან სხვადასხვა ტიპის შეკითხვებს (ზოგადი, დაზუსტებული, კრიტიკული) და ადარებენ მიღებულ პასუხებს, რაც ეხმარება მათ, გააცნობიერონ, რომ შედეგის სიზუსტე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია კითხვის ფორმულირებაზე.
- ფაქტჩეკერის ლაბორატორია – ფაქტების გადამოწმების უნარის გამომუშავებისთვის. მოსწავლეები საეჭვო ინფორმაციას და გადამოწმების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით ადგენენ მისი სანდოობის ხარისხს. შედეგებს წარმოადგენენ მოკლე ანგარიშის სახით.
- ციფრული კვალი და პირადი მონაცემები – ციფრული უსაფრთხოებისა და პირადი

მოსწავლე, რომელიც სწავლობს გადამოწმებას, ეჭვის შეტანას და პასუხისმგებლობით უდგება საკითხს, უკეთ არის მომზადებული არა მხოლოდ გამოცდებისთვის, არამედ რეალური ცხოვრებისათვისაც.

მონაცემების მნიშვნელობის გააზრებისთვის მოსწავლეები მსჯელობენ, რა სახის ინფორმაციაა უსაფრთხო გასაზიარებლად, რა რისკებს შეიცავს პირადი მონაცემების უკონტროლო გავრცელება და როგორია ციფრული ჰიგიენის ძირითადი პრინციპები.

ეთიკური დილემები AI-ს გამოყენებაში – ეთიკური მსჯელობისა და პასუხისმგებლობის განაწილებისთვის განიხილება რეალური სასკოლო შემთხვევები (მაგ., დავალების სრულად AI-ს გამოყენებით შესრულება). მოსწავლეები მსჯელობენ დასაშვებ და დაუშვებელ შემთხვევებზე და აყალიბებენ ქცევის წესებს.

ალგორითმები კონტენტს, როგორ ამოიცნოს სინთეზური მედიის ნიშნები და როგორ გამოიყენოს როგორც ადამიანური განსჯა, ისე ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებიც ვერიფიკაციისთვის.

კვლევის, განათლებისა და ინოვაციების გაერთიანებით ჩვენ შეგვიძლია, გავაძლიეროთ საზოგადოების ნდობა ინფორმაციის მიმართ, რაც ხელს შეუწყობს ციფრული ეკოსისტემების მხარდაჭერას და დემოკრატიული ღირებულებების გათვალისწინებას.

N	თვითთშეფასების დებულება	მონიშვნა
1	ვუხსნი მოსწავლეებს, რომ AI შეიძლება შეცდეს	☐
2	ვთხოვ, მიუთითონ დავალების შესრულებისას AI-ს გამოყენების შესახებ	☐
3	ვასწავლი სანდო წყაროებში პასუხის გადამოწმების აუცილებლობას	☐
4	ვსვამ კითხვას: ვისი ხმა ისმის ამ ტექსტში?	☐
5	განვიხილავ მიკერძოებულ დ არაზუსტ მაგალითებს	☐
6	ვესაუბრები პირადი მონაცემების დაცვაზე	☐
7	თავად ვაჩვენებ AI-ს პასუხისმგებლობიანი გამოყენების მაგალითს	☐
8	არ ვკრძალავ – ვასწავლი გააზრებულ გამოყენებას	☐

ჩეკლისტი – მცირე თვითშეფასების ფორმა მასწავლებლისთვის

ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში მასწავლებლობა არა მხოლოდ ცოდნის გადაცემას, არამედ ფიქრის კულტურის დაცვასაც ნიშნავს. ტექნოლოგია შესაძლოა სწრაფად გვაძლევდეს პასუხს, მაგრამ კითხვების დასმას მაინც ადამიანი ასწავლის. მოსწავლე, რომელიც სწავლობს გადამოწმებას, ეჭვის შეტანას და პასუხისმგებლობით უდგება საკითხს, უკეთ არის მომზადებული არა მხოლოდ გამოცდებისთვის, არამედ რეალური ცხოვრებისათვისაც.

ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში მედიაწიგნიერება უნდა განვითარდეს ჰიბრიდულ დისციპლინად, რომელიც აერთიანებს კრიტიკულ აზროვნებას, ტექნოლოგიურ წიგნიერებას და ეთიკურ ცნობიერებას. აღარ არის საკმარისი უბრალოდ „წყაროს შემოწმება“ – მედიის დღევანდელმა მომხმარებელმა უნდა იცოდეს, როგორ აყალიბებენ

გამოყენებული ლიტერატურა:

1. UNESCO. (2021). *Media and Information Literacy: Curriculum for Teachers.* https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000377068
2. UNESCO. (2023). *Guidance on Generative AI in Education and Research.* https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000386693
3. UNESCO. (2018). *Journalism, Fake News & Disinformation.* https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000265552
4. Council of Europe. (2018). *Reference Framework of Competences for Democratic Culture.* https://www.coe.int/en/web/reference-framework-of-competences-for-democratic-culture
5. European Commission. (2022). *Tackling disinformation: The role of education.* https://education.ec.europa.eu/focus-topics/digital-education/action-plan
6. OECD. (2021). *Global competence and critical thinking in the age of AI.* https://www.oecd.org/education/global-competence/
7. InVID Project. (2023). *Verification tools for journalists and educators.* https://www.invid-project.eu/ Full Fact. (2022). Fact checking and education. https://fullfact.org/education/

მანანა ბოქორიშვილი

პედაგოგიკა ალგორითმებს მიღმა – რატომ არის მასწავლებელი აუცილებელი

ბოლო წლებში ხელოვნური ინტელექტის (AI) სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვნად შეცვალა განათლების სფეროში მიმდინარე დისკუსიები. მრავალი კვლევა უსვამს ხაზს AI-ს შესაძლებლობებს პერსონალიზებული სწავლების, შეფასების ავტომატიზაციისა და სასწავლო პროცესის ეფექტიანობის გაზრდის კუთხით (Luckin et al., 2016; Holmes et al., 2019). ალგორითმები მართლაც სწრაფად ითვლიან, არჩევენ და პროგნოზირებენ; მათ შეუძლიათ დავალებების ავტომატური გენერირება, პროგრესის მონიტორინგი და უკუკავშირი.

თუმცა სწავლა-სწავლება არ არის მხოლოდ ოპტიმიზაცია ან მონაცემთა დამუშავებაზე დაფუძნებული პროცესი. როგორც OECD-ს (2018) ანგარიშშია აღნიშნული, სწავლების ხარისხზე გადამწყვეტ გავლენას კვლავ მასწავლებლის პროფესიული კომპეტენცია, ემოციური ჩართულობა და საკლასო ურთიერთობების მართვა ახდენს. მსგავსად ამისა, Hattie-ს (2009) მასშტაბური მეტაანალიზი ადასტურებს, რომ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე ყველაზე ძლიერი გავლენა აქვს არა ტექნოლოგიურ რესურსებს, არამედ მასწავლებელ-მოსწავლის ურთიერთობის ხარისხს.

UNESCO-ს (2021) ხელოვნური ინტელექტის ეთიკის რეკომენდაციებში ხაზგასმულია, რომ AI განათლებაში უნდა განიხილებოდეს როგორც დამხმარე ინსტრუმენტი და არა როგორც პედაგოგიური ურთიერთობის შემცვლელი. დოკუმენტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ემპათია, ეთიკური პასუხისმგებლობა და კულტურული კონტექსტის გათვალისწინება – ასპექტები, რომელთა ალგორითმიზაცია პრაქტიკულად შეუძლებელია.

ამ კონტექსტში ნათელი ხდება, რომ, მიუხედავად ტექნოლოგიური პროგრესისა, სწავლა რჩება ღირებულებით, ემოციურ და ეთიკურ ურთიერთქმედებად. სწორედ მასწავლებელია ის, ვინც სასწავლო პროცესს ანიჭებს აზრს, უზრუნველყოფს კრიტიკული აზროვნების განვითარებას და აყალიბებს პასუხისმგებლობასა და სოციალური თანაცხოვრების უნარებს. ალგორითმებს არ გააჩნიათ ემპათია, ვერ აღიქვამენ კლასის ფსიქოემოციურ ფონს და ვერ იღებენ ეთიკურ გადაწყვეტილებებს კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით. ამიტომ ტექნოლოგია განათლებაში უნდა განიხილებოდეს როგორც ძლიერი დამხმარე და არა როგორც მასწავლებლის შემცვლელი, რადგან პედაგოგიკა ალგორითმებს მიღმა იწყება, იქ, სადაც სწავლა ადამიანურ ურთიერთობად იქცევა.

ამ მოსაზრების გასამყარებლად განვიხილოთ ის ძირითადი პედაგოგიური განზომილებები, რომლებიც ცხადყოფს სწავლებაში მასწავლებლის შეუცვლელ როლს ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში.

1. სწავლა როგორც ურთიერთობა

სწავლა იწყება ნდობით. მოსწავლის მოტივაცია ხშირად იმ დროს იბადება, როცა ვიღაც ხედავს მას, უსმენს და პასუხობს კონტექსტში. ალგორითმი რეაგირებს მონაცემზე, მასწავლებელი – მოსწავლეზე, ადამიანზე.

მაგალითი: მოსწავლე სისტემატურად არ ასრულებს დავალებებს. AI აფიქსირებს „დაბალ ჩართულობას“, ხოლო

სწორედ მასწავლებელია ის, ვინც სასწავლო პროცესს ანიჭებს აზრს, უზრუნველყოფს კრიტიკული აზროვნების განვითარებას და აყალიბებს პასუხისმგებლობასა და სოციალური თანაცხოვრების უნარებს.

პედაგოგიკა ალგორითმებს მიღმა არ ნიშნავს ტექნოლოგიის უარყოფას; ის გულისხმობს იმ საზღვრების გააზრებას, სადაც იწყება ადამიანის პასუხისმგებლობა, ურთიერთობა და აზრის დაბადება – სივრცე, სადაც მართლაც ასწავლიან და სწავლობენ.

მასწავლებელი პირად საუბარში იგებს, რომ ბავშვი ოჯახურ სირთულეებს განიცდის. მასწავლებელი ცვლის დავალების ფორმას, აგრძნობინებს მოსწავლეს მხარდაჭერას და ნდობის აღდგენის შემდეგ მოტივაციაც იზრდება.

2. ემოციური ინტელექტი და კეთილდღეობა

კლასში ხდება უხილავი პროცესები: ვიღაც შფოთავს, ვიღაცას რცხვენია, ვიღაც ზედმეტად თავდაჯერებულია, ვიღაცას უხარია... მასწავლებელი ამჩნევს ტონს, პაუზას, თვალის კონტაქტს და დროულად ცვლის სტრატეგიას. ეს არ არის „ფუნქცია“ – ეს თანაგრძნობაა.

მაგალითი: პრეზენტაციის დროს მოსწავლეს ხმას უწყდება და ჩერდება. მასწავლებელი ამჩნევს დაძაბულობას, სთავაზობს ბავშვს თანაკლასელის დახმარებას ან პრეზენტაციის სხვა ფორმით გაგრძელებას. მოსწავლე თავს დაცულად გრძნობს და მომავალში უფრო თამამად ერთვება აქტივობებში.

3. აზროვნების განვითარება, არა მხოლოდ პასუხები

ალგორითმი გვაძლევს პასუხს, მასწავლებელი სვამს სწორ კითხვას. კრიტიკული, შემოქმედებითი და მორალური მსჯელობა იბადება დიალოგში, შეცდომებზე ფიქრსა და არგუმენტაციაში – იქ, სადაც ერთმნიშვნელოვნად სწორი პასუხი არ არსებობს.

მაგალითი: AI სთავაზობს ამოცანის სწორ ამოხსნას, მასწავლებელი კი ეკითხება:

„სხვა გზით როგორ შეიძლება ამოხსნა?“

„რომელი ნაბიჯი იყო ყველაზე რთული და რატომ?“



შედეგად, მოსწავლე სწავლობს ფიქრს პროცესზე და არა მხოლოდ შედეგზე.

4. ეთიკა და პასუხისმგებლობა

განათლება არჩევანია: რას ვასწავლით, რატომ და რა შედეგებით. მასწავლებელი იღებს ეთიკურ პასუხისმგებლობას – იცავს სამართლიანობას, ჩართულობას, ბავშვთა ინტერესებს. ალგორითმი მიზანს ასრულებს, მასწავლებელი აზრს ანიჭებს.

მაგალითი: ალგორითმი პლაგიატად აფასებს მოსწავლის ნაშრომს. მასწავლებელი ამჩნევს, რომ ბავშვმა უბრალოდ ვერ გაიაზრა ციტირების წესები და ქულის დაკლების ნაცვლად იყენებს ამას სასწავლო შესაძლებლობად – ასწავლის აკადემიურ ეთიკას.

5. კონტექსტი და კულტურა

ერთი და იგივე ინსტრუმენტი სხვადასხვა კლასში სხვადასხვანაირად მუშაობს. მასწავლებელი ითვალისწინებს კულტურულ ფონს, ენას, ოჯახურ რეალობას და სკოლის მიკროკლიმატს. ეს „კონტექსტუალური ინტელექტი“ ვერ ჩაჯდება უნივერსალურ მოდელში.

მაგალითი: AI-ს მიერ შემოთავაზებული ტექსტი რთულია მრავალენოვანი კლასისთვის. მასწავლებელი ამარტივებს ენას, ამატებს ვიზუალურ მასალას და აკავშირებს თემას მოსწავლეთა ყოველდღიურ გამოცდილებასთან.

6. ტექნოლოგია როგორც ინსტრუმენტი და არა შემცვლელი

AI შესაძლოა დიდად დაგვეხმაროს პერსონალიზებაში, ანალიზსა და დროის დაზოგვაში, მაგრამ მიმართულებას ადამიანი აძლევს. საუკეთესო შედეგს ვიღებთ მაშინ, როცა ტექნოლოგია ემსახურება პედაგოგიურ მიზანს და არა პირიქით.

მაგალითი: მასწავლებელი იყენებს AI-ს დავალებების დიფერენცირებისთვის, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას: რა, როდის და როგორ გამოიყენოს, – თავად იღებს კლასის საჭიროებების მიხედვით.

წარმოდგენილი ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესში ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ვერ ანაცვლებს მასწავლებლის ფუნდამენტურ როლს, მიუხედავად მისი მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური პოტენციალისა. თანამედროვე კვლევები ადასტურებს, რომ სწავლების ხარისხი განისაზღვრება არა მხოლოდ ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით, არამედ იმ ადამიანური ურთიერთობებითაც, რომლებიც სწავლას აზრსა და ღირებულებით დატვირთვას ანიჭებს (Hattie, 2009; OECD, 2018).

სტატიაში განხილული ექვსი პედაგოგიური განზომილება: სწავლა როგორც ურთიერთობა, ემოციური ინტელექტი და კეთილდღეობა, აზროვნების განვითარება, ეთიკა და პასუხისმგებლობა, კონტექსტისა და კულტურის გათვალისწინება და ტექნოლოგიის მიზნობრივი გამოყენება, – აჩვენებს, რომ მასწავლებელი რჩება სწავლების პროცესის ცენტრალურ ფიგურად. ეს ასპექტები ეფუძნება ემპათიას, პროფესიულ განსჯასა და ეთიკურ არჩევანს, რაც ალგორითმული სისტემებისთვის მიუწვდომელია.

UNESCO-ს (2021) რეკომენდაციების შესაბამისად, ტექნოლოგია განათლებაში უნდა განიხილებოდეს როგორც პედაგოგიური საქმიანობის გამაძლიერებელი და არა მისი შემცვლელი. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ხელოვნური ინტელექტი ემსახურებოდეს განათლების ჰუმანისტურ მიზნებს და არ აზიანებდეს სწავლების ადამიანურ მხარეს.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ მომავლის განათლება ეფუძნება არა მასწავლებლის როლის დაკნინებას, არამედ მის გაძლიერებას ტექნოლოგიური მხარდაჭერით. პედაგოგიკა ალგორითმებს მიღმა არ ნიშნავს ტექნოლოგიის უარყოფას; ის გულისხმობს იმ საზღვრების გააზრებას, სადაც იწყება ადამიანის პასუხისმგებლობა, ურთიერთობა და აზრის დაბადება – სივრცე, სადაც მართლაც ასწავლიან და სწავლობენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Hattie, J. (2009). Visible learning: A synthesis of over 800 meta-analyses relating to achievement. Routledge.
2. Holmes, W., Bialik, M., & Fadel, C. (2019). Artificial intelligence in education: Promises and implications for teaching and learning. Center for Curriculum Redesign.
3. Luckin, R., Holmes, W., Griffiths, M., & Forcier, L. B. (2016). Intelligence unleashed: An argument for AI in education. Pearson.
4. OECD. (2018). Teachers as designers of learning environments: The importance of innovative pedagogies. OECD Publishing.
5. UNESCO. (2021). Recommendation on the ethics of artificial intelligence. UNESCO.

მაია გამეზარდაშვილი

ჩვენ ყველა „ჩვენ“ ვართ – ადრეული ინკლუზიური განათლება

ინკლუზია ყველას ეხება. ჩვენ ყველა „ჩვენ“ ვართ. ესაა ღირებულება და ხედვა, რომელიც ჩვენი განვითარებულ და ჰუმანურ საზოგადოებად ჩამოყალიბების ნიშანია და მნიშვნელოვანია, გავაცნობიეროთ, რომ ეს პროცესი ადრეული ასაკიდანვე იწყება.

რაც ადრე, მით უკეთესი – ეს ინკლუზიური განათლების და ადრეული ინტერვენციის ერთ-ერთი პრინციპია. რაც „ადრე“, ანუ ადრეულ ბავშვობაში ხდება, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს ყოველმხრივ განვითარებასა და პიროვნების ფორმირებაზე ახდენს გავლენას. ჰუმანური საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ღირებულება ინკლუზიურობაა. ეს არ ნიშნავს ვიღაცებისთვის განსაკუთრებული წყალობის მინიჭებას, ან ვინმეს შეცვლას და გარკვეულ ნორმებზე მორგებას. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ განვვითარდეთ, როგორც საზოგადოება. არ უნდა არსებობდეს „ჩვენ“ და „ისინი“. ყველანი „ჩვენ“ ვართ. ჩვენ ყველა ერთნი ვართ და „ჩვენ“ და „ისინის“ გაჩენა უკვე ქმნის სტიგმატიზაციისა და დეჰუმანიზაციის საფრთხეს. სწორედ ამიტომ, ჯანსაღ საზოგადოებაში არ არსებობს ასეთი სეგრეგაცია, ყველანი „ჩვენ“ ვართ.

ამ ღირებულებითი სისტემისა და ფილოსოფიური ხედვის გაზიარება და შესაბამისად, ინკლუზიის სრულფასოვნად განხორციელება პრაქტიკაში დღეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ამ სტატიის ფოკუსი კი არის ინკლუზიის ნამდვილი არსის გააზრება და იმ ღირებულებების ხაზგასმა, რომლებსაც ადრეული ინკლუზიური განათლება აძლევს საზოგადოებას. ასევე, ის, თუ როგორია სწორი და ნამდვილი გაგება ინკლუზიისა და რომელია არასწორი და დეფორმირებული ხედვა ამ პროცესის, რადგან სწორედ აღნიშნულის გაგება, მიღება და ცოდნა არის ერთ-ერთი ფუნდამენტური საკითხი საკლასო ოთახებსა და სასწავლო-სააღმზრდელო ჯგუფებში ინკლუზიური განათლების ეფექტურობისთვის.

ინკლუზიაში ერთ-ერთი ძირითადი ბარიერი მისი არასწორი გაგებაა, მისი, როგორც **ასიმილაციის** აღქმა. ასიმილაციის დროს აქცენტირებულია ბავშვის ცვლილება იმისთვის, რომ ის გახდეს საკმარისად „ნორმალური“, რათა მოერგოს გარემოს და სისტემას და არა, პირიქით, მოხდეს გარემოსა და პირობების ადაპტირება, აკომოდაცია და მორგება ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. ყოფნა, არ ნიშნავს ინკლუზიას, ის არაა საკმარისი. ინკლუზიის საუკეთესო ვერსია არც **ინტეგრაციაა**, თუმცა, შესაძლოა, პოზიტიურად ჟღერდეს. ის მაინც არ გულისხმობს გარემოსა და პირობების სრულ ადაპტირებას, ცვლილებასა და მორგებას. ასე რომ, ინტეგრირების პრინციპი არაა სრულყოფილი. მას ხშირად ფორმალურობასა და სრული ჩართულობის დეფიციტს ედავებიან, რადგან ინტეგრაციის დროს, ბავშვი დროის დიდ ნაწილს შესაძლოა, ატარებდეს ცალკე სივრცეში და სასწავლო პროცესში მისი ჩართვა მხოლოდ გარკვეული აქტივობების დროს ხდებოდეს, რაც დროისა და არც საგანმანათლებლო პროცესების უმნიშვნელო ნაწილია. ნამდვილი ინკლუზიის დროს ხორციელდება დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმისაგან თავისუფალი, სოციალური და აკადემიური ინკლუზია, ბავშვის სრული ჩართვა პროცესში მისი შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენებით და გარემოს შესაბამისი ადაპტირების გზით და ყველა მცდელობა და ძალისხმევა სწორედ ამისკენაა მიმართული.

საზოგადოების ნაწილს ეშინია ინკლუზიის. რატომ? რა საფრთხეებს ხედავენ? ის, რაშიც ხედავენ შიშს, სინამდვილეში ინკლუზიური განათლების საყოველთაო სიკეთე და სარგებელია.

ინკლუზია და აკადემიური მოსწრება

მშობლები და თვით ადრეული განათლების სპეციალისტებიც კი ღელავენ იმაზე, რომ დარღვევების მქონე ბავშვების ინკლუზიამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს დანარჩენების აკადემიურ შედეგებზე, თუმცა კვლევები საპირისპიროს ამბობს. ბავშვები, რომლებსაც არ აქვთ დარღვევები, ავლენენ თანაბარ ან უფრო მაღალ აკადემიურ შედეგებს, ვიდრე ისინი, ვინც არაინკლუზიურ გარემოში სწავლობენ.

ინკლუზია და ქცევა

წუხილის საგანია ბავშვების ქცევაზე გავლენის მოხდენაც. თუმცა ინკლუზიური განათლება ხელს უწყობს პოზიტიური ქცევის განვითარებას, მათ შორის, დამოუკიდებლობის, მოთმინების, სხვისი განსხვავებულობის მიღებისა და საჭიროებებისადმი პასუხისმგებლობის განვითარებას.

კომუნიკაციის, ენისა და ფიზიკური განვითარება

ინკლუზიისას მდიდრდება დანარჩენი ბავშვების ენისა და მეტყველების უნარები და ასევე, კვლევების მიხედვით, უმჯობესდება მათი ფიზიკური განვითარებაც.

საზოგადოების ნაწილს ეშინია ინკლუზიის. რატომ? რა საფრთხეებს ხედავენ? ის, რაშიც ხედავენ შიშს, სინამდვილეში ინკლუზიური განათლების საყოველთაო სიკეთე და სარგებელია.

კვლევების მზარდი რაოდენობა ავლენს საინტერესო მიგნებას იმის შესახებ, რომ უფრო მეტია ბულინგის ალბათობა სეგრეგირებულ გარემოში, ვიდრე იქ, სადაც ინკლუზიური განათლებაა დანერგილი. ინკლუზიური განათლება უზრუნველყოფს სოციალურ და ემოციურ განვითარებას, მეგობრული ურთიერთობების, ემპათიის ჩამოყალიბებას, რაც სეგრეგირებულ გარემოში ვერ მოხერხდებოდა. ის უზრუნველყოფს მიკუთვნებულობის განცდას ბავშვებში, რაც იდენტობისა და პოზიტიური თვითშეფასების ფორმირების წინაპირობაა.

სხვადასხვა სოციალურ გარემოში გარკვეული თვალსაზრისით განსხვავებულის დანახვისას ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს გაოცების რეაქცია; ვარქმევთ მას ახალ, უცნაურ სახელს, რაც სტიგმატიზაციის წინაპირობას ქმნის. ადრეული ინკლუზიური განათლება კი არის წინაპირობა იმისა, შეიქმნას იმგვარი ჰუმანური საზოგადოება, რომელშიც განსხვავებულობა გაოცებისა და გაკვირვების საგანი არ იქნება და ის ისეთივე ჩვეულებრივ მოვლენად იქნება აღქმული, როგორც, მაგალითად, თაფლისფერი თვალები. დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმისაგან თავისუფალი საზოგადოების კონტურები ადრეული ასაკიდანვე იკვეთება და ყალიბდება. ადრეული განათლების პროფესიონალებს – პედაგოგებს ამ პროცესში მძლავრი და ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი როლი აქვთ.

როგორ მივხვდეთ, ნამდვილად ვახორციელებთ თუ არა ინკლუზიას? ახალ ზელანდიაში მშობლებსა და ადრეული ასაკის ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების კვლევის შედეგად იდენტიფიცირდა ის ფაქტორები, რომლებიც ამის განსაზღვრაში დაგვეხმარება. ამ კვლევის შედეგები თავისუფლად შეგვიძლია განვაზოგადოთ და ვუპასუხოთ ჩვენს კითხვას, როდის ხორციელდება ნამდვილი ინკლუზია:

- როდესაც ბავშვები და მშობლები არიან მიღებულები, როგორც საზოგადოების ღირებული წევრები და გრძნობენ მიკუთვნებულობას;
- ინკლუზია აღიქმება, როგორც ჩვეულებრივი, ორდინალური მოვლენა და ცხოვრების ნაწილი;
- როდესაც მიესალმებიან მშობლების ჩართვასა და კოლაბორაციას;
- როდესაც თანატოლების მიმღებლობა და სოციალური ერთობა წახალისებულია;
- როდესაც ბავშვის მისაღებად პირობები არაა დაწესებული და მის ყოფნას ნებისმიერ დროს მიესალმებიან;
- ადაპტაციები განხორციელებულია;
- ადრეული განათლების სპეციალისტები მუშაობენ იმისთვის, რომ მხარი დაუჭირონ მშობლებს და გაუწიონ ადვოკატირება;
- ქმნიან საჭირო რესურსებს, ცვლიან გარემოს და მოიძიებენ დაფინანსებას საჭიროების მიხედვით;
- ყველა თანამშრომელი ჩართულია ყველასთან. მაგალითად, დამხმარე სპეციალისტების მხარდაჭერას იყენებენ ნებისმიერი საჭიროების დროს, ასევე, გარე და მოწვეული სპეციალისტები მუშაობენ მასწავლებლებთან ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად.

ინკლუზია ყველას ეხება. ჩვენ ყველა „ჩვენ“ ვართ. ესაა ღირებულება და ხედვა, რომელიც ჩვენი განვითარებულ და ჰუმანურ საზოგადოებად ჩამოყალიბების ნიშანია და მნიშვნელოვანია, გავაცნობიეროთ, რომ ეს პროცესი ადრეული ასაკიდანვე იწყება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ardic, A. 2014. *A Practical Guide to Early Childhood Inclusion: Effective Reflection.* International Journal of Early Childhood Special Education.
2. Blackburn, C. 2016. *Early Childhood Inclusion in The United Kingdom.* Infants and Young Children.
3. Cologon, K. 2014. *Better Together: Inclusive Education in The Early Years.* Oxford University Press.
4. European Agency for Special Needs and Inclusive Education. 2017. *Inclusive Early Childhood Education: New Insights and Tools – Final Summary Report.*
5. Rietveld, C.M. 2010. *Early Childhood Inclusion: The Hidden Curriculum of Peer Relationships.* New Zealand Journal of Educational Studies.
6. MacArthur, J. 2009. *Learning Better Together.*

www.mastsavlebeli.ge

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

სოფიო ლორთქიფანიძე

თამაში ფრაზეოლოგიზმებით

ფრაზეოლოგიზმების სწავლება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს, რადგან ისინი ენობრივი აზროვნების სიღრმესა და ერის კულტურულ სიდიადეს ასახავენ. ფრაზეოლოგიზმების ცოდნა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გაიმდიდრონ მეტყველება, ის უფრო ექსპრესიული, ემოციურად ზუსტი გახადონ. თუმცა, ფაქტია, რომ ტრადიციული მიდგომები ხშირად ვერ უზრუნველყოფენ ფრაზეოლოგიზმების სწავლების ეფექტიან შედეგებს. ამიტომ საგაკვეთილო პროცესში აუცილებელია ისეთი მეთოდიკის გამოყენება, რომელიც მარტივს ხდის მოსწავლისთვის სწავლების მიზნების მიღწევას, ასევე ჩართულობას, მოტივაციას. ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტერაქტიური მეთოდების, მათ შორის „თამაშით სწავლების“ გამოყენება, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის სწავლების ეფექტიანობას და შედეგებსაც გაზომვადს ხდის.

სწავლების პროცესში ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობა რამდენიმე ინდიკატორით შეიძლება შეფასდეს, მათ შორის:

1. **ენობრივი კომპეტენცია:** ავითარებს მეტაფორულ აზროვნებასა და ენობრივ მოქნილობას;
2. **კულტურა და იდენტობა:** ხალხური სიბრძნიდან, ზღაპრებიდან, ბიბლიური და ისტორიული კონტექსტებიდან მოდის;
3. **ლექსიკური მრავალფეროვნება:** ის ტექსტს უფრო ცოცხალსა და მხატვრულს ხდის.

გთავაზობთ საკუთარ გამოცდილებას, რომელიც მე-7 კლასში, ქართული ენისა და ლიტერატურის საგაკვეთილო პროცესში განვახორციელე. მიღებულმა შედეგებმა აჩვენეს, რომ დაგეგმილმა აქტივობამ მიზნების გათვალისწინებით უზრუნველყო მოსალოდნელი მყისიერი შედეგი და რეალისტური გახადა გრძელვადიანი ცოდნა.

აქტივობის აღწერა: „თამაში ფრაზეოლოგიზმებით“

მოსწავლეებს დავურიგე ბევრი სხვადასხვა სახის ფრაზეოლოგიზმი, რომელსაც სწავლობდნენ და პერიოდულად ვიბარებდი. მოსწავლეები, რომლებმაც ყველა ხატოვანი თქმა ისწავლეს, გადავიდნენ დასკვნით ეტაპზე, ანუ შემაჯამებელ აქტივობაში მიიღეს მონაწილეობა. ეს არის 10 ტურისგან შემდგარი ინტელექტუალური თამაში, მოსწავლეები ორ გუნდად იყოფიან (2 მე-7 კლასი), თითო ტურში სხვადასხვა ტიპის დავალებას ასრულებდნენ.

ტურები

1. ინდივიდუალური ამოცანა – მოსწავლე ყულაბიდან იღებს ფრაზეოლოგიზმს და განმარტავს.
2. ფრაზეოლოგიზმის წარმომავლობა – გუნდებს ეძლევათ შეკითხვები ფრაზეოლოგიზმების ისტორიულ/კულტურულ წარმოშობაზე.
3. ფოტოსურათის ამოცნობა – ეკრანზე გამოჩნდება სურათი და უნდა დაასახელონ, რომელ ფრაზეოლოგიზმზე მიგვანიშნებს. მაგ: სიზიფეს შრომა
4. შებრუნებული წყობა – (წყვილური თამაში) ვასახელებთ ფრაზეოლოგიზმის განმარტებას და უნდა გამოიცნონ, მაგ: დაკარგვა=დედამიწამ პირი უყო.
5. „გულის“ ფრაზეოლოგიზმები – გუნდები წერენ მაქსიმალურად ბევრ ფრაზეოლოგიზმს, რომელშიც გამოყენებულია სიტყვა – გული. ქულა ენიჭება იმ გუნდს, რომელიც მეტს დაწერს.
6. სინონიმური ფრაზეოლოგიზმები – ახსენი ფრაზეოლოგიზმი ფრაზეოლოგიზმით, მაგ: ენა მუცელში ჩაუვარდა=ენა დაება (დადუმდა, გაჩუმდა)
7. გამოიცანი ფრაზეოლოგიზმი – მოცემული არეული ასოებისგან ფრაზეოლოგიზმის აწყობა.
8. ჩანახატის წარდგენა – გუნდებმა წინასწარ მიწოდებული 10 ფრაზეოლოგიზმისგან შეადგინეს პატარა მხატვრული ტექსტი. (მაგ.: *ლაფში ამოსვრა, ყურის გდება, გუდას პირი მოხსნა* და სხვ.). შეფასების კრიტერიუმები: ორიგინალურობა, ყველა ფრაზეოლოგიზმის გამოყენება, მხატვრულობა.
9. გუნდების მიერ მომზადებული დავალებები – ერთმანეთს მოუმზადეს დავალებები ფრაზეოლოგიზმებზე, მაგ: კროსვორდი.
10. კაპიტნების ბლიცი – სწრაფი შეკითხვები კაპიტნებს. გამარჯვებულია ის, ვინც 1 წუთში მეტ ფრაზეოლოგიზმს განმარტავს.

თითო ტური ფასდებოდა 2 ქულით, მოსწავლეებს აფასებდა ჟიური.

აქტივობის შედეგად:

- მოსწავლეებმა გაიღრმავეს ფრაზეოლოგიზმების ცოდნა და პრაქტიკული გამოყენების უნარი;
- განივითარეს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნება;
- განივითარეს გუნდური თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარი.

ამრიგად, „თამაში ფრაზეოლოგიზმებით“ არის ინტერაქტიური სწავლების ეფექტური ფორმა, რომელიც აერთიანებს ლექსიკასთან მუშაობის სიღრმესა და თამაშის ელემენტებს. მსგავსი აქტივობები რეკომენდებულია როგორც დამატებითი ინსტრუმენტი ფრაზეოლოგიზმების სწავლის პროცესში, ვინაიდან ხელს უწყობს, როგორც ენობრივი კომპეტენციის გაღრმავებას, ასევე მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას.

ლელა კოტორაშვილი

პერსონაჟის გული

„პერსონაჟის გულის“ იდეა პორტუგალიელი ილუსტრატორის ლუკას ლოპესის ინსტაგრამგვერდის თვალიერებისას დამებადა. ლუკასი სხვადასხვა ასაკის ადამიანებს ხატავს, აკვარელით აფერადებს და გულში თემატურ დეტალებს ათავსებს, ნახატს შესაფერის მუსიკას ურჩევს და ამგვარად მნახველს ფიქრისთვის განაწყობს.

ლუკასის იდეა ლიტერატურას მოვარგე და გადავწყვიტე, პერსონაჟების გულები თვალსაჩინოებად მექცია. შევიძინე აკვარელი, ფუნჯები, სქელი ქაღალდი და ზაფხულში ჩანაფიქრი ავისრულე. ერთი სული მქონდა, როდის გავაცნობდი ამ მეთოდს სკოლის მოსწავლეებს. დარწმუნებული ვიყავი, ძალიან მოეწონებოდათ და სემესტრის დასასრულს უკვე შემიძლია, გაგიზიაროთ მეთოდი, რომელსაც სახელად **„პერსონაჟის გული“** დავარქვი.

„პერსონაჟის გული“ ყველა საფეხურის მოსწავლეებს გავაცანი და, შეიძლება ითქვას, სემესტრის დაუვიწყარი შთაბეჭდილებები სწორედ მასზე მუშაობას უკავშირდება.

მიხეილ ჯავახიშვილის „მიწის ყივილის“ მთავარი პერსონაჟი ანდრო კაიშაური – მეცხრეკლასელებთან, ანე ფრანკი – მეშვიდე კლასთან, მკითხველთა კლუბის წევრებთან ერთად – მერი პოპინსი, მერი ლენოქსი, ლიტერატურულ კაფეში კი ნატო დავითაშვილის პერსონაჟები კოპალა და ერეკლე – სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის პერსონაჟების გულები გავაცოცხლეთ.

ნაბიჯი 1. პირადი მაგალითი

ბავშვების გულების ასანთებად პირად მაგალითს ვიყენებ. ჩემი დაკვირვებით, მასწავლებლის ხელით დამზადებული რესურსი ქმედებისთვის მომართავს მათ, მერე კი მათთან ერთად ვიწყებ კეთებას – ნაბიჯ-ნაბიჯ ვაჩვენებ თითოეულ ეტაპს.

მაგალითად, ანდრო კაიშაური მათ თვალწინ დავხატე, გამოვჭერი, მერე კი თითოეულ მოსწავლეს დავეხმარე, დავაკვალიანე და არც მუშაობის პროცესში მომიდუნებია ყურადღება. საგულდაგულოდ ვინახავ ვიდეოს, რომელიც მოსწავლეების ხელებს გადავუღე. ეს იყო გაკვეთილი, რომელშიც მთელი კლასის ჩართვა შევძელი.

ანე ფრანკიც ბავშვებთან ერთად დავხატე და გამოვჭერი. მთავარია, მათ იგრძნონ მასწავლებლის ყურადღება, ინტერესი, შედეგი იმდენად შთამბეჭდავია, უზღვავი ენერგიით გვავსებს.

ნაბიჯი 2. ლუკას ლოპესის ნამუშევრების გაცნობა

ლუკას ლოპესის ნამუშევრები ძალიან მოსწონთ ბავშვებს. ხელოვანის თითოეული პერსონაჟი იმდენად საინტერესო და გამორჩეულია, მნახველს ქმედების სურვილით ავსებს.

ნაბიჯი 3. მინილექცია გულის შესახებ

გამომცემლობა „არტანუჯმა“ გამოსცა წიგნი სახელად „გულის ლექსიკონი“ **(ავთანდილ არაბული, მანანა ტუსკია, 2023)**, რომლის ანოტაციაში ვკითხულობთ: „ყოველ ენას მოეპოვება თავისი ცენტრალური სიტყვა (თუ სიტყვათა ჯგუფი), რომელიც საუკეთესოდ ავლენს ენის სიტყვათწარმოქმნისა თუ შემოქმედებით პოტენციას.

თქვენ წინაშე წარმოდგენილი ლექსიკონი თვალნათლივ გიჩვენებთ, რომ ქართველთა ბუნებისა და მხატვრულ-შემოქმედებითი პოტენციის გამომხატველი მთავარი „ენერგეტიკული ბირთვი“ არის სიტყვა „გული“, რომელიც ლექსიკური და ფრაზეოლოგიური სიტყვათწარმოქმნისა და ენობრივი გამომსახველობის მართლაც უშრეტ საფუძველს წარმოადგენს“.

ლექსიკონში თავმოყრილია გულთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები, სიტყვათშეთანხმებები, რომელთა გაცნობისას ვრწმუნდებით, რომ ქართული ენის ბირთვი მართლაც სიტყვა „გულია“.

ამ ლექსიკონის მიხედვით მინილექციისთვის გაკვეთილის აკინძვა შეიძლება. ასევე ყურადღებას ვამახვილებთ გულზე როგორც ემოციების გამტარზე.

ამასთანავე, გულის გათბობა ჩემი მასწავლებლობის უმთავრეს მიზნად მიმაჩნია. ყოველგვარი ცოდნა და უნარი აზრს კარგავს, თუკი გულში არ გაიარა, თუკი გულმა არ აისხლიტა და სითბოდ არ დააბრუნა.

ნაბიჯი 4. გულის ირგვლივ ასოციაციური რუკის შექმნა

დაფაზე ვწერ სიტყვას „გული“ და მოსწავლეებს ვთხოვ, მიკარნახონ ყველა სიტყვა თუ ფრაზეოლოგიზმი, რაც კი გულის ირგვლივ გაახსენდებათ.

მეშვიდეკლასელების ასოციაციური რუკა ასეთი გამოვიდა: **გულზე ლოდი დამაწვა, გული გამისკდა, გული ამიჩუყდა, გულუხვი, გული გადაუშალა, გულგატეხილი, გული გადამიტრიალდა, გული ამიფანცქალდა, გულგატეხილი, გულიანი, გულზე დარდი დამაწვა, გულზე არ მეხატება, გულდამწვარი, გული მომილბა, უგულო...**

ნაბიჯი 5. მთავარი დეტალები

პერსონაჟის გულზე საუბრისას მნიშვნელოვანი ეტაპია ტექსტიდან იმ მთავარი დეტალების შერჩევა, რომლებიც პერსონაჟის პორტრეტს ქმნის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პერსონაჟის გულის დამზადება ტექსტის შესწავლის შემდგომი ეტაპია, რადგან სწორედ ტექსტია ის მასალა, საიდანაც საჭირო დეტალები უნდა ამოვკრიფოთ.

„ანე ფრანკის დღიურის“ 50 გვერდის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეებთან ერთად დაფაზე ჩამოვწერე დეტალები, რომლებიც მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის პერსონაჟის შესახებ:

დღიური, ნაყინი, ველოსიპედი, ვარსკვლავი, მონტესორის ბაღი/სკოლა, ჟაკეტი, ყაყაჩოს შტო, ფილმი „შუქურის დარაჯი“, სავარცხელი, სათხილამურო ფეხსაცმელი...

ნაბიჯი 6. პერსონაჟის გამოჭრა

ზემოთ ჩამოთვლილი ეტაპების შემდეგ დგება დრო, როდესაც თითოეული მოსწავლე დამოუკიდებლად ქმნის პერსონაჟს – ხატავს, ჭრის, აფერადებს.

ნაბიჯი 7. მთავარი დეტალების არჩევა

დაფაზე ჩამოწერილი დეტალებიდან ვარჩევთ სამს, მცირე ზომის ფორმებად ვხატავთ, ვჭრით და გულში ვაკრავთ. ჩემი დაკვირვებით, მთავარი დეტალები ხშირად მეორდება, ამიტომ დავამატოთ თავისუფალი არჩევანი და მოსწავლეებს ვთხოვოთ, თავად შეარჩიონ წიგნიდან ერთი დეტალი

.

შერჩეული დეტალების მეშვეობით ყურადღებას ვამახვილებთ პერსონაჟის:

- **საცხოვრებელ გარემოზე;**
- **ოჯახზე;**
- **განათლებაზე;**
- **მეგობრებზე;**
- **ინტერესებზე;**
- **ხასიათზე;**
- **ღირებულებებზე;**
- **ეპოქაზე.**

ნათია უჩავა

მომავლის პროფესია

ნაბიჯი 8. ნამუშევრის წარდგენა

ეს ბოლო ეტაპია და, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანიც, რადგან, თუ მოსწავლემ იმუშავა, თავი გაართვა ყველაფერს, შექმნა, იფიქრა, შეარჩია, ბოლოს აუდიტორიის – კლასისა და მასწავლებლის – წინაშე საკუთარი ნამუშევრის წარდგენა და თავისი არჩევანის შესახებ საუბარი მას ახალ გამოცდილებას შესძენს, საპრეზენტაციო უნარებს გამოუმუშავებს, საკუთარი აზრის საჯაროდ გამოხატვას ასწავლის და დაარწმუნებს, რომ, მიუხედავად ერთი პერსონაჟის მრავალჯერადი გამეორებისა, თითოეული პორტრეტი ინდივიდუალურია.

„ანე ფრანკის დღიური“ მეშვიდე კლასისთვის საკითხავ წიგნად განვსაზღვრე. 12-13 წლის ქართველ ბავშვებს ძალიან მოსწონთ თანატოლი პერსონაჟი, ცხოვრებისეული სირთულეებისადმი მისი დამოკიდებულება, უკვირთ, რთულ პირობებში ანე როგორ ინარჩუნებს ხალისს. წიგნებისადმი მისი სიყვარულიც მისაბაძია. საერთო წიგნის შერჩევისას ჩემი კიდევ ერთი მიზანი ბავშვების ცნობიერების ამაღლება იყო. მის წაკითხვამდე მოიძიეს ინფორმაცია მეორე მსოფლიო ომის, ჰოლოკოსტის, დიქტატორების შესახებ და კლასს წარუდგინეს. ანე ხშირად წერს ხასიათისა თუ სხეულის ასაკობრივ ცვლილებებზე, რაც საპირისპირო სქესის განვითარების შესახებ მნიშვნელოვანი ცოდნის დაგროვების შესაძლებლობას იძლევა.

ვფიქრობ, წიგნის დასრულების შემდეგ დავხატავთ ანე ფრანკს დიდი გულით, თითოეული მოსწავლე ერთ დეტალს მოათავსებს მის გულში და კლასში გამოვფენთ.

გთავაზობთ დეკემბერში მეცხრე კლასთან გამართულ ლიტერატურულ კაფეში ჩაწერილ ვიდეოს, რომელშიც ჩემი ხელით შექმნილი პორტრეტის გულის მიხედვით ვსაუბრობ ანე ფრანკზე:

https://www.youtube.com/watch?v=wJUdhjlgy6U

ბავშვობაში ერთხელ მაინც ყველას გვითქვამს: „მე მინდა გამოვიდე...“ და გვიოცნებია ამ პროფესიაზე, გვინატრია, გეგმები დაგვისახავს. დღეს, როდესაც ჩვენი ბავშვობის სურვილებს რეალობას ვადარებთ, ალბათ ზოგ შემთხვევაში ახდა, ან-არა. შესაძლოა ისიც გვიფიქრია, რამ განაპირობა შედეგი, მიზეზებს ჩავღრმავებულვართ... თუმცა ეს წერილი ჩვენი ბავშვობის ოცნებების ასრულება/ვერ ასრულებაზე არაა, ეს წერილი იმაზეა, თუ რა როლი აქვს მასწავლებელს პროფორიენტაციაში, როგორ შევუწყოთ ხელი არჩევანის გაკეთებას პროფესიის დროს ან უბრალოდ, როგორ ვუბიძგოთ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდნენ საკუთარ სურვილებს.

სოციალურ ქსელში ჩემი მეგობრის, გიტა თვალაბეიშვილის მიერ ატვირთული ვიდეო შემხვდა, სადაც მოსწავლეების ფოტოები AI-ით იყო შექმნილი, სადაც ისინი გაზრდილები, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები იყვნენ. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე, რომ ჩემი მოსწავლეებისთვის მეც გამეკეთებინა მსგავსი ვიდეო.

ვიდეოს შექმნამდე რამდენიმე ეტაპი დავგეგმე:

1. პროფესიაზე საუბარი – მოსწავლეებს ვესაუბრე საკუთარ გამოცდილებაზე, რა გეგმები მქონდა, როგორ მივაღწიე მიზნებს. ამით მინდოდა, მოსწავლეებს ეგრძნოთ ჩვენ შორის საერთო კავშირი. შემდეგ ერთად განვიხილეთ რამდენიმე პროფესია, მათი მნიშვნელობა და როლი. მოსწავლეებს ვაჩვენე სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლების ფოტოები, გავაცანი მათი შრომითი გარემო.
2. პროფესიის იმიტირება – მოსწავლეებს ვთხოვე, მოერგოთ რომელიმე პროფესიის წარმომადგენლის როლი. მაგალითად, ექიმის როლის შემთხვევაში, მოსწავლეებმა გაიკეთეს პირბადეები, მოიცვეს ხალათი და სტეტოსკოპით მოუსმინეს ერთმანეთს. მასწავლებლის როლის მორგება ყველაზე მეტად გაუადვილდათ მოსწავლეებს და როლური თამაშის დროს, აღმოაჩინეს, რომ არც ისე ადვილი ყოფილა.
3. გამოიცანი პროფესია – მოსწავლეებს შევთავაზე რამდენიმე საკვანძო სიტყვა, რომლის მიხედვითაც უნდა გამოეცნოთ პროფესია. მაგალითად:
   - ხანძარი, წყალი, რისკი, სიმამაცე. *(მეხანძრე)*
   - თეთრი ხალათი, დიაგნოზი, მკურნალობა, ზრუნვა. *(ექიმი)*
   - დაფა, წიგნები, სწავლა, მეგობრობა. *(მასწავლებელი)*
   - სისუფთავე, წესრიგი, დახმარება, შრომა. *(დამლაგებელი)*
   - სამზარეულო, ჭურჭელი, მომზადება, გემრიელი. *(მზარეული)*
4. მომავლის პროფესია – მოსწავლეებს ვთხოვე, დაეწერათ წერილები, რომელ პროფესიას სურდათ, რომ დაუფლებოდნენ, რატომ აირჩევდნენ მას. მოსწავლეების წერილები შევინახე და მოვინიშნე, ვის რა სურვილი ჰქონდა.

ფოტოების შექმნა AI-ს გამოყენებით: მოსწავლეების ფოტოებს ერთ საქაღალდეში მოვუყარე თავი და შევუდექი ფოტოების დაგენერირებას. ყურადღებას ვაქცევდი თითოეულ დეტალს. მაგალითად, ერთ მოსწავლეს, რომელსაც სურდა რაგბისტი გამოსულიყო, შექმნილ ფოტოში საყვარელი გუნდის ლოგო დავუსვი. ფოტოს შექმნისას თითოეულ დეტალს მნიშვნელობა აქვს. საწყის ეტაპზე ვტვირთავდი ფოტოს, ვწერდი დავალებას ხელოვნური ინტელექტისთვის, მაგალითად: *„შექმენი ამ ბიჭის გაზრდილი ვერსია. ის არის წარმატებული ფეხბურთელი, დგას სპორტულ მოედანზე. აცვია (კონკრეტული გუნდის სახელი) მაისური, ხელში უჭირავს თასი“*. ფოტოს შექმნისთვის ინსტრუქციის ვიდეო ინსტრუქცია. თითოეული შექმნილი ფოტო ამოვბეჭდე ფერადი პრინტერით, შემდეგ დავჭერი სასურველ ზომაზე და ბოლოს ლამინირება გავუკეთე.

ემოციური აფეთქება-მოსწავლეებს ვუთხარი, რომ დღეს მათ სტუმრები ეყოლებოდათ. ეს სტუმრები მომავლიდან იყვნენ. ყველა სულგანაბული ელოდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო. რამდენიმე წუთში ყველა მიხვდა, რაშიც იყო საქმე. ძალიან გულშემატკივრობდნენ ერთმანეთს, იცინოდნენ, ხარობდნენ და თითოეული დეტალით ბედნიერები იყვნენ. მოსწავლეებს ასევე ვაჩვენე ხელოვნური ინტელექტით შექმნილი ჩემი ფოტო, სადაც უკვე საკმაოდ ასაკოვანი ვარ. ამით კიდევ ერთხელ მინდოდა კავშირის დამყარება მათთან. მას შემდეგ, რაც ყველა მოსწავლემ ნახა საკუთარი თავის გაზრდილი ვერსია, სამოტივაციოდ ვუთხარი, რომ ყოველთვის დარჩენილიყვნენ საკუთარი თავის ერთგულნი, მტკიცედ და გაბედულად გადაედგათ მომავალში ნაბიჯები, არასდროს ეთქვათ საკუთრ ოცნებებზე უარი.

რა შეიძლება ამ აქტივობით მოსწავლეებმა ისწავლონ? ირწმუნონ საკუთარი ოცნებების. ვიზუალურად წარმოიდგინონ საკუთარი თავი სასურველ პროფესიაში. დაიჯერონ, რომ შეუძლიათ გახდნენ ცნობილი ფეხბურთელები, ექიმები, მსახიობები, მეფუტკრეები. იცოდნენ, რამხელა შრომა დგას თითოეული პროფესიის მიღმა და რაც ყველაზე მთავარია: გაიაზრონ, რომ თითოეული პროფესია იმსახურებს პატივისცემას.

არასდროსაა გვიანი დაიწყო ახლიდან და სცადო, რადგან ყველაფერი გამოვა, რასაც გულით მოვინდომებ.

გიტოვებთ ჩემი მოსწავლეების ბედნიერების ამსახველ წუთებს.



ШОРЕНА Т�ყЕШЕЛАШВИЛИ

კლასგარეშე ლიტერატურის როლი მოსწავლის ცხოვრებაში და ახალი წიგნები

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამჭოლ კომპეტენციათა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს წიგნიერების კომპეტენციას, რომელიც მოიცავს ზოგადსაკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს – კითხვის, წერის, მოსმენისა და საუბრის უნარებს, რასაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს და ივითარებს. კითხვისა და წერის უნარები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოსწავლეთა წარმატებას ნებისმიერ სფეროში, ამიტომ მათ გაძლიერებაზე ზრუნვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც წინასასკოლო, ასევე სასკოლო პერიოდშიც.

მხატვრული ლიტერატურის კითხვა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებასთან ერთად, ასევე უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანის ემოციურ და პიროვნულ განვითარებაზე – აღიქვას, განიცადოს, გამოხატოს, გაიაზროს პერსონაჟთა არჩევანი და თანაუგრძნოს მათ. ყველაზე მნიშვნელოვანი სარგებელი კი, რაც კლასგარეშე საკითხავისგან შეიძლება მიიღოს მოსწავლემ, ტექსტთან ურთიერთობა და კითხვისგან მიღებული სიამოვნებაა – გამოცდილება, რომელიც ცხოვრების ბოლომდე გაჰყვება.

დღეს, როდესაც დრო საგრძნობლად აჩქარებულია და მოსწავლეების რუტინა მკაცრად არის გაწერილი, კლასგარეშე ლიტერატურის კითხვას განსაკუთრებული დროის გამონახვა სჭირდება. თანამედროვე მოსწავლეს დატვირთული გრაფიკი აქვს – სკოლა, დამატებითი მეცადინეობები – სკოლის გარეთ, დავალებები – სახლში, სახლს გარეთ – სპორტული თუ შემოქმედებითი წრეები. ამას ემატება სოციალური მედია, გასართობი აპლიკაციები, უამრავი სასაუბრო ჯგუფი და სხვა ათასი ყურადღების გამფანტავი საქმიანობა ინტერნეტში. ამ რეჟიმში მცხოვრები მოსწავლისთვის კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა ფუფუნებაც არის და დიდი გამოწვევაც – გაანაწილოს და მართოს დრო რაციონალურად; დავალებების, დამატებით მეცადინეობის, გაჯეტების პარალელურად – გამონახოს დრო ღირებული საქმიანობისთვის – კითხვისთვის, ისე რომ არც დასვენებისა და განტვირთვის დრო დაზარალდეს.

მნიშვნელოვანია, სწორად შევარჩიოთ მოსწავლისთვის კლასგარეშე ლიტერატურა, სწორად განვსაზღვროთ საკითხავი მიზნები. წიგნები უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლეთა სურვილებსა და ინტერესებს, იყოს საინტერესო, შთამბეჭდავი და დადებითი ენერგიის მატარებელი. საკმაოდ პირქუშ, დამაბნეველ და უცნაურ ეპოქაში, რომელშიც ვცხოვრობთ, მოზარდებს სჭირდებათ ტექსტები, რომლებიც მათ ძალიან კეთილ ფიქრებს, განცდებსა და ემოციებს გაუღვიძებს და სამყაროსა და საკუთარი თავის შეცნობაზე დააფიქრებს.

ქართველი გამომცემლები მოზარდებს ახალ-ახალი წიგნებით ანებივრებენ. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის „მოსწავლის ბიბლიოთეკა“ და სერია „საოცრება“ მოზარდ მკითხველს რეგულარულად სთავაზობს ძალიან საინტერესო, აქტუალურ და შთამბეჭდავ საკითხავებს. წიგნები დიდ დახმარებას გაუწევს მოსწავლეს, არ დარჩეს მხოლოდ სასკოლო საგნების პირისპირ, არ მოიწყინოს და წაიკითხოს ისეთი ტექსტებიც, რომლებიც მას მრავალმხრივ განავითარებს და შთაბეჭდილებებით აავსებს. ახლა მოგიყვებით, ხუთ არაჩვეულებრივ, საბავშვო წიგნზე, რომლებიც სამ თუ ოთხ დღეში წაიკითხე, საოჯახო თუ სამსახურებრივი საქმიანობებისგან მოპარულ დროს და სიხარულით ავივსე. ისე, როგორც სჩვევია, ზოგადად, საბავშვო ლიტერატურას...

ანტონის დღიური, იუტა რიხტერი

უნგრული ნაგაზი, ანტონი, გვიყვება თავის ამბავს. დიახ, არ მოგესმათ. ძაღლი გვიყვება, როგორ მოხვდა ახალ ოჯახში და რა ამბები გადახდა თავს იმ დღიდან, როდესაც მუყაოს ყუთში იპოვეს ცხოველთა თავშესაფრის წინ. ნაწარმოები 7-8 წლის მკითხველისთვის არის განკუთვნილი, თუმცა მას ზრდასრული მკითხველიც ერთი ამოსუნთქვით წაიკითხავს და დაფიქრდება ცხოველების მიმართ ადამიანების მზრუნველობის მნიშვნელობასა და პასუხისმგებლობაზე. ამას გარდა, იუტა რიხტერის სამწერლო სტილი, თხრობის დინამიკა და დღიურის სტილში მოთხრობილი ანტონის ამბები ისე მოგხიბლავთ, შეიძლება მცირეტანიანი წიგნის დაწერის სურვილიც კი გაგიჩნდეთ. ნაწარმოები პატარა მკითხველს მიუსაფარი ცხოველების მიმართ თანაგრძნობასაც გაუღვივებს და იმაზეც დააფიქრებს, რას შეიძლება გრძნობდეს ცხოველი და რატომ არის მისთვის მნიშვნელოვანი თბილი ოჯახი.

ჩიტინა, იოკე ვან ლეეუვენი

ნიდერლანდელი იოკე ვან ლეეუვენი, ჩიტინას ავტორი, თავად არის ილუსტრაციების ავტორიც და არაერთი ლიტერატურული პრემიის ლაურეატიც. თანამედროვე ნიდერლანდურ ლიტერატურაში ზღაპარი ჩიტგოგოზე კლასიკად არის აღიარებული. მისი წაკითხვის სიამოვნება უკვე ქართველ მკითხველსაც აქვს. ამბავი ჩიტინაზე, იგივე ჩიტგოგოზე, მივიწყებულ ბავშვობის დროინდელ სურვილებსაც გაგვახსენებს, როცა ვფიქრობდით – „ნეტა, ფრენა ხომ არ შეგვიძლია, ან რატომ არ შეგვიძლია“. ამ სურვილს იოკე ვან ლეეუვენმა ფრთები არა, მაგრამ სიტყვები კი შეასხა და მოიგონა ზღაპარი ჩიტინაზე. „მიწისთხილი-ნი კირიქი-ნი პირი მინ-დ“ – გაჰკივის ჩიტინა და იმაზე დაგვაფიქრებს, რაოდენ მნიშვნელოვანია თავისუფლება, სხვისი გადაწყვეტილების პატივისცემა და საკუთარი თავის შეცნობისკენ ფრენა-ფრენით სვლა.

ბილი და ბო, კრისტინე რუი შლეტებაკენი

ბილი და ბო საუკეთესო მეგობრები არიან, ერთად თამაშობენ, დროს საუკეთესოდ ატარებენ ერთად ეძებენ თავგადასავლებს, ერთად ცდილობენ ერთმანეთის ან სხვების დახმარებას. მათი მეგობრობა ბავშვობის ყველაზე გულწრფელ და საინტერესო მხარეებს გვაჩვენებს – იყო გაბედული, იცოდე მხარდაჭერა, ძლევდე შიშს, იყო ძლიერი – მეგობრის დასახმარებლად. ტექსტი განსაკუთრებით ემოციური იქნება იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც საცხოვრებლის შეცვლის გამო მეგობარი დაუკარგავს და მასთან კავშირი ვეღარ გაუგრძელებია. ასეთი ცხოვრებისეული ცვლილებები ბავშვებზე მტკივნეულ, ემოციურ გავლენას ახდენს და სწორედ ამიტომ ნაწარმოების მთავარ გმირს, არ ასვენებს ასეთი აზრი. „საუკეთესო მეგობრის ყოლა საშიშია, რადგან ერთ დღესაც შეიძლება საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში წავიდეს“. და, მაინც, ყველაფრის მიუხედავად, შეიძლება, გაგიმართლოს და შეხვდე ისეთ ადამიანს, რომელიც უამრავ რამეს აღმოგაჩენინებს, ბევრ რამეში დაგარწმუნებს და მის გვერდით თავს უფრო გაბედულად და ძლიერადაც იგრძნობ. „ბილიმ ისეთი რამეების კეთება გამაბედვინა, რასაც მგონი, ვერასდროს გავბედავდი“, – ამბობს ბო. სწორედ, ამიტომ გვჭირდება მეგობრები – დაგვარწმუნონ საკუთარ ძალებში, გაგვამხნეონ, როცა გვიჭირს და საუკეთესო გადაწყვეტილებებისკენ გვიბიძგონ. თქვენ გყავთ ასეთი მეგობარი?

ალასკა, ანა ვოლცი

„თითქოს სამყარო ცდილობს, დამიმტკიცოს, რომ არც ისე ბოროტია“. „მამაჩემი ადრე ადამიანი იყო, ახლა ცარიელი კოლოფია“, – პარკერი. ეს წინადადებები ისეთი ბასრია, შეგვიძლია ამოვიცნოთ კიდეც, ვინ არის მისი ავტორი. ეს მოზარდია, გარდატეხის ასაკის სირთულეებით, სიჯიუტით, მტკივნეული, დამაბნეველი, ამოუცნობი შეგრძნებებით. ალასკა კი, თეთრბეწვიანი რეტრივერია, რომელიც ორ სრულიად განსხვავებულ მოზარდს ერთმანეთთან დააკავშირებს. ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ რეალობაში მცხოვრებ მოზარდებს – ერთმანეთის ტკივილის დანახვა, გაზიარება, დიდ ცხოვრებისეულ გაკვეთილსაც უტარებს. მასწავლებლის, მშობლის, მოსწავლის პერსპექტივიდან ნაწარმოების წაკითხვა, დაგვეხმარება, უკეთ დავინახოთ ერთმანეთი, დავინახოთ ერთმანეთის ტკივილი, განცდები და ცოტაათი მაინც შევეხიდოთ ერთმანეთს, ისეთ დროს, როდესაც გვგონია, რომ ვერავინ გვხედავს, არავის ესმის ჩვენი და ვერავინ დაგვეხმარება.

წერილი ოქროსფერი მარკით, ონჯალი რაუფი

ახლა ვკითხულობ ონჯალი რაუფის – „წერილი ოქროსფერი მარკით“. 10 წლის ოდრი ავადმყოფ დედასა და უმცროს და-ძმაზე ზრუნავს და დედის ავადმყოფობის ამბავს ყველას საგულდაგულოდ უმალავს. სიღარიბე, არასრული ოჯახი, სრულფასოვანი სამედიცინო სერვისის არქონა, არასრულფასოვანი კვება – გზა, რომელსაც გადის 10 წლის გოგონა, არ არის უცხო და არც განსაკუთრებული იშვიათობა თანამედროვე მოზარდებისთვის, მათ შორის ჩვენი ქვეყნის მოზარდებისთვისაც. ოდრის თავგანწირვა საყვარელი მშობლისა და და-ძმის მიმართ, მოზარდ მკითხველს იმაზე დააფიქრებს, რას ნიშნავს პასუხისმგებლობა საყვარელი ადამიანების წინაშე და როგორი დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მათ დახმარებას ოჯახისთვის.

ქეთევან ოსიაშვილი

როგორ დავეხმაროთ ბავშვებს თანატოლებთან კონფლიქტების მოგვარებაში

ბავშვის, ისევე როგორც ზრდასრული ადამიანის ცხოვრება უღრუბლო და კონფლიქტებისაგან სრულიად თავისუფალი ნამდვილად არ არის. ის ძალიან ხშირად წინააღმდეგობებსა და უთანხმოებებს მოიცავს. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ბავშვებს შორის კონფლიქტური სიტუაციები სკოლაში გარდაუვალია და ადვილი ნამდვილად არ არის მათი თავიდან აცილება. ამასთან ერთად, თავად ბავშვისთვის თანატოლებთან კონფლიქტი შეიძლება ძლიერი შოკი იყოს და მთელ მის შემდგომ ცხოვრებაზე იმოქმედოს. უფროსებს, როგორც მშობლებს, ასევე მასწავლებლებს ხშირად ძალიან გვაშინებს კონფლიქტური სიტუაციები სკოლაში, რადგან მივიჩნევთ, რომ იქ, სადაც წინააღმდეგობაა, იქ ყოველთვის აგრესია, წყენა და ჩხუბია. თუმცა, კარგი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ კონფლიქტი, როგორც უფროსების, ასევე ბავშვების ცხოვრების ბუნებრივი ნაწილია.

როგორ მივუდგეთ უფროსები კონფლიქტურ სიტუაციებს ბავშვის ცხოვრებაში – ვიჩქაროთ დასახმარებლად, დავიცვათ მოზარდი, თუ გვერდიდან დავაკვირდეთ და არ ჩავერიოთ. უპირველეს ყოვლისა, სასურველია, რომ კონფლიქტთან მიმართებაში გავითვალისწინოთ შემდეგი ძირითადი პრინციპები:

- **კონფლიქტი ყველას ემართება. კონფლიქტები გარდაუვალია, მათი თავიდან აცილება ფაქტობრივად შეუძლებელია** – ბავშვები კამათობენ, ჩხუბობენ, თანაკლასელებთან წინააღმდეგობაში შედიან, არ ეთანხმებიან მასწავლებლებს, „ეჯახებიან“ უფროსკლასელებს. მოსაზრებებისა და ინტერესების კონფლიქტი გარდაუვალია. ხანდახან ეს სიტუაციები შემოიფარგლება სიტყვიერი შელაპარაკებით, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება ის ჩხუბამდე მივიდეს და ფიზიკურ დაპირისპირებაშიც გადაიზარდოს. მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი კონსტრუქციულად მოგვარებული კონფლიქტი არის ნაბიჯი ურთიერთობების განვითარებისა და სოციალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისკენ;
- **ბავშვის დახმარება კონფლიქტური სიტუაციის მოგვარებაში არ ნიშნავს კონფლიქტის მის ნაცვლად გადაჭრას** – ბუნებრივია, რომ ჩვენ გვსურს დავეხმაროთ ბავშვს, მხარი დავუჭიროთ მას და მინიმუმამდე დავიყვანოთ თანატოლთან კონფლიქტის ნიადაგზე მასში დაფიქსირებული შფოთვა და სტრესი, მაგრამ ბავშვის ნაცვლად სიტუაციის მოგვარება იმ ბავშვთან და მასწავლებლებთან მოლაპარაკებებით, ვინც ის გაანაწყენა, ხდება იმის საფუძველი, რომ ჩვენ მას ვართმევთ ფასდაუდებელ გამოცდილებას და შემდგომი შეჯახებისას ის კვლავ უმწეო და უსუსური აღმოჩნდება სირთულეების წინაშე. უფროსების, განსაკუთრებით კი მშობლების დახმარება მსგავს სიტუაციებში გულისხმობს მოსმენის, ბავშვთან ერთად სიტუაციის განხილვის და კონფლიქტიდან კონსტრუქციული გამოსავლის ძიების უნარს, თუმცა, უკეთესი იქნება ბავშვმა თავად მოაგვაროს კონფლიქტი, გამომდინარე იქიდან, რომ ყოველთვის არ არის სასურველი ბავშვებს შორის

როგორ მივუდგეთ უფროსები კონფლიქტურ სიტუაციებს ბავშვის ცხოვრებაში – ვიჩქაროთ დასახმარებლად, დავიცვათ მოზარდი, თუ გვერდიდან დავაკვირდეთ და არ ჩავერიოთ. უპირველეს ყოვლისა, სასურველია, რომ კონფლიქტთან მიმართებაში გავითვალისწინოთ შემდეგი ძირითადი პრინციპები.

კონფლიქტში, კამათში ჩარევა. ისევე, როგორც სხვა საქმიანობის, კონფლიქტის მოგვარების სწავლა მხოლოდ მასში მონაწილეობით არის შესაძლებელი. ხელს ნუ შევუშლით ბავშვს მიიღოს ასეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გამოცდილება;

- **ბავშვის ყველაფრისგან დაცვა შეუძლებელია** – გარე სამყარო უსაფრთხო ადგილი არ არის და ჩვენ არ შეგვიძლია წინასწარ განვჭვრიტოთ ყველა სირთულე, რომლებსაც ბავშვი შეეჯახება. მშობლების შფოთვა და წუხილი გასაგებია, ცხოვრებისეული გამოცდილება მათ საშუალებას აძლევს „იწინასწარმეტყველონ“, როგორ განვითარდება სიტუაცია და ეშინოდეთ, რომ მომდევნო ჯერზე ჩხუბისას მათი შვილი კანზე სილურჯეების და თავზე კოპების გარეშე ვერ გადარჩება. თუმცა, ბავშვის ინტერესების დაცვის მოტივით, მისი თანხმობის გარეშე, ხანდახან კი მისი სურვილის საწინააღმდეგოდაც თანატოლებთან მის ურთიერთობებში ჩარევით ჩვენ ბავშვს ვართმევთ შესაძლებლობას, გამოიმუშაოს საჭირო უნარები სირთულეებთან გასამკლავებლად;
- **ბავშვთა შორის კონფლიქტით გამოწვეული საფრთხის გადაფასება არასასურველია** – ხშირად პატარებს შორის კონფლიქტი შეიძლება არც იყოს ისეთი სერიოზული, როგორც ეს უფროსებს გვეჩვენება. არ არის გამორიცხული, რომ გადავაფასოთ სიტუაციის სირთულე და დავამატოთ მას ჩვენი საკუთარი შფოთვა, განცდები და ხშირად პირადი გამოცდილებაც. ეს ყველაფერი კი, ბუნებრივია, ვერ დაგვეხმარება ბავშვთან მუშაობისას კონფლიქტის მოგვარებაში;
- **პასუხისმგებლობის გადანაწილება ბავშვთა შორის კონფლიქტის მოგვარების მნიშვნელოვანი პრინციპია** – თუ კონფლიქტურმა სიტუაციამ ისეთ მასშტაბს მიაღწია, რომ მშობლები და მასწავლებლებიც ჩაერთნენ მასში, მისი მოგვარება მხოლოდ ყველა ჩართული, დაინტერესებული მხარის ერთობლივი ძალისხმევით იქნება შესაძლებელი. გავითვალისწინოთ, რომ



როგორც არ უნდა ვმართოთ სიტუაცია, კონფლიქტები ბავშვის ცხოვრებაში მომავალშიც მოხდება. თუმცა, დიალოგისთვის მისი მზაობა, გულწრფელობა და მშობლებისათვის სირთულეების გაზიარების სურვილი დაეხმარება ბავშვს, რომ სიტუაცია კრიტიკულ მდგომარეობამდე არ მიიყვანოს.

თითოეულ მათგანს აქვს პასუხისმგებლობის თავისი საკუთარი არეალი და კონფლიქტის სხვა მონაწილეებზე გავლენის საკუთარი ბერკეტები. მასწავლებელი პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მონაწილეთა უსაფრთხოებაზე. მის პასუხისმგებლობაში შედის მშობელთა დროული ინფორმირება აღმოცენებული სირთულეების შესახებ, ბავშვთა შორის დიალოგის ხელშეწყობა და კონფლიქტის მართვა. მშობელი პასუხისმგებელია შვილის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, მის აღზრდაზე, უცხო საზოგადოებაში ქცევის წესების დაცვაზე. ის ასევე მოქმედებს, როგორც ბავშვის წარმომადგენელი საკითხის ოფიციალური განხილვის შემთხვევაში. ბავშვი პასუხისმგებელია საკუთარ ქმედებებზე. თუმცა მას ყოველთვის არ ყოფნის რესურსი ამისათვის, განსაკუთრებით თუ ის დაწყებითი კლასების მოსწავლეა. ქცევის ნორმების დარღვევაზე უფროსების კონსტრუქციული რეაგირება სწორედ საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას ემსახურება.

რეკომენდაციები – როგორ ვასწავლოთ ბავშვს, რა გააკეთოს თანატოლებთან კონფლიქტის დროს:

- ავუხსნათ, გავაგებინოთ ბავშვს, რომ კონფლიქტის გადაწყვეტა მხოლოდ საუბრით შეიძლება. სწორედ საუბარია კონსტრუქციული ურთიერთობის საფუძველი. ვასწავლოთ ბავშვს დიალოგის წარმართვა და ამის მაგალითი ჩვენ თავად მივცეთ – ისე გამოვხატოთ ბავშვთან ჩვენი პოზიცია, რომ არ დავუკარგოთ მას ჩვენი მოსმენის სურვილი. მშობლის პირველი ნაბიჯი ბავშვთა შორის კონფლიქტში ჩარევისას ხშირად საკუთარ შვილთან ხანგრძლივი მონოლოგია, რომელიც მოიცავს შიშს, შფოთვას, ასევე იმ საფრთხეების პროგნოზირებასაც, რომლებიც შეიძლებოდა მომხდარიყო, ან შეიძლება კიდევ მოხდეს. ასეთი მონოლოგის მთავარი ნაკლია მეტყველების ციკლურობა, როდესაც ყველაზე სწორი აზრი (რა თქმა უნდა, არაერთხელ თქმული) ჟღერს კვლავ და კვლავ. ამის გამო ბავშვი წყვეტს მშობლის სიტყვებზე რეაგირებას და მის მონოლოგს ხმაურად აღიქვამს. ბავშვის ყურადღების შენარჩუნება მხოლოდ დიალოგის საშუალებით არის შესაძლებელი. დიალოგის პროცესში შეიძლება შევაგროვოთ მეტი ინფორმაცია, მივაღწიოთ შეთანხმებას სამომავლო ქცევის წესებზე, თავად ბავშვისგან გავიგოთ სიტუაციასთან დაკავშირებული მისი აზრები და განცდები;
- ბავშვთა შორის კონფლიქტში ჩარევისას არასოდეს დავიკავოთ რომელიმე ერთი მხარის პოზიცია მაშინაც, თუ ჩვენთვის აშკარაა, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი. ჩვენს ნაჩქარევ გადაწყვეტილებას ბავშვები უსამართლოდ და მიკერძოებულად აღიქვამენ. ისინი აღარ გააგრძელებენ ჩვენთან ურთიერთობას, თუ ჩვენ არბიტრის როლში აღგვიქვამენ;
- კონკრეტული სიტუაციის განხილვისას ნუ შევეცდებით მოსამართლის როლში ყოფნას და იმის განხილვას, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი. უმჯობესი იქნება, თუ პირად კონფლიქტებს სამართლებრივ პროცესად არ გადავაქცევთ. შევეცადოთ ვასწავლოთ ბავშვს, რომ ვინც არ უნდა დაიწყოს კონფლიქტი, ყოველთვის ორივე მხარეა პასუხისმგებელი მოვლენების შემდგომ განვითარებასა და შედეგზე. ყურადღება გავამახვილოთ არა იმაზე, თუ ვინ არის დამნაშავე, არამედ იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს;
- როდესაც ბავშვებს კონფლიქტის მოგვარებასა და დაგროვილი წყენისა და ბრაზისაგან განთავისუფლებაში ვეხმარებით, დავრწმუნდეთ, რომ ისინი ერთმანეთის პირად შეურაცხყოფაზე არ გადავლენ. თუ ბავშვი საუბრობს იმაზე, რამ გაანაწყენა და გააღიზიანა, მან უნდა აღწეროს პარტნიორის ქმედებები, სიტყვები და არა მისი ფიზიკური და პიროვნული ნაკლოვანებები;
- მნიშვნელოვანია, რომ თავად ჩვენ შევინარჩუნოთ ემოციური წონასწორობა ბავშვთა შორის კონფლიქტების მოგვარებისას;
- შევეცადოთ ნათელი მოვფინოთ კონფლიქტურ სიტუაციას, წარმოვაჩინოთ ორივე მხარის რეალური

პრობლემები და ინტერესები;

- შევაფასოთ გარემოებები და ბავშვის ქცევის მოტივები, გამოვარკვიოთ, დავადგინოთ კონფლიქტების მიზეზები, რამ გამოიწვია ის. თითოეულ მხარეს ვთხოვოთ ახსნას საკუთარი სურვილები, გრძნობები და განცდები. ამავდროულად თითოეულის ყურადღება მივაპყროთ მეორის სიტყვებს იმისათვის, რომ მათ გაიგონ ერთმანეთის ქცევის მიზეზები;
- არასოდეს დავტოვოთ კონფლიქტი გადაუჭრელი, მოუგვარებელი. გამწვავებული კონფლიქტის დროს გადავრთოთ ბავშვის ყურადღება სხვა მიმართულებით, მივცეთ საშუალება, დაწყნარდეს და მხოლოდ ამის შემდეგ დავუბრუნდეთ პრობლემას და მის განხილვას;
- მივცეთ ბავშვებს საშუალება, გაიაზრონ და გადაამუშაონ ის, რაც მოხდა. გავხდეთ შუამავალი საუბრის პროცესში. დავსვათ შეკითხვები, რომლებიც დაეხმარება ბავშვებს გაიგონ მომხდარის აზრი, ასევე როგორ შეიძლებოდა კონფლიქტის თავიდან აცილება, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ყველამ მიიღოს ის, რაც სურს და არ იგრძნოს თავი შეურაცხყოფილად, როგორ მოიქცნენ შემდეგ ჯერზე მსგავს სიტუაციაში;
- ყურადღება გავამახვილოთ ბავშვების გრძნობებზე, ვასწავლოთ მათ ბრაზის ამოცნობა და მართვა. მთავარია კომპრომისამდე მისვლა და ბავშვებისთვის იმის დამტკიცება, რომ გადაუჭრელი პრობლემები არ არსებობს;
- გავითვალისწინოთ, რომ ბავშვისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მშობლის მხარდაჭერა და მისი გვერდში დგომა. ხშირ შემთხვევაში კონფლიქტურ სიტუაციებში ბავშვები თავად აგვარებენ პრობლემას და მშობლებამდე ინფორმაცია არც კი მიდის. მაგრამ, თუ კონფლიქტი სერიოზულია და სიტუაციაში სხვა ადამიანებიც ჩაერთნენ, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ბავშვს ესაჭიროება მშობლის მხარდაჭერა. ეს არ ნიშნავს, რომ მშობელმა უნდა დაიკავოს პოზიცია – „ჩემი შვილი ყოველთვის მართალია, გარშემომყოფები კი მის მიმართ უსამართლოდ იქცევიან, მიკერძოებულები არიან“, მაგრამ ბავშვთან საუბარი, კონფლიქტურ სიტუაციაში მისი ქცევის განხილვა არ უნდა მოხდეს სხვა ადამიანების თანდასწრებით. უკეთესი იქნება ეს გადავდოთ სახლში დაბრუნებამდე. მშობლის მხარდაჭერა ყველა ბავშვს ესაჭიროება. მნიშვნელოვანია, რომ უფროსებმა შევინარჩუნოთ სიმშვიდე მაშინაც კი, როცა ბავშვი არასწორია, ცდება, დამნაშავეა. მუდამ გვახსოვდეს, რომ ბავშვის პიროვნება კი არ განვსაჯოთ, არამედ შევაფასოთ მისი კონკრეტული ქცევა. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს იმის რისკი, რომ ბავშვმა ეჭვი შეიტანოს მშობლის სიყვარულში, რაც სამყაროსადმი მისი ნდობის საფუძველია.

დაბოლოს, გვახსოვდეს, რომ როგორც არ უნდა ვმართოთ სიტუაცია, კონფლიქტები ბავშვის ცხოვრებაში მომავალშიც მოხდება. თუმცა, დიალოგისთვის მისი მზაობა, გულწრფელობა და მშობლებისათვის სირთულეების გაზიარების სურვილი დაეხმარება ბავშვს, რომ სიტუაცია კრიტიკულ მდგომარეობამდე არ მიიყვანოს. ამასთან, გავითვალისწინოთ, რომ ბავშვთა კონფლიქტების პრევენცია ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე დაფიქსირებული კონფლიქტების წარმატებით მოგვარება.

თინათინ ზარდიაშვილი

ბლოგინგი, მეცნიერება და 524 რეცეპტი: „ჯული და ჯულია“-ს ფენომენი

მასწავლებლებისთვის, ფილმი „ჯული და ჯულია“ უნიკალური რესურსია, რადგან ის გვაძლევს საშუალებას, დავანგრიოთ საგნობრივი ბარიერები. ეს არ არის უბრალოდ ხელოვნების გაკვეთილი. ის არის გამოყენებითი ქიმიის, ბიოლოგიის, პროექტების მართვისა და მედიაწიგნიერების პრაქტიკული სახელმძღვანელო.

წარმოიდგინეთ, რომ მთელი წლის განმავლობაში საკუთარ თავს ურთულესი გამოწვევის წინაშე ვაყენებთ: გააკეთო ბლოგი, რომელშიც აღწერ როგორ მოამზადე 365 დღეში 524 კერძი. ეს ხომ იგივეა, რაც შექმნა კონტენტი TikTok-ის ან YouTube-ისთვის. რთულია, არა? სწორედ ასეთი ამბიციური მიზნით იწყება ფილმი **„ჯული და ჯულია“**. ეს არის ისტორია არა მხოლოდ ფრანგულ კულინარიაზე, არამედ იმაზე, როგორ შეუძლია ერთ პატარა, გიჟურ იდეას ადამიანის ცხოვრების შეცვალა. ფილმი გვიჩვენებს, რომ **ჰობის აღმოჩენა** და **შეცდომებზე სწავლა** წარმატების მიღწევის აუცილებელი და თანმდევი პროცესებია.

ნორა ეფრონის ფილმი **„ჯული და ჯულია“ (Julie & Julia)** ერთმანეთის პარალელურად ორი რეალური ქალის ცხოვრებას გვიჩვენებს. მათი მოქმედების დრო და სივრცე განსხვავებულია, მაგრამ კულინარიული ვნებით და საკუთარი თავის ძიებით ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. ფილმის ერთი ნაწილი მოგვითხრობს **ჯულია ჩაილდის** (როლს ასრულებს მსახიობი – მერილ სტრიპი) ისტორიას, რომელიც 1940-იანი წლების ბოლოს მეუღლესთან, პოლთან, ერთად პარიზში გადადის საცხოვრებლად. უსაქმურობისგან შეწუხებული ჯულია საკუთარ თავს ეძებს და ბოლოს პოულობს კულინარიის სკოლაში, **Le Cordon Bleu**. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად გამოწვევებს აწყდება, მისი დიდი სიყვარული კვებისა და ცხოვრებისადმი, ასევე მეუღლის მხარდაჭერა, მას საშუალებას აძლევს შექმნას შედევრი: წიგნი „როგორ დავეუფლოთ ფრანგული კულინარიის ხელოვნებას“ (*Mastering the Art of French Cooking*). ეს წიგნი განკუთვნილი იყო ამერიკელი დიასახლისებისთვის, რათა მათ შესძლებოდათ რთული და გემრიელი ფრანგული კერძების მომზადება.

მეორე, თანამედროვე ისტორია, ვითარდება 2002 წელს ნიუ-იორკში, სადაც მუშაობს **ჯული პაუელი** (მსახიობი: ემი ადამსი). ის იმედგაცრუებულია თავისი ერთფეროვანი სამსახურით და 30 წლის ასაკში ცხოვრების აზრს ეძებს. ჯულია ჩაილდის წიგნით, შთაგონებული ჯული, ამბიციურ მიზანს ისახავს: **365 დღეში მოამზადოს ჯულია ჩაილდის წიგნის 524-ივე რეცეპტი** და ამ პროცესის შესახებ ბლოგი აწარმოოს. ბლოგი თავდაპირველად უცნობია, მაგრამ ჯულიას გულწრფელობა, იუმორი და კულინარიულ წარუმატებლობებთან გამკლავების პროცესი, მკითხველს იზიდავს. მისი ონლაინპროექტი მალევე იქცევა სენსაციად, რაც მას საშუალებას აძლევს, გამოვიდეს ჩიხიდან და მიაღწიოს წარმატებას. ფილმი ოსტატურად აერთიანებს ამ ორი ქალის ისტორიას, ხაზს უსვამს მათ შორის არსებულ პარალელებს – **ვნება, შეუპოვრობა, მეუღლეების მხარდაჭერა და საკუთარი ადგილის პოვნის აუცილებლობა** – რაც აჩვენებს, რომ დიდი მიღწევა შეიძლება დაიწყოს ერთი პატარა გამოწვევით, თუნდაც ეს გამოწვევა სამზარეულოს უკავშირდებოდეს.

მასწავლებლებისთვის, ფილმი „ჯული და ჯულია“ უნიკალური რესურსია, რადგან ის გვაძლევს საშუალებას, **დავანგრიოთ საგნობრივი ბარიერები**. ეს არ არის უბრალოდ ხელოვნების გაკვეთილი. ის არის **გამოყენებითი ქიმიის, ბიოლოგიის, პროექტების მართვისა და მედიაწიგნიერების** პრაქტიკული სახელმძღვანელო. როდესაც მოსწავლეები ხედავენ, როგორ იწვევს ტემპერატურა ცილების

დენატურაციას კვერცხში (ქიმია), ან როგორ იყენებს საფუარი ფერმენტაციას პურის ასაფუებლად (ბიოლოგია), აბსტრაქტული თეორია რეალურ, გემრიელ კონცეფციად იქცევა. ფილმი შესანიშნავი დასაწყისია კლასში **დისკუსიისა და ექსპერიმენტული სწავლების** დასანერგად.

ეს სტატია გვიჩვენებს, როგორ შეიძლება ფილმის სიუჟეტის გამოყენება, რათა მოსწავლეებს შევასწავლოთ ისეთი რთული სამეცნიერო ცნებები, როგორებიცაა **მაიარდის რეაქცია, ცილების დენატურაცია და კოაგულაცია, ემულსიების სტაბილიზაცია, სპირტული დუღილი, საკვები პროდუქტების დამუშავების მნიშვნელობა.**

ასევე დავამტკიცებთ, რომ ჯულია ჩაილდი იყო არა მხოლოდ მზარეული, არამედ ნიჭიერი ექსპერიმენტატორი, ხოლო ჯული პაუელი – წარმატებული პროექტის მენეჯერი. კულინარიული მოგზაურობის ანალიზით, საშუალო საფეხურის მოსწავლეებს ან კულინარიის მიმართულებით მომუშავე კოლეჯის სტუდენტებს ვაჩვენებთ, რომ ნებისმიერი წარმატებული პროექტი, სამზარეულოში ჩატარდება ის თუ ლაბორატორიაში, ეფუძნება **მეცნიერულ სიზუსტეს, შეუპოვრობას და კრიტიკულ აზროვნებას.**

სამზარეულო როგორც მოლეკულური ლაბორატორია: ქიმია და ბიოლოგია პრაქტიკაში

ჯულიასა და ჯულის გამოწვევების ანალიზისას, ნათელი ხდება, რომ მათი წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა. ის დაფუძნებული იყო უზუსტეს ქიმიურ და ბიოლოგიურ პროცესებზე. თუ გვინდა, რომ მოსწავლეებმა დასვან შეკითხვა: „რატომ“ და არა მხოლოდ „როგორ“, უნდა ჩავიხედოთ სამზარეულოს ქვაბში და გავაანალიზოთ ის მოლეკულური სასწაულები, რომლებიც იქ ხდება. დავიწყოთ იმ კერძით, რომელიც ჯულია ჩაილდის კარიერის ქვაკუთხედი გახდა – სრულყოფილი ომლეტით.

რის სწავლა შეიძლება ფილმიდან:

1. კულინარია და კულტურა (საკვები და ხელოვნება, ისტორია, გეოგრაფია)
   - *ფრანგული კულინარიის გაკვეთილი*
     აქტივობა: შეისწავლეთ და მოამზადეთ (ან უბრალოდ განიხილეთ) ფილმში წარმოდგენილი ერთ-ერთი მარტივი ფრანგული რეცეპტი, მაგალითად, ომლეტი. იმსჯელეთ, როგორ შეცვალა ჯულია ჩაილდის წიგნმა ამერიკული სამზარეულო („დავეუფლოთ ფრანგული სამზარეულოს ხელოვნებას“ – წიგნი 1961 წელს გამოვიდა. ჯულიამდე იყო გაყინული პროდუქტები, კონსერვები და ზეფირი. ჯულია ჩაილდი, ქალი რომელმაც ამერიკელებს საჭმლის კეთება და ჭამა ასწავლა)“.
   - *კულტურული კონტრასტი და კულინარიული რევოლუცია*
     აქტივობა: შეადარეთ 1950-იანი წლების საფრანგეთი (ჯულია ჩაილდის ისტორია) და 2000-იანი წლების ნიუ-იორკი (ჯული პაუელის ისტორია) კულინარიული ჩვევებისა და ცხოვრების წესის მიხედვით.

2. მოტივაცია და დასახული მიზნის მიღწევა
   - თვითრეალიზაცია – დისკუსია: ორივე ქალი კარიერულ ჩიხში აღმოჩნდა (ჯული პაუელი ძალიან პოპულარული ჟურნალის რედაქტორი იყო და ახლა საშუალო დონის ბიუროკრატია. ჯულია ჩაილდს კი არ უნდა სხვა ელჩების ცოლებივით უსაქმოდ იჯდეს და ეძებს გამოსავალს). რა ამოძრავებდათ მათ და როგორ აღმოაჩინეს საკუთარი თავი. განიხილეთ ჰობის პროფესიად გადაქცევის შესაძლებლობა;
   - გამოწვევა და შეუპოვრობა – გააანალიზეთ ჯული პაუელის „524 რეცეპტი 365 დღეში“ პროექტის დაგეგმვა, შესრულება და წარუმატებლობასთან გამკლავება. ეს მოსწავლეს დაეხმარება პროექტის მართვის უნარების ჩამოყალიბებაში.

   თემა: „დაწყება ყველაზე რთულია“. როგორ დაიწყო ჯულია ჩაილდმა საკუთარი კულინარიული გზა?

3. კომუნიკაცია და მედია (ლიტერატურა და მედიაწიგნიერება)
   - ბლოგინგი და თანამედროვე მედია – დისკუსია: როგორ გამოიყენა ჯული პაუელმა ბლოგი თვითგამოხატვისთვის და აუდიტორიასთან კავშირის დასამყარებლად? განიხილეთ ბლოგინგის როლი 2000-იან წლებში და დღეს.
   - აქტივობა: სთხოვეთ მოსწავლეებს, შექმნან საკუთარი ბლოგის კონცეფცია, რომე-

წარმატება მიიღწევა სიზუსტით, მონდომებითა და იმის გაგებით, თუ როგორ მუშაობს სამყარო – სამზარეულოშიც და ლაბორატორიაშიც. მიეცით თქვენს მოსწავლეებს ამ ფილმის დახმარებით საშუალება, რომ საკუთარი „გემრიელი“ აღმოჩენები გააკეთონ.

ლიც დაფუძნებული იქნება კონკრეტულ გამოწვევაზე.

- მემუარები და ბიოგრაფია – ფილმი ორი მემუარის ერთობლიობაა. განიხილეთ ბიოგრაფიული ფილმის შექმნის სირთულეები. როგორ შეიძლება დროის ორი განსხვავებული მონაკვეთის ერთმანეთთან შერწყმა.

4. ურთიერთობები და მხარდაჭერა (სამოქალაქო განათლება და ფსიქოლოგია)
   - პარტნიორის როლი – დისკუსია: გააანალიზეთ პოლ ჩაილდისა და ერიკ პაუელის როლი. როგორ უჭერენ ქალებს მხარს მეუღლეები. (პოლ ჩაილდი: ყველა რეცეპტი ერთად წავიკითხოთ; ერიკ პაუელი – დაეხმარა ბლოგის ტექნიკურ გამართვაში, ყოველდღიურად ინტერესდება ცოლის საქმიანობით, ამოწმებს რამდენი კომენტარი და გამოხმაურება აქვს).

5. წარუმატებლობის მიღება – გაიხსენეთ ფილმის ის სცენები, სადაც ჯულისა და ჯულიას არ გამოსდით კერძის მომზადება, როგორ უმკლავდებიან სირთულეს (ხახვის დაჭრაში მეცადინეობს სახლში და მომდევნო გაკვეთილზე ძლიერ ჯგუფშიც ყველას აჯობებს; ჯულის გატენილი ქათამი რომ ჩამოუვარდება, ლობსტერებს რომ ებრძვის, ლაბასხმული რომ უფუჭდება და ა.შ).

პროექტის მოკლე გეგმის ერთ-ერთი ვარიანტი

ქიმია – კულინარიის მოლეკულური საფუძველი – ბიოლოგია – გემოს შეგრძნების გასაღები

ომლეტი და ცილების დენატურაცია

- **თემა:** ცილების დენატურაცია და კოაგულაცია
- **ფილმთან კავშირი:** ფილმში ჯულია ჩაილდი დიდ დროს უთმობს სრულყოფილი ომლეტის მომზადებას.
- **ქიმიური ასპექტი:** ახსენით, რა ემართება კვერცხის ცილებს თერმული დამუშავებისას. როგორ ცვლის ტემპერატურა ცილის ფორმის შეუქცევად ცვლილებას და მათ შეკავშირებას, რის შედეგადაც სითხე მყარდება.
- **კითხვა:** რატომ ხდება ომლეტი „რეზინისებური“ ზედმეტი დამუშავებისას (წყლის ზედმეტი დაკარგვა).

მაიარდის რეაქცია (Maillard Reaction)

- **თემა:** ნახშირწყლებსა და ამინომჟავებს შორის რეაქცია (არაფერმენტული შეყავისფერება).
- **ფილმთან კავშირი:** ნებისმიერი კერძი, რომელსაც შეწვა ან გამოცხობა სჭირდება (მაგალითად, შემწვარი ქათამი, სოუსის ფერის მიცემა);
- **ქიმიური ასპექტი:** ახსენით, რომ ყავისფერი ფერი და მდიდარი არომატი, რომელიც ჩნდება საჭმლის მომზადებისას (დაბალ ტემპერატურაზე – 1400-დან 1650-მდე), მაიარდის რეაქციის შედეგია. ეს არის შაქრებისა და ამინომჟავების მონაწილეობით მიმდინარე რეაქციათა რთული

ეტაპი	აქტივობა	მიზანი
შესავალი 10 წთ	ფილმის მოკლე მიმოხილვა. რა არის თქვენი ყველაზე დიდი გამოწვევა, რისი დაძლევაც გსურთ?	გაკვეთილის თემის წარდგენა და მოტივაციის ამაღლება
ფილმის ან მისი მონაკვეთების ჩვენება	შერჩეული ფრაგმენტების ჩვენება ფილმიდან (ჯულიას სწავლის დასაწყისი, ჯული პაუელის მიერ რთული რეცეპტების მომზადება)	ძირითადი თემების ვიზუალიზაცია
ჯგუფური მუშაობა	მოსწავლეები დაყავით სამ ჯგუფად: 1. ჯულია ჩაილდის ჯგუფი, 2. ჯული პაუელის ჯგუფი, 3. კულინარიისა და ბლოგინგის ჯგუფი. თითოეულს მიეცით კონკრეტული დავალება	კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარების ხელშეწყობა, სიღრმისეული ანალიზი
პრეზენტაცია, დისკუსია	ჯგუფების მიერ შესრულებული დავალებების წარდგენა და საერთო დისკუსია	დასკვნების ჩამოყალიბება
დასკვნა	საშინაო დავალება: „დაგეგმეთ საკუთარი 30-დღიანი გამოწვევა ჯულია პაუელის მეთოდით (მაგალითად, ერთი დღე ერთი ლექსის სწავლა, ერთი ესეის დაწერა, დღიურის წარმოება და სხვა).	პროექტის მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება

ჯაჭვი. განიხილეთ რა განსხვავებაა მაიარდის რეაქციასა და კარამელიზაციას შორის (შაქრის დაშლა ტემპერატურის გავლენით).

სოუსები და ემულსიები – ჰოლანდიური სოუსი

- **თემა:** კოლოიდური ხსნარები და ემულსიები;
- **ფილმთან კავშირი:** ჯულია ჩაილდის ერთ-ერთი საფირმო რეცეპტია ჰოლანდიური სოუსი (კვერცხის გული + კარაქი + ლიმონის წვენი).
- **ქიმიური ასპექტი:** დაახასიათეთ კვერცხის გული როგორც ემულგატორი (შეიცავს ლეციტინს). განმარტეთ, როგორ აკავშირებს ის წყალსა და ცხიმს, წყალსა და ძმარს, ზეთსა და ძმარს და ქმნის სტაბილურ მასას, მაგალითად, მაიონეზს და სხვა).

1. საფუარი და ფერმენტაცია – ნამცხვრის აფუება
   - **თემა**: მიკროორგანიზმების როლი კვების მრეწველობაში
   - **ფილმთან კავშირი:** ფრანგული პური, ან სხვა პროდუქტი, სადაც საფუარი გამოიყენება;
   - **ბიოლოგიური ასპექტი:** განიხილეთ საფუვრის სპირტული დუღილი. სუნთქავს თუ არა საფუარი უჟანგბადოდ?
2. გემოსა და სუნის შეგრძნება –
   - **თემა**: შეგრძნების ორგანოების – გემოვნების დვრილები და ყნოსვის ბოლქვი;
   - **ფილმთან კავშირი:** ჯულიას ფილოსოფია „ცხიმი და კარაქი გემოს აძლიერებს (აქ პირველი კვება საფრანგეთში. ჯული პაუელის – „კარაქი არასოდესაა მეტი. დედამიწა რომ ნადგურდებოდეს, დარჩენილ 30 დღეს კარაქის ჭამაში გავატარებდი“.
   - **ბიოლოგიური ასპექტი:** დისკუსია – როგორ ხდება გემოს და სუნის შეგრძნება? რა მნიშვნელობა აქვს ყნოსვას გემოს აღქმაში? რატომ არის ცხიმიანი საკვები უფრო გემრიელი? (ცხიმი ატარებს არომატის გამომწვევ მოლეკულებს და პირის ღრუში ქმნის სასიამოვნო ტექსტურას).
3. საკვების უსაფრთხოება
   - **თემა:** პათოგენები და საკვების სწორი მომზადება
   - **ფილმთან კავშირი:** ჯულია ჩაილდი ხაზს უსვამს განსაკუთრებით ხორცის პროდუქტების სწორი დამუშავების მნიშვნელობას (ხორცი გარეცხვის შემდეგ უნდა გააშრო და ისე შეწვა).
   - **ბიოლოგიური ასპექტი:** აქტივობა – განიხილეთ რატომ არის მნიშვნელოვანი ხორცის მომზადება კონკრეტულ შიდა ტემპერატურამდე (ფრინველის ხორცისთვის 740). მაღალი ტემპერატურა ანადგურებს ბაქტერიებს (მაგალითად, სალმონელას).

საბოლოოდ, „ჯული და ჯულია“ გვასწავლის, რომ არ აქვს მნიშვნელობა, თქვენი პროექტი ფრანგული კულინარიის წიგნის წერაა, ბლოგის წარმოება თუ სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარება – წარმატება მიიღწევა სიზუსტით, მონდომებითა და იმის გაგებით, თუ როგორ მუშაობს სამყარო – სამზარეულოშიც და ლაბორატორიაშიც. ფილმის დახმარებით თქვენი მოსწავლეები შეძლებენ საკუთარი, „გემრიელი„აღმოჩენები“ დააგემოვნონ“.

ნაწყვეტები ფილმიდან მოცემულია ბმულებზე:

https://www.youtube.com/watch?v=AsR-WnELodI
https://www.youtube.com/watch?v=pj995jctN1M
https://www.youtube.com/watch?v=TSQ770iqDgY
https://www.youtube.com/watch?v=Eh4czLO1_Y0
https://www.youtube.com/watch?v=Ix60nLJQmAA&list=PL0vVmyKIpMQQxsa811pAhfub_efbAKjCp
https://www.youtube.com/watch?v=8dGW9F073NU
https://www.youtube.com/watch?v=DPH9HIX3ZL4
https://1tv.ge/video/juli-da-julia-8-marts-ghamis-etershi/



მარიამ გოდუაძე

ენის განვითარების დარღვევები და დამნაშავეობრივი ქცევა მოზარდ ასაკში თუ მის შემდეგ

როგორც მიუთითებენ, ენის განვითარების დარღვევის მქონე მოზარდებს უმთავრესად შემდეგი თავისებურებები ახასიათებთ:

- მათ უჭირთ:
  - სწრაფი პასუხი საუბრის დროს – შესაძლოა, დასჭირდეთ ინსტრუქციის გამეორება;
  - გაკვეთილის მსვლელობისას რთული ლექსიკის გაგება და დასწავლა, რაც, ბუნებრივია, ხელს უშლის სწავლის პროცესს;
  - სარკაზმის, ხუმრობის, უფროსების რთული ენის გაგება;
  - იდიომების, მეტაფორებისა და ორაზროვანი სიტყვების მნიშვნელობის გაგება;
  - სრულყოფილი წინადადებების აგება, მიუხედავად იმისა, რომ იციან, როგორ უნდა წარმოთქვან ეს წინადადებები;
  - გადატანითი მნიშვნელობის მქონე სიტყვებით გამდიდრებული ენის გამოყენება.
- მათ მონათხრობს ან წერილობით გადმოცემულ ამბავს აკლია დეტალები, არასრულყოფილია და ძნელად გასაგები;
- უჭირთ დამოუკიდებლად მუშაობა და პრიორიტეტების დასახვა.
- მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლად სამუშაოს შესრულება შეუძლიათ, ვერ აკონტროლებენ დროს.
- სრულყოფილად ვერ მონაწილეობენ სკოლის სოციალურ ცხოვრებაში, რადგან არ შეუძლიათ საუბარში ჩართვა და სოციალური წესებისა და განსხვავებული შეხედულებების მიღება.
- ემოციური სირთულეების გამო ხშირად ფრუსტრაციას განიცდიან და მათი ქცევა ზოგჯერ რთულად სამართავად მიიჩნევა. ეს შესაძლოა გამოხატული იყოს სიტყვიერი და ფიზიკური რეაქციებით ან ურეაქციობით, რის გამოც მათ ხშირად პასიურებად აღიქვამენ.
- მათი ორგანიზების უნარები ხშირად მწირია.
- ენობრივი სირთულეები დაბრკოლებას წარმოშობს სამუშაო გამოცდილების შეძენისა და გასაუბრების დროს.

კვლევები ცხადყოფს, რომ სკოლამდელ ასაკში პოზიტიური ჩარევის შედეგად ეს თავისებურებები მნიშვნელოვნად მცირდება, თუმცა არანაკლები მნიშვნელობა აქვს სასკოლო საზოგადოების მზაობას ენის დარღვევის მქონე ბავშვების მხარდასაჭერად. წინააღმდეგ შემთხვევაში მარცხი გარდაუვალია.

კვლევები ცხადყოფს, რომ სკოლამდელ ასაკში პოზიტიური ჩარევის შედეგად ეს თავისებურებები მნიშვნელოვნად მცირდება, თუმცა არანაკლები მნიშვნელობა აქვს სასკოლო საზოგადოების მზაობას ენის დარღვევის მქონე ბავშვების მხარდასაჭერად. წინააღმდეგ შემთხვევაში მარცხი გარდაუვალია.

გაგიგონიათ გვარ-სახელები: დენიელ ლაპლანტე (აშშ), ლუის იუჯინ გილბერტი (აშშ), გარი ლი სიმპსონი (აშშ)? 1980-იან წლებში მათ არაერთი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს. სასამართლო ჩანაწერებში მიუთითებდნენ, რომ სამივე მკვლელს ბავშვობაში ენის განვითარების დარღვევა, კითხვისა და ყურადღების დეფიციტი ჰქონდა, რასაც ადვოკატები შემამსუბუქებელ გარემოებად ასახელებდნენ, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა – დამნაშავეებს უმკაცრესი განაჩენი გამოუტანეს.

ენობრივი განვითარების დარღვევები და რეციდივიზმის რისკი ახალგაზრდა დამნაშავეებში

დღესდღეობით უცხოეთში – ნაკლებად, ჩვენში კი თითქ-

კვლევის დასკვნები სწორად ენას ასახელებს დანაშაულებრივი ქცევის გაგრძელების ძირითად ფაქტორად და, შესაბამისად, ხაზს უსვამს ახალგაზრდა დამნაშავეების არაოპტიმალური ენობრივი უნარების გათვალისწინების მნიშვნელობას.

მის არ არის შესწავლილი ენობრივი განვითარების დარღვევის (DLD) პოტენციური გავლენა დანაშაულის რისკზე იმ ახალგაზრდებში, რომლებსაც სისხლის სამართლის სისტემასთან კონტაქტის ისტორია აქვთ. არადა, სასამართლო პროცესებისა და თავად დამნაშავეთა საუბრის ჩანაწერებიდან აშკარად იკვეთება ენის დარღვევის სხვადასხვა დონე, რაც საინტერესოა შედარების, პრევენციისა თუ მრავალი სხვა თვალსაზრისით.

საკითხით დაინტერესებამ ერთ-ერთ უცხოურ კვლევამდე მიგვიყვანა.[1] აღნიშნული კვლევის ობიექტია 145 ახალგაზრდა დამნაშავე. მათი ენობრივი განვითარების დონე დადგინდა ახალგაზრდული მართლმსაჯულების სამსახურის ჩანაწერებში ნაპოვნი ინფორმაციის საფუძველზე. შეკრებილი მონაცემები მოიცავდა ექსპრესიული და რეცეპტული ენის სტანდარტიზებულ საზომებს, არავერბალურ ინტელექტს (IQ-ს) და გულქვა, არაემოციური თვისებების ნაზავს. გაანალიზდა ხელახალი დანაშაულის რისკებს შორის შესაძლო განსხვავება ენის განვითარების დარღვევის (DLD) მქონე და არმქონე ახალგაზრდა დამნაშავეებთან. კვლევამ აჩვენა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში ხელახალი დანაშაულის კუმულაციური შემთხვევების მაჩვენებელი DLD-ს მქონე ახალგაზრდებთან გაცილებით მაღალი იყო (62%; 95% CI 52, 72), ვიდრე DLD-ს არმქონეებთან (25%; 95% CI 16, 39).

კვლევის ავტორები მიუთითებენ, რომ სისხლის სამართლის დანაშაულებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საზოგადოებაზე და ამიტომ მოზარდებში რეციდივიზმის პრევენცია პრიორიტეტია ახალგაზრდული მართლმსაჯულების სისტემისთვის (YJS) (Bateman, 2010). დამნაშავეთა რისკის გაზომვა სულ უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება სასამართლო კვლევებში და პრაქტიკოსები ჩარევის რისკის დონესთან შესაბამისობის დადგენას ცდილობენ (Cording,Beggs, Christofferson, & Grace, 2015).

დიდ ბრიტანეთში ბრაიანმა და მისმა კოლეგებმა განაცხადეს, რომ DLD-ს გავრცელება 46-დან 67%-მდე მერყეობ-

[1] Winstanley, Maxine, Webb, Roger T and Conti-Ramsden, Gina (2021) Developmental language disorders and risk of recidivism among young offenders. The Journal Of Child Psychology And Psychiatry, 62 (4). pp. 396-403. ISSN 0021-9630

და, შემთხვევით შერჩეულ პატიმრობაში მყოფ ახალგაზრდებში, რომელთა საშუალო ასაკი 17 წელი იყო (Bryan, Freer & Furlong, 2007). იმავე ავტორებმა ჩაატარეს უფრო ფართომასშტაბიანი კვლევა დაცულ ბავშვთა სახლში და განაცხადეს, რომ ახალგაზრდების 42%-ს, რომელთა საშუალო ასაკი 15 წელი იყო, მიმართული (რეცეპციული) ენის საზომით, მოსახლეობის საშუალო მაჩვენებელზე 1.5 (ან მეტი) სტანდარტული გადახრა ჰქონდა (Bryan, Garvani, Gregory & Kilner, 2015). შედარების ჯგუფების კვლევამაც იგივე აჩვენა. ავსტრალიაში სნოუმ და პაუელმა (2008) მამაკაც დამნაშავეებს დაუდგინეს მნიშვნელოვნად დაბალი ჯგუფური ქულები ყველა ენობრივ საზომში, მათ შორის – ფიგურალურ ენობრივ უნარებში, თხრობით უნარებსა და წინადადებების გამეორების ამოცანებში, დემოგრაფიულად შესაბამის საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. ასეთივე შედეგი აჩვენა ახალი ზელანდიის ახალგაზრდული მართლმსაჯულების რეზიდენციაში 14-17 წლის მამაკაცებზე ჩატარებულმა კვლევამ. ავტორებმა განაცხადეს, რომ ახალგაზრდების 58%-მა სტანდარტიზებული ენობრივი შეფასებისას პოპულაციის საშუალო მაჩვენებელზე 1.5 სტანდარტულზე ნაკლები ქულა მიიღო (Lount, Purdy & Hand, 2017). გარდა ამისა, ნიმუშის 87%-მა საშუალოზე დაბალი ქულა მიიღო (სტანდარტული ქულა 100), რაც ადასტურებს დიდი ბრიტანეთიდან ადრე მიღებულ დასკვნებს (Bryan et al., 2007). ამან ავტორები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ამ მოსახლეობისთვის ნორმალური მრუდი მნიშვნელოვნად არის გადახრილი მარცხნივ (Lount et al., 2017) და ახალგაზრდული მართლმსაჯულების თანამშრომლები ენობრივი უნარების ასეთ დონეს ნორმად მიიჩნევენ (Bryan et al., 2007). ჯამურად, ეს მტკიცებულება მიუთითებს, რომ ახალგაზრდების არაპროპორციულ რაოდენობას აქვს ენობრივი სირთულეები. მეთოდოლოგიური ვარიაციების მიუხედავად, დასკვნები თანმიმდევრულია და, საზოგადოდ, მიღებულია, რომ ახალგაზრდა დამნაშავეების 50%-60%-ს აღენიშნება ენობრივი სირთულეები, რაც კლინიკურ ჩარევას მოითხოვს. უფრო მეტიც: ეს სირთულეები, როგორც წესი, დიაგნოზირებული არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდული მართლმსაჯულების წარმომადგენლებმა არ იციან მისი შედეგების შესახებ (გრეგორი და ბრაიანი, 2011; სნოუ და პაუელი, 2012).

როგორც ვხედავთ, ჩნდება სულ უფრო მეტი მტკიცებულება, რომელიც დეტალურად აღწერს კავშირს ენის განვითარების დარღვევასა (DLD) და ახალგაზრდების მიერ ჩადენილ დანაშაულს შორის. უფრო მეტიც: იკვეთება მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს, რომ ენობრივი სირთულეები ახალგაზრდა დამნაშავეებში რეციდივის პროგნოზირების მთავარი ფაქტორია -ასეთი ახალგაზრდები, სულ მცირე, ორჯერ უფრო ხშირად ჩადიან დანაშაულს, ვიდრე მათი თანატოლები ენობრივი განვითარების დარღვევების გარეშე.

კვლევის დასკვნები სწორად ენას ასახელებს დანაშაულებრივი ქცევის გაგრძელების ძირითად ფაქტორად და, შესაბამისად, ხაზს უსვამს ახალგაზრდა დამნაშავეების არაოპტიმალური ენობრივი უნარების გათვალისწინების მნიშვნელობას. ეს კი ის კომპონენტური უნარებია, რომლებიც ზღუდავს ახალგაზრდის შესაძლებლობას, აქტიურად მონაწილეობდეს ენით გაშუალებულ სიტუაციებში. ამ ახალგაზრდების მიერ განცდილი ენობრივი სირთულეების გაურკვეველი ბუნება რისკის ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც, უნებლიეთ შესაძლოა უგულებელყოფილ იქნეს.

მკვლევრები წუხან, რომ ახალგაზრდული მართლმსაჯულების ამჟამინდელ ჩარჩოში ენა დაჩრდილულია იმ ფაქტორებით, რომლებიც უფრო გავლენიანად მიიჩნევა, რაც პრობლემურია, რადგან დასკვნები მიუთითებს, რომ განვითარების ენობრივი დარღვევა ძლიერი რისკფაქტორია, რომლის რამდენადმე მოწესრიგება შემდგომ დანაშაულებრივ ქმედებებს უსათუოდ აგვაშორებს თავიდან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 1. Bryan, K., Garvani, G., Gregory, J., & Kilner, K. (2015). Language difficulties and criminal justice: The need for earlier identification. International Journal of Language & Communication Disorders, 50, 763-775.
2. Winstanley, Maxine, Webb, Roger T and Conti-Ramsden, Gina (2021) Developmental language disorders and risk of recidivism among young offenders. The Journal Of Child Psychology And Psychiatry, 62 (4). pp. 396- 403. ISSN 0021-9630
3. Hopkins, T., Clegg, J., & Stackhouse, J. (2018). Examining the association between language, expository discourse and offending behaviour: An investigation of direction, strength and independence. International Journal of Language & Communication Disorders, 53, 113-129.
4. Hughes, N., Chitsabesan, P., Bryan, K., Borschmann, R., Swain, N., Lennox, C., & Shaw, J. (2017). Language impairment and comorbid vulnerabilities among young people in custody. Journal of Child Psychology and Psychiatry, 58, 1106-1113. Hughes, N., Williams, P., Chitsabesan, P., Davies, R., & Mounce, I. (2012). Nobody made the connection: the prevalence of neurodisability in young people who offend. London: Office for the Children's Commissioner.

მაკა სახურია

„ვეფხისტყაოსნის“ სწავლებისთვის

„ვეფხისტყაოსნის“ სწავლება მასწავლებლისთვ არცერთ საფეხურზ არის იოლი ამოცან მოსწავლეთა ერთ ნაწილი ინტერესდ ტექსტით, სვამს კითხვებს, ითხოვს მოკლე ეპიზოდიდ მიღებული ცოდნის შევსებას პოემის სრული სიუჟეტით.

„ვეფხისტყაოსნის“ სწავლება მასწავლებლისთვის არცერთ საფეხურზე არ არის იოლი ამოცანა. მოსწავლეთა ერთი ნაწილი ინტერესდება ტექსტით, სვამს კითხვებს, ითხოვს მოკლე ეპიზოდიდან მიღებული ცოდნის შევსებას პოემის სრული სიუჟეტით. ამ დროს მასწავლებელმა ოსტატურად უნდა გაიაროს ბეწვის ხიდზე: ისე უნდა მოახერხოს, რომ ბავშვებს თვალი აუხილოს პოემის სამყაროზე და თან ინტრიგა დატოვოს, როგორც ბავშვები ამბობენ, არ „დაასპოილეროს“, პოემისადმი ინტერესი არ დაუკარგოს. მეათე კლასში ხომ მთლიანად ვსწავლობთ პოემას და ამ დროისთვის ის არ უნდა იყოს უკვე ნაცნობი, გამოწურული, მოსაწყენი ტექსტი. მეორე ნაწილისთვის უცხოდ რჩება პოემის ძველი ქართული ენა და არქაული ლექსიკა, განსხვავებული სინტაქსი, შუა საუკუნეების რაინდობის ეპოქის ადამიანთა ქცევის მოტივაცია, მათი ინტერესები და ურთიერთობის კულტურა.

მეხუთე კლასის პროგრამაშია პოემის პირველი ეპიზოდი – „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“, ხოლო მეექვსე კლასში ისწავლება „უცხო მოყმის ნახვა“ და „თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის საძებრად“, რომლის ადაპტირებული ვერსია მოიცავს 11 სტროფსა და პროზაულ ჩანართებს. მეექვსე კლასში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სამიზნე ცნებებია **ტექსტი, სიტყვა, წინადადება, ტექსტი სიტყვიდან ტექსტამდე,** ხოლო ქვეცნე-

ბები – მხატვრული და არამხატვრული ჟანრები, ნაწარმოების თემა, იდეა, დედააზრი, მხატვრული კონფლიქტი, სიუჟეტის განვითარება, ეპიზოდი, მოქმედების დრო და ადგილი, მთავარი და არამთავარი პერსონაჟები, პერსონაჟის ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო, ენობრივი მხარე, მხატვრული ხერხები/ტროპები (ჰიპერბოლა, ეპითეტი, გაპიროვნება, მხატვრული შედარება, მეტაფორა).

მეექვსე კლასში პოემის ორი ეპიზოდის ადაპტირებული ვერსიის დამუშავებას ოთხი საათი მოვანდომეთ. ვიმუშავეთ ლექსიკაზე, გავაკეთეთ პარაფრაზები, ტექსტის გაგების ეტაპის შემდეგ შევუდექით ანალიზის, სინთეზისა და შეფასების საფეხურებს, ხოლო შემაჯამებელ გაკვეთილზე, რომლის მიზანი იყო ეპიკური პოემის ეპიზოდის იდეურ-მხატვრულ-სახეობრივი ანალიზის უნარების დახვეწა-განვითარება, შევადგინეთ გაკვეთილის ამგვარი გეგმა:

N	აქტივობა	გამოყენებული მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა	რესურსები	დრო
1	მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა			ელექტრონული ჟურნალი	2 წთ
2	პირველი ფაზა: გამოწვევა – გაკვეთილის მიზნის გაცნობა და ტექსტის გარშემო წინარე ცოდნის გააქტიურება 1. „ვეფხისტყაოსნის“ ორი ეპიზოდის შინაარსი, მთავარი სათქმელი 2. პერსონაჟები: როსტევან მეფე, ავთანდილი, უცხო მოყმე, თინათინი, შერმადინი 3. ტროპული ხერხები 4. ლექსის მუსიკალურობა (შაირის ფორმა, ცეზურა, მუხლი, რითმა, რიტმი, დაბალი და მაღალი შაირი)	ინტერაქცია და დისკუსია კლასთან (სოკრატული მეთოდი)		სახელმძღვანელო: ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, ენგურ ქურციკიძე, მარინე ხუციშვილი, ქართული ლიტერატურა, VI კლასი, II ნაწილი, გამომცემლობა „სწავლანი“, 2018	10 წთ
3	მეორე ფაზა – რეალიზება	თანამშრომლობითი (კოოპერატიული) სწავლება	წყვილებში მუშაობა	დამხმარე რესურსი	10 წთ
4	მესამე ფაზა – შეჯამება წყვილების მიერ შესრულებული სამუშაოს პრეზენტირება				13 წთ
5	მეორე ფაზა – რეალიზება საშინაო დავალება: ლიტერატურული ესეს შექმნა „ვეფხისტყაოსნის“ ორი ეპიზოდის („უცხო მოყმის ნახვისა“ და „თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის საძებრად“) განხილვა მითითებები: - იმსჯელეთ ეპიზოდების მთავარი სათქმელის შესახებ; - დაახასიათეთ როსტევანი, ავთანდილი, შერმადინი, უცხო მოყმე და თინათინი; - იმსჯელეთ ლექსის მხატვრულ მხარეზე (შაირის სალექსო ფორმა, რითმა, რიტმი, მაღალი და დაბალი შაირი, ტროპული ხერხები).	დიდაქტიკური მეთოდი			5 წთ

მასწავლებელმა ოსტატურად უნდა გაიაროს ბეწვის ხიდზე: ისე უნდა მოახერხოს, რომ ბავშვებს თვალი აუხილოს პოემის სამყაროზე და თან ინტრიგა დატოვოს, როგორც ბავშვები ამბობენ, არ „დაასპოილეროს“, პოემისადმი ინტერესი არ დაუკარგოს.

გაკვეთილი სახალისოდ და საინტერესოდ წარიმართა, ძალიან მაღალი იყო მოსწავლეთა აქტივობა და ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, მათთვის ნაცნობი იყო ტექსტის ყველა დეტალი, იოლად სცემდნენ პასუხს მასწავლებლის მიერ გაკვეთილის პირველ ფაზაში დასმულ კითხვებს. შემდეგ წყვილებში სამუშაოდ მოვემზადეთ. გთავაზობთ საუკეთესო ნიმუშს, რომელიც ერთი წყვილის მიერ არის შესრულებული.

საკლასო სამუშაო წყვილებში (ნიმუში)

სახელი, გვარი:

შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“
ტაეპები დაყავით ოთხ მუხლად:

1. ასრე გითხრა, / სამსახური/ ჩემი გმართებს/
   ამად ორად:
   პირველ, ყმა ხარ, / ხორციელი/
   არავინ გვყავს/ შენად სწორად,
   მერმე, ჩემი /მიჯნური ხარ, / დასტურია, /
   არ ნაჭორად;
   წადი, იგი/ მოყმე ძებნე, / ახლოს იყოს, /
   თუნდა შორად.

2. მე გარდასრულვარ, / სიბერე /
   მჭირს, ჭირთა უფრო / ძნელია,
   დღეს არა, ხვალე / მოვკვდები, /
   სოფელი ასრე / მქმნელია;
   რაღაა იგი / სინათლე, / რასაცა ახლავს /
   ბნელია?!
   ჩემი ძე დავსვათ / ხელმწიფედ, / ვისგან
   მზე საწუ / ნელია.“

შაირის სახეობა (მაღალი, დაბალი):

1. მაღალი
2. დაბალი

ტაეპი, სადაც მუხლი წყვეტს სიტყვას:
ჩემი ძე დავსვათ / ხელმწიფედ, /
ვისგან მზე საწუ / ნელია.

რითმები (რამდენმარცვლიანია რითმა?):

1. ამად ორად / შენად სწორად / არ ნაჭორად /
   თუნდა შორად – 4-მარცვლიანი რითმა
2. ძნელია / მქმნელია / ბნელია /
   -ნელია- 3-მარცვლიანი რითმა

ტროპული ხერხები (ეპითეტი, შედარება, მეტაფორა, ჰიპერბოლა - ახსენით და მიუთითეთ მათი მნიშვნელობა):

1. რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?! - ალეგორია (იგულისხმება მეფის ასაკის გამო მისი მეფობის ნაკლოვანი მხარეები);
2. ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია - ჰიპერბოლა (იგულისხმება (განდიდებულია) თინათინის იშვიათი სილამაზე).

წყვილებში სამუშაოს დასრულების შემდეგ 13-15 წუთი დავუთმეთ მასალის პრეზენტაციას. თუმცა ამ დროში 14 წყვილიდან პრეზენტირებას ყველა ვერ მოასწრებს, ამიტომ მასწავლებელი იბარებს ნაშრომებს შესაფასებლად.

გაკვეთილის დასკვნით ნაწილში ვემზადებით შემაჯამებელი ესეს დასაწერად და ვაყალიბებთ მითითებებს. განვსაზღვრეთ ესეს მოცულობა და შევთანხმდით, რომ სიტყვათა მინიმალური რაოდენობა ყოფილიყო 400. ესეს მიზანია „ვეფხისტყაოსნის“ ორი ეპიზოდის („უცხო მოყმის ნახვა“ და „თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის საძებრად“) განხილვა, ხოლო მიმართულების მიმცემი მითითებები ჩამოვაყალიბეთ ამგვარად:

- იმსჯელეთ ეპიზოდების მთავარი სათქმელის შესახებ;
- დაახასიათეთ როსტევანი, ავთანდილი, შერმადინი, უცხო მოყმე და თინათინი;
- იმსჯელეთ ლექსის მხატვრულ მხარეზე (შაირის სალექსო ფორმა, რითმა, რიტმი, მაღალი და დაბალი შაირი, ტროპული ხერხები).

რეფლექსიისთვის შემიძლია ვთქვა, რომ მეექვსე კლასში „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდების სწავლებამ საინტერესოდ ჩაიარა, ტექსტი დაეხმარა მოსწავლეებს ანალიტიკური უნარების დახვეწა-განვითარებაში. ასევე წარმატებული იყო თანამშრომლობა წყვილებს შორის. მიღწეულ შედეგს ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მოსწავლეთა მიერ შესრულებული ლიტერატურული ესეები, რომლებშიც მათ ტექსტის სამი (იდეური, სახეობრივი და მხატვრული) მიმართულებით კვლევა-დაკვირვების რეალიზება უნდა შეძლონ.

თამარ მურუსიძე

ერთი შემოქმედებითი დავალების შეფასების დღიური

როდესაც სწავლება ასეთ კომპლექსურ სახეს იღებს, ჩვენ აღარ ვასწავლით მხოლოდ „საგნებს“ – ჩვენ ვეხმარებით მოსწავლეს, ჩამოყალიბდეს მოაზროვნე პიროვნებად, რომელსაც შეუძლია მონაცემების ანალიზი, გუნდური მუშაობა და საკუთარ თავზე მუდმივი დაკვირვება.

თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომები, მოითხოვს არა მხოლოდ ცოდნის ათვისებას, არამედ პასუხისმგებლობის აღებასაც საკუთარ და ჯგუფურ სასწავლო პროცესებზე. ეს სტატია ფოკუსირდება იმაზე, როგორ აქცევს შეფასების პროცესი მოსწავლეებს კრიტიკულ ანალიტიკოსებად.

ქვემოთ მე-7 კლასში ამ თემის პრაქტიკულ განხორციელებას აღვწერ.

თემატური ბლოკი: რიცხვითი სიმრავლეები

თემა: მთელი რიცხვები

საკითხები:

- მთელი რიცხვები
- მთელი რიცხვის მოდული
- მთელი რიცხვების შედარება
- მთელი რიცხვების მიმატება და გამოკლება
- მთელი რიცხვების გამრავლება და გაყოფა

სამიზნე ცნებები:

- **მათემატიკური მოდელი** – მთელი დადებითი და მთელი უარყოფითი რიცხვები, რიცხვითი ღერძი, რიცხვის მოდული
- **კანონზომიერება** – მოქმედებები მთელ დადებით და უარყოფით რიცხვებზე
- **ლოგიკა** – ლოგიკური კავშირები და მსჯელობა

იმისთვის, რომ შემოქმედებითი დავალება ეფექტური ყოფილიყო, სასწავლო პროცესი რამდენიმე ეტაპად დავგეგმე.

მუშაობა იმით დავიწყე, რომ თითოეულ მოსწავლეს დავალება ინდივიდუალურად შევასრულებინე – მინდოდა, საკითხი სიღრმისეულად გაეაზრებინათ და თითოეულ მოსწავლეს საკუთარ თავზე აეღო პასუხისმგებლობა დავალების შესრულებაზე. ინდივიდუალური ეტაპის დასრულების შემდეგ კლასი 5 სამუშაო ჯგუფად დავყავი. მოსწავლეებს მივეცი შესაძლებლობა, თავად აერჩიათ ჯგუფის ლიდერები, რომლებსაც შემდგომ პროცესის კოორდინაცია და სამუშაოს სამართლიანი განაწილება დავავალე. პრეზენტაციის პროცესი ერთფეროვანი და მოსაწყენი რომ არ ყოფილიყო, ჯგუფებს კენჭისყრის პრინციპით ვარგუნე დავალების 5 სხვადასხვა ნაწილი (მათ შორის – ისტორიული კვლევის ბლოკი). ამ მიდგომამ მოსწავლეებს აზარტი შემატა და საშუალება მომცა, თითოეული ჯგუფისგან სრულიად განსხვავებული და საინტერესო კუთხით წარმოჩენილი ნაშრომი მიმეღო.

ამ შემოქმედებით დავალებაში სამიზნე ცნებებისა და ჯგუფური მუშაობის უნარების ობიექტურად შესაფასებლად შეფასების ერთიანი სისტემა გამოვიყენე. სისტემის უმთავრესი პედაგოგიური ღირებულება ის არის, რომ მოსწავლეებმა თავად მიიღეს მონაწილეობა რუბრიკების შემუშავებაში. ამან გაზარდა მათი პასუხისმგებლობა და ხელი შეუწყო მეტაკოგნიტიური უნარების განვითარებას:

- მოსწავლეებმა თავად განსაზღვრეს წარმატების სტანდარტები.
- გაიაზრეს, რომ შედეგთან ერთად მნიშვნელოვანია პროცესიც (თანამშრომლობა, სიზუსტე, დროის მართვა).

ჯგუფური მუშაობის თვითშეფასების რუბრიკა

დავალება: „დროის ღერძი და ცვლილების დინამიკა“

ჯგუფის წევრი: (სახელი, გვარი)

ინსტრუქცია: შეაფასე შენი წვლილი ჯგუფურ მუშაობაში თითოეული კრიტერიუმის მიხედვით. შემოხაზე შესაბამისი ქულა (1 = ყველაზე დაბალი, 4 = ყველაზე მაღალი).

კრიტერიუმი	1 ქულა (ითხოვს გაუმჯობესებას)	2 ქულა (ნაწილობრივ შევასრულე)	3 ქულა (კარგად შევასრულე)	4 ქულა (შესანიშნავად შევასრულე)
1. ჩართულობა და წვლილი	ნაკლებად ვმონაწილეობდი დისკუსიებში; ჩემი წვლილი დავალების შესრულებაში მინიმალური იყო.	შევასრულე ჩემთვის დაკისრებული ნაწილი, თუმცა თავად ინიციატივა არ გამომიჩენია და დამოკიდებული ვიყავი სხვის მითითებებზე.	აქტიურად ვმონაწილეობდი დავალების შესრულებაში და ჩემი ნაწილი დათქმულ ვადაში შევასრულე.	ინიციატივა გამოვიჩინე დავალების ნაწილების შესრულებისას და შევთავაზე დამატებითი დახმარება სხვებს.
2. მასალის სიზუსტე (ხარისხი)	ჩემ მიერ მიწოდებული ინფორმაცია/გამოთვლები ხშირად მოითხოვდა შესწორებას.	ჩემი გამოთვლები ზოგადად სწორი იყო, თუმცა მცირე შეცდომებით.	ჩემი დავალება მაღალი სიზუსტით იყო შესრულებული (გამოთვლები, დასაბუთება).	ჩემი გამოთვლები იყო უზადო. დავეხმარე ჯგუფის სხვა წევრებს გამოთვლების სიზუსტის შემოწმებაში.
3. თანამშრომლობა და კომუნიკაცია	არ ვიზიარებდი იდეებს; არ ვუსმენდი სხვების აზრს; ჩემთან კომუნიკაცია რთული იყო.	ვმუშაობდი ინდივიდუალურად და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ვკონტაქტობდი ჯგუფთან.	მეგობრული და ღია ვიყავი კომუნიკაციისთვის; პატივს ვცემდი სხვის აზრს და ვაზიარებდი ჩემსას.	აქტიურად ვეხმარებოდი კონსენსუსის მიღწევაში და ვქმნიდი პოზიტიურ გარემოს.
4. დროის მართვა	ვადაგადაცილებით მოვიტანე ჩემი ნაწილი, რამაც მთელი ჯგუფი შეაფერხა.	ჩემი ნაწილი ბოლო მომენტში შევასრულე.	ჩემი ნაწილი ვადაზე ადრე ან ზუსტად ვადაში წარვადგინე.	ჩემი ნაწილი ვადაზე ადრე შევასრულე და დრო გამოვიყენე ჯგუფის საერთო პროდუქტის გასაუმჯობესებლად.

შეჯამება

გთხოვთ, მოკლედ დაწეროთ:

1. ჩემი მთავარი წვლილი დავალებაში იყო ----------
---

2. რის გაკეთებას შევძლებ უკეთესად მომავალი ჯგუფური დავალების შესრულებისას? ----------

ლიდერის შეფასება თითოეული წევრის ინდივიდუალურ წვლილს დაეფუძნა, რაც მოიცავდა მათემატიკურ სიზუსტესა და სამიზნე ცნებების გააზრებას, მაგალითად, უარყოფითი რიცხვის ლოგიკურ დაკავშირებას ისტორიულ კონტექსტთან. ამასთანავე, გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა გუნდურ თანამშრომლობას, იდეების გაზიარებას და თითოეული წევრის აქტიურ ჩართულობას საბოლოო პროდუქტის მომზადებასა თუ პრეზენტაციის ვიზუალურ გაფორმებაში.

ჯგუფის ლიდერის შეფასების რუბრიკა: ინდივიდუალური წვლილი

ჯგუფის წევრის სახელი, გვარი:

ინსტრუქცია: შეაფასეთ ჯგუფის წევრის მუშაობა 1-დან 3-მდე ქულით თითოეული კრიტერიუმის მიხედვით, სადაც 3 არის უმაღლესი შეფასება.

#	კრიტერიუმი	1 ქულა (არადამაკმაყოფილებელი)	2 ქულა (დამაკმაყოფილებელი)	3 ქულა (შესანიშნავი)	ქულა
1	დავალების შესრულება (მათემატიკური სიზუსტე)	წევრის მიერ შესრულებული დავალება შეიცავდა უამრავ შეცდომას, რამაც დააზარალა საბოლოო პროდუქტი.	წევრმა შეასრულა თავისი ნაწილი, მაგრამ საჭირო გახდა ლიდერის/სხვა წევრების მიერ დროის დახარჯვა მისი მნიშვნელოვანი კორექტირებისთვის.	დავალების მისთვის განკუთვნილი ნაწილი მაღალი სიზუსტით იყო შესრულებული და არ მოითხოვდა კორექტირებას.	
2	თანამშრომლობა და კომუნიკაცია	უჭირდა კომუნიკაცია, არ იყო მზად კომპრომისისთვის ან არ ესწრებოდა შეხვედრებს.	ჩართული იყო ჯგუფურ კომუნიკაციაში, მაგრამ პასიური იყო იდეების გენერირებისას.	ეფექტურად იზიარებდა იდეებს, მიიღო კრიტიკა და ხელს უწყობდა ჯგუფის საერთო მუშაობას.	
3	პროდუქტის დასრულება და პრეზენტაციისთვის მზაობა (ნაცვლად დროის მართვისა)	თავისი წვლილი შეიტანა გვიან, რამაც პროდუქტის ვიზუალიზაციასა და საბოლოო შეკვრას ხელი შეუშალა.	შეასრულა თავისი ნაწილი, მაგრამ არ მიიღო მონაწილეობა პროდუქტის საბოლოო გაფორმებასა და პრეზენტაციის მომზადებაში.	დროულად დაასრულა თავისი ნაწილი და აქტიურად მიიღო მონაწილეობა პოსტერის/პრეზენტაციის დასრულებაში/ გაფორმებაში.	

შეფასების შეჯამება (ლიდერის კომენტარი)

1. ამ წევრის (სახელი, გვარი) ყველაზე დიდი წვლილი დავალებაზე მუშაობისას იყო: ----------

2. რისი გაუმჯობესება სჭირდება ამ წევრს მომავალი ჯგუფური დავალებებისთვის? ----------

3. საბოლოო ქულა: (ჯამური ქულა 9-დან) ----------

4. საბოლოო შეფასება (10-ბალიანი სკალის მიხედვით) ----------

იმისათვის, რომ ლიდერის მიერ მინიჭებული ქულები მოსწავლისთვის გასაგებ და სამართლიან აკადემიურ შეფასებად გარდაქმნილიყო, ჯგუფის ლიდერებს შევთავაზე კონვერტაციის შემდეგი სქემა:

კონვერტაცია 10-ბალიან შეფასებაზე

მიღებული ქულა (რუბრიკიდან)	შეფასება (10 ბალი)	განმარტება
9 (მაქსიმალური)	10	შესანიშნავი შესრულება ყველა კრიტერიუმში
8	9	მაღალი დონე, მცირე ხარვეზებით ერთ კრიტერიუმში
7	8	დამაკმაყოფილებელზე მაღალი დონე
6	7	დამაკმაყოფილებელი დონე (საშუალო ჯამური ქულა სამივე კრიტერიუმში)
5	6	საშუალო დონე, საჭიროებს გაუმჯობესებას
4	5	სუსტი შესრულება
3 (მინიმალური)	4	ძალიან სუსტი შესრულება, მუშაობა ძირითადად არადამაკმაყოფილებელი იყო.

ამგვარი მიდგომა აყალიბებს კლასში უკუკავშირის ღია კულტურას. მოსწავლე სწავლობს, რომ შეფასება არა დასჯის, არამედ განვითარების ინსტრუმენტია. ეს არის გარდამტეხი მომენტი, როდესაც თვითრეგულაცია ხდება სწავლის ხარისხის მთავარი მამოძრავებელი ძალა.

პროექტის დასრულების შემდეგ, როდესაც მოსწავლეებმა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების პროცესი გაიარეს, მათმა პასუხებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა **ინტერდისციპლინური სწავლებისა და განმავითარებელი შეფასების** ერთობლივ ძალაში. აი, რამდენიმე ამონარიდი მათი რეფლექსიებიდან, რომლებიც ადასტურებს, რომ მათემატიკური სიზუსტე და ისტორიული კონტექსტის აღქმა პიროვნულ პასუხისმგებლობაში გადაიზარდა:

ამგვარი შეფასება აყალიბებს კლასში უკუკავშირის ღია კულტურას. მოსწავლე სწავლობს, რომ შეფასება არა დასჯის, არამედ განვითარების ინსტრუმენტია. ეს არის გარდამტეხი მომენტი, როდესაც თვითრეგულაცია ხდება სწავლის ხარისხის მთავარი მამოძრავებელი ძალა.

როგორც მასწავლებელმა, ამ პროცესში დავინახე, რომ როდესაც სწავლება ასეთ კომპლექსურ სახეს იღებს, ჩვენ აღარ ვასწავლით მხოლოდ „საგნებს“ – ჩვენ ვეხმარებით მოსწავლეს, ჩამოყალიბდეს მოაზროვნე პიროვნებად, რომელსაც შეუძლია მონაცემების ანალიზი, გუნდური მუშაობა და საკუთარ თავზე მუდმივი დაკვირვება.

ანო (VII კლასი): „თავიდან უარყოფითი რიცხვები მხოლოდ მათემატიკური სიმბოლოები მეგონა. როდესაც ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დანაკარგი გამოვთვალე, მივხვდი, რომ მინუსი სინამდვილეში დანაკარგს ნიშნავდა“.

ლუკა (ჯგუფის ლიდერი): „ქულების დაწერაზე ბევრი ვინერვიულე, იმიტომ რომ მინდოდა, ყველას მიმართ სამართლიანი ვყოფილიყავი. ყველაზე მეტად ის მომეწონა, რომ მერე ერთად განვიხილეთ ეს ქულები – ამან ერთმანეთს უფრო დაგვაახლოვა“.

ნიკო (VII კლასი): „საინტერესო იყო საკუთარი თავისთვის ქულის დაწერა. მივხვდი, რომ ზოგჯერ მეზარებოდა რაღაცები და დავაკელი, ზოგან კი მართლა ყოჩაღი ვიყავი. რაც მთავარია, ვისწავლე, რომ დროის გაფრთხილებაა საჭირო და შემდეგში უფრო მოვინდომებ“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა https://mes.gov.ge/content.php?id=3929&lang=geo
2. მათემატიკის გზამკვლევი, მეშვიდე კლასი. შედგენილი ქეთი ცერცვაძის მიერ ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში https://math.ge/meshvide-klasi/



გიტა თვალაბეიშვილი

როგორ დავგეგმოთ გასვლით-შემეცნებითი გაკვეთილი მუზეუმში

არაფორმალური განათლება, როგორც ბავშვისთვის, ასევე საზოგადოების შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ელემენტია. კვლევები ცხადყოფს, რომ განათლების 60-65 % სწორედ ამ გზით მიღებული ცოდნის შედეგია.

დოკუმენტში არაფორმალური განათლების განმარტებას ამგვარად ვხვდებით: „ეს არის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ფორმალური განათლების მიღმა „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შეძენას“. იგი მთლიანად ბავშვის ინტერესებსა და სურვილებზეა მორგებული, თუ რა, სად და როგორ შეიმეცნოს მან. ის მეტად ორიენტირებულია პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებაზე. ხოლო ფორმალურ განათლებაში წინასწარ არის განსაზღვრული და სტრუქტურირებული სწავლების შინაარსი, ფორმაც, პროგრამაც და დასწავლის დროც. არაფორმალური განათლების ელემენტები დღეს უფრო ხშირად გვხვდება ფორმალურ განათლებასთან ერთად, ვიდრე ეს იყო 5-6 წლის წინ.

არაფორმალურისა და ფორმალური განათლების ამგვარ ინტეგრირებად შეიძლება მივიჩნიოთ გასვლითი სასწავლო შემეცნებითი გაკვეთილები ამა თუ იმ საინტერესო ადგილას. ამგვარი ვიზიტი მოსწავლეებისთვის არ უნდა აღიქმებოდეს როგორც გასართობი შინაარსის გასვლა. მას სჭირდება მკაცრად გაწერილი პროგრამა, რომელიც, თავის მხრივ, მოითხოვს სწორად ფორმულირებულ მიზანს, კავშირს სასწავლო პროგრამასთან და შედეგიანობის გათვლას.

ამგვარად, სასკოლო სასწავლო შემეცნებითი ვიზიტი მნიშვნელოვანია კლასგარეშე განათლებისთვის. მოსწავლე სწავლობს როგორც ფორმალურ , ასევე არაფორმალურ გარემოში. ასეთ შეხვედრებზე მათ სოციალური და საკუთარი თავის მართვის უნარ-ჩვევებიც უვითარდებათ. ვიზიტების დროს ისინი არა მხოლოდ სწავლობენ, არამედ ისვენებენ კიდეც, თანაც ამას ორგანიზებული, ჯგუფური სახე აქვს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ვიზიტი წინასწარ უნდა დაიგეგმოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება იგი საინტერესო და საგანმანათლებლო ღირებულების მატარებელი. გარდა ამისა, ასეთი გაკვეთილი ახდენს რამდენიმე საგნის ინტეგრირებას. ამიტომ აქ შეიძლება სხვადასხვა საგნის მასწავლებელთა ჩართულობა და შეთანხმებული მუშაობაც გახდეს საჭირო. ეს ბევრად ეფექტიანია, რადგან თემისა და ობიექტის შესწავლა ხდება მრავალმხრივი პერსპექტივით. ამგვარად მიღებული ცოდნა კი ბევრად კომპლექსურია და ამასთან ერთად ზოგავს თანხებს (თითოეული საგნის ფარგლებში არ იგეგმება ცალ-ცალკე გასვლა).

სასწავლო შემეცნებითი ვიზიტის მიზანთან ერთად, აუცილებელია შეხვედრის ზუსტი დროის განსაზღვარა და მოსწვლეთა რაოდენობის დადგენაც, რადგან უსაფრთხოების მიზნით მნიშვნელოვანია, 5 ბავშვზე ერთი უფროსი მაინც მოდიოდეს მეთვალყურედ.

მასწავლებელმა მუზეუმის შესახებ წინასწარ უნდა მოიძიოს ინფორმაცია, რათა პრობლემებს არ წააწყდეს. გასათვალისწინებელია, რომ შეიძლება თავად დაწესებულებას ჰქონდეს რაიმე ტიპის შეზღუდვა (მაგალითად, დამთვალიერებელთა ჯგუფების დიდ ან მცირე რაოდენობაზე).

მნიშვნელოვანია, პედაგოგმა წინასწარ გააცნოს მოსწავლეებს ვიზიტის გეგმა – რა უნდა ნახონ, რას უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება. თავად მასწავლებელმაც უნდა უბიძგოს მოსწავლეებს კითხვების დასმისკენ, თუ მოსწავლეები დაწყებით საფეხურზე არიან, ამ შემთხვევაში თვითონ მასწავლებელმაც შეიძლება დასვას კითხვები და ამით მიბაძვის სურვილი გაუჩინოს მოსწავლეებს.

ვიზიტამდე:

- გააცანით მოსწავლეებს ვიზიტის მიზანი, მიმართულება და რა სასწავლო თემატიკას ეხმიანება იგი;
- წინასწარ განსაზღვრეთ ვიზიტის დროს ჩასატარებელი აქტივობები;

- სთხოვეთ მოსწავლეებს, თან ჰქონდეთ პატარა წიგნაკი და კალამი, რათა მოინიშნონ გიდის მიერ ახსნილი მნიშვნელოვანი და მათთვის საინტერესო ინფორმაცია;
- დეტალურად გააცანით მოსწავლეებს მუზეუმში ქცევის წესები და უსაფრთხოების ზომები;
- არ დაგავიწყდეთ მოსწავლეთა გაფრთხილება: ყური დაუგდონ გიდსა და მასწავლებელს და მისდიონ ინსტრუქციებს, გამოიჩინონ სოციალური პასუხისმგებლობა.

ვიზიტის დროს:

- მასწავლებელი უნდა ეცადოს, აქტივობები მრავალფეროვანი და სახალისო იყოს, ასე არ გაუჭირდება კლასის მართვა;
- სასურველია, აქტივობებს ჰქონდეს ჯგუფური ხასიათი, შეიძლება მცირე ჯანსაღი კონკურენციის პირობებიც შევქმნათ, ეს ბევრად აზარტულს და საინტერესოს გახდის პროცესებს;
- მგზავრობის დროც არ დაკარგოთ ფუჭად. ამ დროს შეიძლება მათ მცირე თამაშობები შევთავაზოთ. მაგალითად, „ეკი-ვოკი“ (ასოციაციებით თემატური სიტყვის ამოცნობა). ქუჩებისა და თანმხვედრი მნიშვნელოვანი გეოგრაფიოული ობიექტების დაკვირვება, დასახელება, ისტორიულ ჭრილში განხილვა. ავტომობილებზე დაკვირვება და აღრიცხვა, თუნდაც, რა ფერის ან მარკის ავტომობილები ჭარბობს და ა.შ.

ვიზიტის შემდეგ:

- ვიზიტის შემდეგ მოაწყვეთ რაიმე სახის გამაერთიანებელი გაკვეთილი, სადაც მოსწავლეები შეძენილი ცოდნისა და ინფორმაციის ანალიზსა და წარდგენას შეძლებენ. შეიძლება ეს იყოს კედლის გაზეთი, ბლოგი საპრეზენტაციო მასალის მომზადება და ა.შ.
- მოსწავლეებს კარგი მუშაობისთვის შეგიძლიათ გადასცეთ სიმბოლური საჩუქრები ან მადლობის ბარათები.

ცოტა რამ პირადი გამოცდილებიდან

კლასი: მეოთხე

თემა: ცოცხალი ორგანიზმების ჯგუფები

საგანი/ები: ქართული ენა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება , სახვითი და გამოყენებითი ხელონება

მიზანი: ***ქართული ენა*** – შეკითხვების შედგენა ინტერვიუსთვის, წერითი პროცესების გააქტიურება, შემოქმედებისა და პრეზენტირების უნარის განვითარების ხელშეწყობა;

ბუნება – ობიექტების დაჯგუფება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, მსჯელობა მიკროორგანიზმების დადებით და უარყოფით მნიშვნელობაზე, ინფორმირება ბაქტერიების სასარგებლო და საზიანო თვისებების შესახებ, საქართველოში გავრცელებული ზოგიერთი სოკოს ამოცნობა, მცენარეებისა და ხერხემლიანი ცხოველების გარკვეული ნიშნის მიხედვით დაჯგუფება;

მე და საზოგადოება – გაიგონ მუზეუმების დანიშნულების შესახებ, სწორად აღიქვან მათი როლი ქვეყნის და მსოფლიო ისტორიის კონტექსტში.

ხელოვნება – სხვადასხვა ტექნიკისა და მასალის გამოყენებით სამუზეუმო ექსპონატის შექმნა თიხის ფირფიტებზე.

ნაბიჯი პირველი: მოსწავლეებმა ბუნებისმეტყველებაში შეისწავლეს ცოცხალი ორგანიზმების ძირითადი ჯგუფები. თემის ფარგლებში შეიტყვეს, თუ რა ნიშნების საფუძველზე აჯგუფებენ ორგანიზმებს და რამდენ ჯგუფში არიან ისინი გაერთიანებულები; რა განსხვავებაა წიწვოვან და ყვავილოვან მცენარეებში, რაში იყენებს ადამიანი სოკოებს, როგორი ბაქტერიები არსებობს და როგორ ავიცილოთ ბაქტერიული დაავადებები თავიდან, რა მნიშვნელობა აქვს ხერხემალს ცხოველთა დაჯგუფებაში და რა ჯგუფებს გამოყოფენ ამის მიხედვით.

მათ შეძლეს ობიექტების დაჯგუფება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, იმსჯელეს მიკროორგანიზმების დადებით და უარყოფით მნიშვნელობაზე, გაიგეს ბაქტერიების სასარგებლო და საზიანო თვისებების შესახებ, ამოიცნეს საქართველოში გავრცელებული ზოგიერთი სოკო, დააჯგუფეს მცენარეები და ხერხემლიანი ცხოველები გარკვეული ნიშნის მიხედვით .

ნაბიჯი მეორე: საგან მე და საზოგადოების ფარგლებში მოსწავლეებმა შეისწავლეს მუზეუმის თემა. შეიტყვეს თუ რა არის მუზეუმის დანიშნულება, რა სახის მასალას ინახავს იგი, რა ტიპის მუზეუმები არსებობს მსოფლიოში, რა არის ექსპონატი, ვინ არის გიდი და ა.შ.

ნაბიჯი მესამე: სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში მოსწავლეები გაეცნენ სხვადასხვა სახის მუზეუმს. დაადგინეს, რა სახის სამუზეუმო ექსპონატები შეიძლება არსებობდეს. პრაქტიკულ ნაწილში კი კერამიკული თიხის ფირფიტების გამოყენებით შექმნეს სხვადასხვა სამუზეუმო ექსპონატი;

ნაბიჯი მეოთხე: ქართულ ენაში მოსწავლეებმა შეისწავლეს ჟანრი – ზღაპარი და ჯადოსნური სამყარო. საკლასო ოთახში ჯადოსნური ნივთების მუზეუმის მოწყობის მიზნით, მათ საკუთარი ინტერპრეტაციით წარმოადგინეს სხვადასხვა ნივთი, რომელსაც ჯადოსნური თვისება მიუსადაგეს. თითოეული ექსპონატისთვის დაამზადეს აღწერილობა, წარუდგინეს თანაკლასელებსა და სტუდენტებს და ნივთთან ერთად განათავსეს საგანგებოდ გამოყოფილ საექსპონატო მაგიდაზე.

ნაბიჯი მეხუთე: მშობლებთან შეთანხმებით, დაიგეგმა სასწავლო შემეცნებითი ვიზიტი სიმონ ჯანაშიას სახელობის ეროვნულ მუზეუმში, კავკასიის ბიომრავალფეროვნების სექციაში. რადგან მოსწავლეთა რაოდენობა ოც ბავშვამდე გახლდათ, დახმარება მშობლებს ვთხოვე. თან გვახლდა ოთხი მშობელი.

მოსწავლეებს წინასწარ გავაცანი ვიზიტის მიზანი და ქცევის წესები.

ვიზიტის მიზანი:

- *საკლასო სივრცეში შესწავლილი მასალის გაერთიანება და რეალურ სივრცეში გადატანა*
- *კავკასიის ბიომრავალფეროვნების გაცნობა, ხერხემლიან და უხერხემლო ცხოველთა ჯგუფების თვალსაჩინოდ აღქმა;*
- *ეროვნული კულტურული ძეგლებისადმი პატივისცემისა და დაცვითი თვითშეგნების გაძლიერება;*

- *საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე (მუზეუმში) ქცევის წესების დაცვა/გამომუშავება;*
- *თვალსაწიერის გაფართოება;*
- *არასაკლასო გარემოში ჯანსაღი ურთიერთობების ხელშეწყობა;*

მუზეუმში ქცევის წესები (შეგიძლიათ თავად მუზეუმის ვებ-გვერდზე იხილოთ, რამდენიმე კი საჭიროებისამებრ დაამატოთ):

სასურველია, მუზეუმის დათვალიერებამდე გაეცნოთ მუზეუმის გზამკვლევს (ამ შემთხვევაში ვირტუალურად), რომ უკეთ დაგეგმოთ დათვალიერების პროცესი და განსაზღვროთ მოლოდინები;

დატოვეთ არასაჭირო ნივთები მუზეუმის გარდერობში;

მოიქეცით თავშეკავებულად, მშვიდად. მიუღებელია ხმამაღლა საუბარი, გადაძახება. არ არის სასურველი საკუთარი შთაბეჭდილებების ზედმეტი ემოციებით გამოხატვა. ასევე, არ არის აუცილებელი ხელების ზედმეტად მოძრაობა, თუნდაც მისათითებლად. დაუშვებელია სირბილი საგამოფენო სივრცეში;

არ დადგეთ დამთვალიერებლის წინ, არ შეუშალოთ ხელი სხვას დათვალიერებაში;

ყურადღებით მოუსმინეთ გიდს. თუ თქვენთვის მისი საუბარი ნაკლებად საინტერესოა, მოიქეცით ისე, რომ სხვებს ხელი არ შეუშალოთ;

არ შეეხოთ ხელით ექსპონატებს. ექსკურსიის დროს, არ შეაწყვეტინოთ საუბარი გიდს. დაუსვით შეკითხვები მხოლოდ მას შემდეგ, როცა ის დაასრულებს საუბარს.

შეიკავეთ თავი მაშინაც კი, როცა არ მოგეწონათ ექსპონატი. არ არის საჭირო უარყოფითი ემოციების ხმამაღლა გამოხატვა;

- თან იქონიეთ პატარა წიგნაკები და კალმები, ჩაიწერეთ მნიშვნელოვანი და თქვენთვის საინტერესო ინფორმაცია, რადგან მომდენო გაკვეთილზე ამ საკითხზე მოვაწყობთ მცირე ვიქტორინას.
- და ა.შ.

აქვე აღვნიშნავ , რომ მოსწავლეებთან ერთად მეც ვინიშნავდი მნიშვნელოვან ინფორმაციას, რათა მაგალითი მიმეცა ბავშვებისთვის.

ნაბიჯი მეექვსე: ვიზიტის შემდეგ, მუზეუმიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოვაწყვეთ ინტელექტუალური ვიქტორინა – „რა? სად? როდის?“.

არაფორმალური განათლება, როგორც ბავშვისთვის, ასევე საზოგადოების შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ელემენტია. კვლევები ცხადყოფს, რომ განათლების 60-65 % სწორედ ამ გზით მიღებული ცოდნის შედეგია.

კითხვები სრულიად მოიცავდა მუზეუმში მოსმენილ და ნანახ მასალას. დახმარება გამიწიეს სტუდენტებმა, რომლებიც სკოლაში შესაბამის პრაქტიკას გადიოდნენ, თუმცა ასეთ დროს შეგიძლიათ დახმარება სთხოვოთ კოლეგებსაც.

ჯგუფებში მოასწავლეები წინასწარ გადავანაწილე. რადგან ისეთი მოსწავლეები , რომლებმაც ვერ შეძლეს მუზეუმში სტუმრობა, ერთად არ მოხვედრილიყვნენ და არ აღმოჩენილიყვნენ თამაშგარე მდგომარეობაში , რათა მათი ჩართულობაც მაქსიმალური ყოფილიყო (შეიძლება ითქვას, რომ ამ ნაბიჯმა გაამართლა, რადგან ისინი ყურადღებით უსმენდნენ მსჯელობის პროცესში გუნდის წევრებს, მათ დაევალათ ბარათებზე პასუხების დაწერა, საბოლოოდ კი აღნიშნეს, რომ მეგობრებისგან ბევრი რამ გაიგეს , თუ რა ნახეს და მოისმინეს მუზეუმში) .

სტუდენტები გადანაწილდნენ შემდეგი სახით:

კითხვების შემგროვებელი, პასუხების მცველი და მესამეს ქულათა დაჯამება დაევალა. წამყვანობა და კითხვების დასმა თავად ავიღე საკუთარ თავზე. განწყობისთვის მსვლელობა მუსიკალურად გავაფორმე, რომელიც სატელევიზიო გადაცემიდან იყო. ტაიმერის ხმა (30 წმ) კი ფონად გასდევდა კითხვებზე მუშაობის პროცესს.

- დასაწყისიდანვე ჯგუფებმა შეარჩიეს გუნდის სახელები და დაწერეს როგორც სამაგიდო ბანერზე, ასევე პასუხების ფურცლებზე, რათა პასუხების შემგროვებელს მარტივად დაელაგებინა ისინი;
- თითოეულმა გუნდმა შეარჩია კაპიტანი, რომელიც კაპიტნების ტურში სრულიად მარტო დარჩებოდა შეკითხვის საპასუხოდ;

15 შეკითხვიდან 14-ს პასუხობდა გუნდის ყველა წევრი, ხოლო მე-8 შუალედურ შეკითხვაზე მაგიდასთან რჩებოდნენ კაპიტნები („კაპიტნების ტური“) ;

მასწავლებელს აუცილებლად მზად უნდა ჰქონდეს სათადარიგო კითხვაც, ერთნაირი შედეგების მიღების შემთხვევაში რომ გამოიყენოს (ჩვენ შემთხვევაში ამის აუცილებლობა დადგა);

მნიშვნელოვანია, შედეგები შუალედურადაც გამოაცხადოთ, კაპიტნების ტურის შემდეგ (პასუხების ბლანკი).

საბოლოო შედეგების გამოცხადების შემდეგ, მადლობა გადაუხადეთ ყველა მონაწილეს , გადაეცით სიგელები მონაწილეობისთვის, გამარჯვებულ გუნდს კი შეგიძლიათ სიმბოლურად ქანდაკება „ბუც“ გადასცეთ, რომელსაც გარდამავალი სტატუსი ექნება;

დაჯილდოების დროს აუცილებლად გამოიყენეთ მუსიკალური გაფორმება, რადგან ეს მეტად ამაღლებულ განწყობას ქმნის საკლასო ოთახში;

ვიქტორინის ბოლოს მოსწავლეებს აუცილებლად დაურიგეთ უკუკავშირის ბარათები/ გასასვლელი ბილეთები, თუნდაც 3, 2, 1.

ბარათებში კი აუცილებლად ამოიკითხავთ, რომ ძალიან მოეწონათ პროცესები. სასწავლო შემეცნებითი ვიზიტის დროს კი მეტ ყურადღებას გამოიჩენენ და სათანადო ჩანიშვნებსაც გააკეთებენ, რადგან გამოადგებათ შემდეგი ვიზიტისას.

ნაბიჯი მეშვიდე: მოსწავლეებს მივეცი ინტეგრირებული შემაჯამებელი დავალება ქართულ ენასა და ბუნებისმეტყველებაში, რომლის შედეგადაც მოსწავლეებს უნდა დაემზადებინათ კედლის გაზეთები სხვადასხვა ცოცხალ ორგანიზმებზე, სადაც შერჩეული ეყოლებოდათ ერთი ცხოველი და წარმოადგენდნენ მასთან წარმოსახვით ინტერვიუს, სადაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული ის ინფორმაცია, რაც მუზეუმში ვიზიტის დროს მიიღეს და თავადაც უნდა შეევსოთ სხვა საინტერესო ფაქტებითაც.

შემაჯამებელი დავალებები ძალიან საინტერესო და ინფორმაციული აღმოჩნდა. წარდგენას ორი სრული საგაკვეთილო დრო დაეთმო, თუმცა ვერცერთ მოსწავლეს ვერ შეატყობდით, რომ პროცესებმა დაღალა – აქტიურად უსვამდნენ პრეზენტატორს საინტერესო შეკითხვებს და სრულად იყვნენ ჩართულნი იმ შეფასების პროცესში, რომლის რუბრიკაც თავად შექმნეს.

პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები:

1. დავალების შინაარსი საინტერესოა, გამოყენებულია მუზეუმში მოსმენილი ინფორმაცია და შევსებულია სხვა დამატებითი მასალით – 3 ქულა;
2. ნაშრომს აქვს ინტერვიუს სახე – 1 ქულა;
3. საინტერესოდ და უშეცდომოდ წარადგინა მოსწავლემ მასალა – 1 ქულა;
4. წარმოდგენილი აქვს თვალსაჩინოებები, მიმზიდველადაა გაფორმებული – 2 ქულა;
5. დროში ზუსტად ჩაეტია (3 წთ) – 1 ქულა;
6. „ვიცი , ვპასუხობ“ – აუდიტორიის კითხვებს დამაჯერებლად უპასუხა – 2 ქულა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სატრენინგო მასალა – „სამუზეუმო მასალების გამოყენება ბუნებისმეტყველების სწავლების ეფექტიანობისთვის“.

ნათია ნაფეტვარიძე

საავტორო უფლებები, ხელოვნური ინტელექტი და ეთიკა – რა უნდა ვიცოდეთ თანამედროვე ციფრულ გარემოში

ხშირად ვამბობთ და სხვებისგანაც გვესმის (და მართლაც ასეა): დღევანდელ სამყაროში, ინფორმაციის ეპოქაში, ყოველგვარი სიახლე უპრეცედენტო სიჩქარით ვრცელდება, ის კი არა, ზოგჯერ რამდენიმე საათშიც კი ძველდება ინფორმაცია. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ხელოვნური ინტელექტი ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილია. ასეთ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ერთი ძირითადი პრინციპი – შემოქმედის პატივისცემა. სწორედ ამ პრინციპს აერთიანებს საავტორო უფლება, რომელიც იცავს იმ შრომას, დროსა და ენერგიას, რაც ავტორებმა თავიანთ ნამუშევარში ჩადეს.

რა არის საავტორო უფლება?

საავტორო უფლება არის კანონი, რომელიც იცავს ავტორის მიერ შექმნილ ნებისმიერ ორიგინალურ ნამუშევარს – ტექსტს, ფოტოს, ვიდეოს, მუსიკას, კოდს, თამაშს... ერთი შეხედვით, თითქოს მარტივია: ფოტო მოიძებნა, დააკოპირე, ჩასვი და მზად არის. მაგრამ... სხვისი ნამუშევრის გამოყენება – თუნდაც მცირე ნაწილის – მოითხოვს შესაბამის ნებართვას ან მინიმუმ წყაროს სავალდებულო მითითებას. საავტორო უფლება ამ ქაოსურ გარემოში ერთ-ერთ ყველაზე უხილავ, მაგრამ ძლიერ წესად რჩება. ის გვახსენებს, რომ თითოეული ტექსტი, ფოტო, მუსიკა თუ ვიდეო ვიღაცის დროის, შრომისა და ნიჭის შედეგია. მათი მითითების გარეშე გამოყენება კი არაეთიკურია.

საავტორო უფლებების დაცვა აუცილებელია, ის იცავს შემოქმედის შრომასა და შრომის შედეგს, ქმნის უსაფრთხო და პატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს, ჩვენს მოსწავლეებში კი განავითარებს პასუხისმგებლობას. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, მომავალ თაობას ვაჩვენოთ, რა არის დასაშვები და რა – არა. და მაინც, რა არ შეიძლება? სხვისი ტექსტის ან ფოტოს გადმოწერა წყაროს გარეშე; პლაგიატი – სხვისი ნამუშევრის საკუთარი სახელით წარმოჩენა; კონტენტის შეცვლა იმისთვის, რომ ორიგინალად მოვაჩვენოთ ჩვენი ნაშრომი; ინტერნეტიდან მასალის გამოყენება ავტორის ნებართვის გარეშე...

ვირტუალურ სივრცეში დღეს უამრავი რესურსია, რომლებიც გვაძლევს საშუალებას, ლეგალურად შევქმნათ, ვასწავლოთ ან გავაზიაროთ: Creative Commons-ის ლიცენზიებით დაცული მასალები, უფასო ფოტოებისა და აუდიობანკები... მაგრამ ამ რესურსების სწორად გამოყენება ცოდნას და პასუხისმგებლობას მოითხოვს. ის „მარტივი“ კითხვა – შეიძლება თუ არა ჩამოტვირთული ფოტოს გამოყენება? – უკვე ბავშვისთვისაც კი მნიშვნელოვან ეტიკეტად იქცა. მაგალითად:

- CC BY – შეგიძლია გამოიყენო, მაგრამ აუცილებლად უნდა მიუთითო ავტორი;
- CC BY-NC – არაკომერციული გამოყენება;
- CC0 – სრულიად თავისუფალი მასალაა

ამ წესების ცოდნა მოსწავლეებს სჭირდება როგორც დღეს, ისე მომავალ პროფესიებში.

ხშირად მასწავლებლის მიერ მიცემულ თუნდაც შემოქმედებით დავალებას მოსწავლეები თავს არიდებენ, მათ ხომ არაჩვეულებრივი დამხმარე ჰყავთ – AI. ჰოდა, რა სჯობია: შეგიძლია მშვიდად

ვინც პატივს სცემს სხვის ნაშრომს, ის მომავალშიც სანდო თანამშრომელი, ეთიკური პროფესიონალი და პასუხისმგებლობიანი მოქალაქე იქნება.

რაც უნდა საინტერესო გახდეს ტექნოლოგიური პროგრესი, ადამიანური განცდები და პასუხისმგებლობა ვერასდროს შეიცვლება. საავტორო უფლებების ცოდნა, AI-ის სწორად გამოყენება და ეთიკური გრძნობა არ არის მხოლოდ წესების ნაკრები – ეს არის კულტურა, რომლის გარეშე თანამედროვე სამყაროს ვერ ავუწყობთ ფეხს.

დაჯდე, შენი საყვარელი საქმე აკეთო, ან არაფერი აკეთო, და პასუხისმგებლობასაც არ გაექცე – დავალება შეასრულო: ამას შენი ციფრული ასისტენტი იზამს მარტივად – ასე ფიქრობენ ჩვენი მოსწავლეები (ისე, როგორც ხშირად ვფიქრობთ თავადაც). ჰოდა, აქ ერთი მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, სად გადის ზღვარი.

სწორედ იქ, სადაც წესები უკვე თითქოს მკაფიოდ იყო განსაზღვრული, მოულოდნელად გამოჩნდა ახალი მოთამაშე – ხელოვნური ინტელექტი. AI ერთი შეხედვით ქმნის ყველაფერს: ტექსტებს, სურათებს, მუსიკას... თუმცა სინამდვილეში ის ამ შექმნას უკვე არსებული ადამიანური ნამუშევრების ბაზაზე ახორციელებს. ამიტომაც მის მიერ შექმნილი მასალა ყოველთვის ატარებს სხვისი შრომის ნაკვალევს.

AI-ის მიერ ნაწერის პირდაპირ გამოყენება წყაროს გარეშე უკვე პლაგიატია. ისე, როგორც სხვისი ნაშრომის გადმოწერა საკუთარი სახელით. აქ უკვე იკვეთება მთავარი: პრობლემა ტექნოლოგია კი არა, ადამიანის დამოკიდებულებაა – „ჩვეულება“, რომ სწრაფი გამოსავალი ჯობია.

ხელოვნური ინტელექტი ვერ ხდება „ავტორი“, ის სწავლობს უკვე არსებული მასალიდან, ამიტომ მისი შედეგიც ხშირად ეფუძნება უცხო ნამუშევრებს, სტილს ან მონაცემებს.

ამიტომ მნიშვნელოვანია, ჩამოვუყალიბოთ მტკიცე ჩვევები ჩვენს მოსწავლეებს და გავაცნობიერებინოთ, რომ AI უნდა იყოს დამხმარე, არა შემქმნელი პროდუქტისა (იქნება ეს საშინაო შემოქმედებითი დავალება, მათემატიკის ამოცანების ამოხსნა თუ მრავალი სხვა). და პასუხისმგებლობა საბოლოო პროდუქტის შინაარსზე ყოველთვის მომხმარებელზეა.

საკუთარი და სხვისი ნამუშევრის პატივისცემა დღეს განსაკუთრებით სენსიტიური თემაა.

ინტერნეტში ჩვენი თითოეული ქმედება – გადმოწერა, გაზიარება, გამოყენება – პასუხისმგებლობას მოითხოვს.

ვფიქრობ, მასწავლებლის როლი ამ პროცესში განუზომლად დიდია. სწორედ სკოლაში იჩენს თავს ის ჩვევები და პრინციპები, რომლებიც ახალგაზრდას ზრდასრულ ცხოვრებაში გაჰყვება. ამ საკითხებზე მუშაობა კი მოსწავლეებში განავითარებს კრიტიკული აზროვნების კულტურას, ჩამოუყალიბებს პასუხისმგებლობას, გააქტიურებს შემოქმედებით უნარებს, შეამცირებს პლაგიატის სიხშირეს, მოამზადებს მომავალი პროფესიებისთვის – თანამედროვე სამუშაო გარემოში საავტორო უფლებების ცოდნა აუცილებელია: მარკეტინგში, დიზაინში, პროგრამირებაში, მედიცინაში, კვლევაში.

მასწავლებელი, რომელიც მოსწავლეებს ასწავლის საავტორო უფლებებსა და AI-ის ეთიკურ გამოყენებას, არამხოლოდ ცოდნას უზიარებს, არამედ მათში აყალიბებს სამართლიანობის, პატივისცემისა და პასუხისმგებლობის ღირებულებებს.

ეს კი თანამედროვე ციფრულ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უნარია.

სწორედ ამიტომ ხდება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, რომ ამ საკითხებზე სკოლაშივე ვისაუბროთ. მასწავლებელი ხომ არამხოლოდ საგანს ასწავლის – ის ქმნის მკაფიო საზღვრებს: რა არის სამართლიანი, რა არის პატივისცემის გამოხატულება, რა არის პასუხისმგებლობა. ბავშვებს უნდა ესმოდეთ, რომ წყაროს მითითება ტექნიკური დეტალი კი არა, სწორად ჩამოყალიბებული მოქალაქეობრივი ქცევაა.

ამით ვეხმარებით ჩვენს მოსწავლეებს, გააცნობიერონ, რას ნიშნავს შემოქმედის შრომის პატივისცემა; რატომ არ უნდა ჩაანაცვლოს AI-მ მათი ფიქრი და რა საფრთხეს ქმნის პლაგიატი. ბავშვებისთვის ეს მხოლოდ „ქულების“ და „შეფასების“ საკითხი აღარ არის – ეს მათი მომავალი პროფესიული კულტურის ნაწილია. ვინც პატივს სცემს სხვის ნაშრომს, ის მომავალშიც სანდო თანამშრომელი, ეთიკური პროფესიონალი და პასუხისმგებლობიანი მოქალაქე იქნება.

რაც უნდა საინტერესო გახდეს ტექნოლოგიური პროგრესი, ადამიანური განცდები და პასუხისმგებლობა ვერასდროს შეიცვლება. საავტორო უფლებების ცოდნა, AI-ის სწორად გამოყენება და ეთიკური გრძნობა არ არის მხოლოდ წესების ნაკრები – ეს არის კულტურა, რომლის გარეშე თანამედროვე სამყაროს ვერ ავუწყობთ ფეხს. და ამ კულტურის შენება სწორედ იქ იწყება, სადაც დღევანდელი მოსწავლეები მომავალ შემოქმედებად, მკვლევრებად და ლიდერებად ყალიბდებიან.

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

წიგნს:
„მედიაწიგნიერების გაკვეთილები“